

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე  
2008, №12

## სოციალური

## დავები

### 1. დახმარება

- დასახიჩრების შემთხვევაში ერთჯერადი კომპენსაციის (დახმარების) მოთხოვნის ხანდაზმულობა
- დახმარება მრავალშვილიან ოჯახზე
- სამხედრო მოსამსახურეებზე ერთჯერადი დახმარება
- უფასო სამედიცინო დახმარების ფარგლები

### 2. შემწეობის დანიშვნის პირობები

### 3. პენსია

- დანიშნული პენსიის შეჩერების საკითხი
- მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნა
- მეორე სახეობის პენსიის დანიშვნა
- ომის ინვალიდობის პენსიის მიღების უფლება
- პენსიაზე გასვლის მომენტისათვის ერთდროული დახმარება
- პენსიის გადაანგარიშება
- პენსიის დანიშვნა და პენსიის თანხის, დავალიანების გამოანგარიშება
- სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებულ მოსამსახურეთა უფლება საპენსიო დანამატზე
- სპეციალური კანონით პენსიის დანიშვნაზე უარის თქმა
- ფინანსური პოლიციის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნის წესი

# 1. დახმარება

## სამხედრო მოსამსახურეებზე ერთჯერადი დახმარება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-794-756(კ-07) 3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ჩინჩალაძე,  
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 6 ივნისს ა. ჭ-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომლი-  
თაც მოითხოვა მოპასუხისათვის ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით 3080 ლარის,  
ერთჯერადი (5 წლის) დახმარების -23100 ლარის, სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხისა და  
საადვოკატო მომსახურების ხარჯის -500 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ იგი 2005 წლის 11 მაისს დაითხოვეს საქართველოს შეიარაღებული  
ძალების რიგებიდან. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ გააჩნდა სანივთე ქონების  
საკომპენსაციო თანხის რვაშვი და 5 წლის სახელფასო სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების  
საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე პუნქტისა და 53-ე  
პუნქტის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემის ვალდებულება, რაზეც მოპასუხის მხრიდან ეთქვა უარი  
და რაც, მოსარჩელის აზრით, კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის  
5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე პუნქტისა და 2005 წლის 24 იანვრის #47 ბრძანებულების  
პირველი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიარაღებული ძალებიდან დათხოვილ მოსამსახურეებს  
ედლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება წელთა ნამსახურობითა და ამ ბრძანებულებით  
დადგენილი ფულადი სარგოების მიხედვით, რაც მოსარჩელის მიმართ არ განხორციელებულა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 31 დეკემბრის #640  
ბრძანებულების 61-ე პუნქტის შესაბამისად, ზემოთითხიებული ნორმის შეჩერება არ გულისხმობს მის  
გაუქმებას, რის გამოც 2006 წლის 1 იანვრიდან მოპასუხე ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მისთვის  
ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება 3080 ლარის ოდენობით.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ასევე ვალდებული იყო,  
საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის #47 ბრძანებულების მე-10 პუნქტის «ბ» ქვე-  
პუნქტით დადგენილი ფულადი სარგო 5 წლის ერთჯერადი დახმარების -23100 ლარი, აენაზღაურებინა  
მისთვის, ვინაიდან მოსარჩელემ სამხედრო ტრავმა მიიღო 1993 წლის 7 ივლისს სოფ. ტამიშთან  
წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში და 1994 წლის 11 მაისს საქართველოს სოციალური  
უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის ინვალიდობის დამდგენი განყო-  
ფილების მიერ მიენიჭა მე-2 ჯგუფის ინვალიდის სტატუსი. მოგვიანებით, ინვალიდობის სტატუსი  
ჩამოერთვა მორიგი სამედიცინო შემოწმების გაუვლელობის გამო, რაც აღიდგინა 2006 წლის 4 ოქტომ-  
ბერს.

მოსარჩელის მითითებით, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12  
მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, მოპასუხე ვალდებული იყო აენაზღაურებინა მისთვის 1996-2004  
წლებში მიუღებელი სანივთე ქონების კომპენსაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ნოემბრის  
გადაწყვეტილებით ა. ჭ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ჭ-მემ, რომელმაც მოითხოვა  
გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის  
გადაწყვეტილებით ა. ჭ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილების  
შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ჭ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა  
ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ა. ჭ-მის სასარგებლოდ 2001-2003  
წლებში გასაცემი სანივთე ქონების ფულადი კომპენსაციის გაუცემელი ნაწილის გადაანგარიშება და  
გაცემა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა 2004 წლიდან 2005 წლის 11 მაისამდე  
მოსარჩელისათვის კუთვნილი სანივთე ქონების ფულადი კომპენსაციის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში  
სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ჭ-მე საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა 2005 წლის 11 მაისამდე, იგი თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ლოჯისტიკის სარდლობის ბაზის მართვის განყოფილების ოფიცრის თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის #1272 ბრძანებით.

ა. ჭ-მემ 1993 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში მიიღო სამხედრო ტრავმა და დაინვალიდა.

ა. ჭ-მეს ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაცია 2001-2003 წლებში ეკუთვნოდა 855,21 ლარის ოდენობით.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მას აღნიშნული თანხის ნაწილი მიღებული აქვს, მაგრამ რა რაოდენობით, ვერ დაასახელა.

საპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია აპელანტის მოთხოვნა და ჩათვალა, რომ თავდაცვის სამინისტროს უნდა დაკისრებოდა სანივთე ქონების კომპენსაციის გაუცემელი ნაწილის მოსარჩელეზე გაცემა. ასევე, გაცემული უნდა ყოფილიყო სანივთე ქონების ფულადი კომპენსაცია 2004 წლისათვის და 2005 წლის იმ პერიოდისათვის, რა დრომდეც მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

საპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სანივთე ქონების 2001-2003 წლების კომპენსაციის თანხების ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, გასარკვევი იყო ხანდაზმულობის საკითხი, ვინაიდან სარჩელი შეტანილი იყო 2006 წლის 6 ივნისს. აღნიშნული სახის გასაცემლები, სასამართლოს მითითებით, წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და მათზე უნდა გავრცელდეს სამწლიანი ხანდაზმულობის ვადები. საპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა წყდება თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით აღიარებული იყო ის ფაქტი, რომ თავდაცვის სამინისტროს გააჩნდა სანივთე ქონების კომპენსაციის დავალიანება მოსარჩელის მიმართ.

სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, თუ ხანდაზმულობის ვადა შეწყდა, შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადის ათვლა დაიწყება თავიდან. მოცემულ შემთხვევაში, საპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, მოსარჩელის მოთხოვნა სანივთე ქონების ფულადი კომპენსაციის შესახებ საფუძვლიანია, ვინაიდან მოპასუხის მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელეზე სანივთე ქონების ან მისი შესაბამისი კომპენსაციის გაცემას.

საპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელი იყო აპელანტის მოთხოვნა სამხედრო ტრავმის შედეგად დაინვალიდებისას ერთჯერადი დახმარების მიღების თაობაზე.

«საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებით სამხედრო მოსამსახურეებისათვის, მათ შორის, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი მოსამსახურეებისათვის განისაზღვრა მთელი რიგი სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები. აღნიშნულ ბრძანებულებაში 2004 წლის 31 დეკემბერს შეტანილ იქნა მოსარჩელის მიერ აპელირებული-განსახილველი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ცვლილებები (დამატებები) 33<sup>1</sup> და 61<sup>1</sup> პუნქტები.

ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტით დადგენილია, რომ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების მიხედვით ეძლევათ ერთჯერადი (გასასვლელი) ფულადი დახმარება ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით.

ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტის თანახმად კი, 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე.

საპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებისთანავე, თუ ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში ბრძანებულებამ გააკეთა დათქმა იმის თაობაზე, რომ წინამდებარე 33<sup>1</sup> მუხლის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე, ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებულებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, ეს ცვლილებები არ მოქმედებს, ვიდრე არ დადგება მისი მოქმედების ვადა, ანუ 2006 წლის 1 იანვარი. «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. მოცემულ განსახილველ შემთხვევაში, საპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე სამსახურიდან დათხოვნილ იქნა 2005 წლის 11 მაისს რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ე.ი. პრეზიდენტის ბრძანებულების ზემოაღნიშნული 33<sup>1</sup> პუნქტის ამოქმედებამდე, შესაბამისად, საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ნორმით დადგენილი სოციალური შეღავათი მოსარჩელეზე ვერ გავრცელდებოდა.

საპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, დაუსაბუთებელი იყო მოსარჩელის მოთხოვნა სამხედრო ტრავმის შედეგად დაინვალიდებისათვის ერთჯერადი დახმარების მიღების შესახებ. «საქართველოს

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 53-ე პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრავმის მიღების შემთხვევაში მიეცემა ერთჯერადი დახმარება ფულადი სარგებლის შემდეგი ოდენობით: ა) დაინვალიდებისას - 5 წლის; ბ) მძიმე ჭრილობისას - 10 თვის; გ) მსუბუქი ჭრილობისას - 5 თვის.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სხეულის დაზიანება მიიღო 1993 წელს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება გამოიცა 2004 წლის 5 ნოემბერს. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, რაც ნიშნავს, რომ ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე. ნორმატიული აქტით შეიძლება დადგინდეს ამ აქტის ცალკეული თავის ან მუხლის ძალაში შესვლის განსაკუთრებული თარიღი. დადგინდია ასევე, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებას არ აქვს დათქმა უკუქვეყნითი ძალის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეზე აღნიშნული ნორმა არ შეიძლება დაგვრცელებულიყო და სარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში იყო დაუსაბუთებელი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ჭ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორი აღნიშნავდა, რომ სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხების ანაზღაურებას ითხოვდა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო და მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის #796-44 დადგენილების 22-ე პუნქტის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კასატორის მითითებით, მისი მოთხოვნა კანონისმიერია და არა სახელშეკრულებო და მასზე უნდა გავრცელდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის არა სამწლიანი, არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი, ხანდაზმულობის საერთო ვადა - 10 წელი.

კასატორი აღნიშნავდა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარადგინა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის -ლ. ბ-შვილის განმარტება (დანართი #1), რომელშიც ცალსახადაა მითითებული, რომ: «აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების გაცემა შეჩერებული იყო იმავე ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტით - 2006 წლის 1 იანვრამდე, რითიც შეჩერდა ზემოთ მითითებული ერთჯერადი დახმარების მიღების უფლების რეალიზაცია და არა მისი გაუქმება».

აქედან გამომდინარე, კასატორის მითითებით, ზემოაღნიშნული 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება უნდა გავრცელდეს 2005 წელს წარმოშობილ ურთიერთობებზე.

კასატორი ასევე აღნიშნავდა, რომ სააპელაციო სასამართლომ განსჯის გარეშე დატოვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის #1/3/30 გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად იქნა ცნობილი კანონის ის ნორმა, რომელიც არათუ აუქმებდა, არამედ 2006 წლის 1 იანვრამდე აჩერებდა 2005 წელს დათხოვნილ პირებზე ერთჯერადი დახმარების გაცემას და იმის ნაცვლად, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული და საფინანსო სამსახურის მუშაკებს, დადგენილი წესის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ესარგებლათ, აბსურდული მოტივით, დახმარებების გაცემაზე უარი განაცხადეს.

კასატორის მითითებით, მან ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიღების უფლება მოიპოვა მაშინ, როდესაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჩაირიცხა, ანუ მან იცოდა, რომ, როდესაც სამსახურიდან დაითხოვდნენ, მას, როგორც უმუშევარს, სამუშაოს პოვნამდე არსებობისა და ცხოვრების ერთადერთი საშუალება, ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ექნებოდა, რასაც ერთგვარ სოციალურ გარანტიად და ამ ფულად სარგებელს მომავალში მისაღებ საკუთრებად მიიჩნევდა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა ის გარემოება, რომ პრეზიდენტის ბრძანებულება გამოიცა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონით განსაზღვრული სოციალური პირობების მოწესრიგების მიზნით. ამ კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი კი, სამხედრო მოსამსახურის დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში 5 წლის საზღაურის ოდენობით, ერთჯერადი დახმარების გაცემას ითვალისწინებს. კასატორის აღნიშვნით, პრეზიდენტის ბრძანებულებამ კანონის აღნიშნული ნორმა იმგვარად მოაწესრიგა, რომ 5 წლის საზღაურის ოდენობით ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება მხოლოდ იმ პირებს დაუტოვა, რომლებმაც სამხედრო ტრავმის მიღებით შერყეული ჯანმრთელობა მკურნალობით ვერ აღიდგინეს და შესაძლებლობის შეზღუდვის, ანუ ინვალიდობის სტატუსი დაუდგინდათ.

კასატორის აზრით, რადგან კანონში კონკრეტულად არ იყო მითითებული ტერმინი «ინვალიდი», სწორედ ასეთი ხარვეზების მოწესრიგების მიზნით იქნა გამოცემული ზემოაღნიშნული ბრძანებულება, რომლის საფუძველზეც ითხოვდა დახმარების მიღებას.

კასატორი ასევე აღნიშნავდა, რომ მისთვის გაუგებარი იყო საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების შესახებ მისი სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის მოტივი, ვინაიდან სარჩელი

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სასამართლო ვალდებული იყო საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის #796-44 დადგენილების 22-ე პუნქტის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, 1996-2000 წლებში მასზე გაუცემელი სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხების დაანგარიშებასა და ანაზღაურებას.

«საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე პუნქტის «გ» ქვეპუნქტის, 53-ე პუნქტის «ა» ქვეპუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის #47 ბრძანებულების პირველი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით -3080 ლარის, ხოლო დაინვალიდების გამო ერთჯერადი (5 წლის) დახმარების სახით -23100 ლარის ანაზღაურებასა და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლების პირველი პუნქტების თანახმად, საადვოკატო მომსახურების ხარჯის -500 ლარის ანაზღაურებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს ა. ჭ-ძისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ერთჯერადი დახმარების გაცემაზე უარის თქმის ნაწილში მიღებულია სამართლის ნორმათა დარღვევით, კერძოდ, სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს კანონის ნორმის არასწორ განმარტებას, რაც წარმოადგენს გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის «გ» პუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს.

დადგენილია, რომ კასატორი -ა. ჭ-ძე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 მაისის #1272 ბრძანების საფუძველზე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2005 წლის 28 აპრილიდან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. კასატორმა 2006 წლის 5 აპრილს განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 05 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე მოითხოვა ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რაზედაც მიიღო უარყოფითი პასუხი იმ მოტივით, რომ ბრძანებულების ზემოაღნიშნული მუხლი ვერ გავრცელდებოდა 2005 წელს დათხოვნილ პირებზე, ვინაიდან მითითებული მუხლი ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან.

დავის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს იმ ნორმის სამართლებრივ ანალიზს, რაც საფუძველად უდევს პირის მოთხოვნას.

«საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე მუხლის შესაბამისად დადგინდა, რომ სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის გამო ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების მიხედვით ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოს სახით.

ბრძანებულება ამოქმედდა 2004 წლის 15 ნოემბრიდან.

2004 წლის 31 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის #640 ბრძანებულებით ცლილება შევიდა #493 ბრძანებულებაში, რის საფუძველზეც, ზემოაღნიშნული 33-ე პუნქტი ფაქტობრივად გაიყო ორ პუნქტად და ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი იმ პირებზე, ვინც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით განისაზღვრა ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტით. იმავე #640 ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტით ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე.

საკასაციო სასამართლო ნორმის მოქმედებასთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე შემთხვევაში ნორმის მოქმედება შეჩერდა და არა ამოქმედდა, რაც პრინციპულად ცვლის ნორმის შეფარდების საკითხს.

ზემოაღნიშნული ბრძანებულების სადავო პუნქტების ანალიზი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს ნორმები პირობითად დაყოს ორ ნაწილად, რის შედეგადაც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ნაწილით მოხდა უფლების აღიარება (ნამსახურები წლების მიხედვით სამხედრო მოსამსახურეებს აქვთ ერთჯერადი დახმარების ფულადი სარგოს სახით მიღების უფლება), ხოლო მეორეში ჩაიდო უფლების რეალიზების მექანიზმი, რომლითაც დადგინდა, რომ აღიარებული უფლების რეალიზება მოხდებოდა 2006 წლის 1 იანვრიდან.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს იმ მომენტზე ხაზგასმას, რომ ნორმის შექმნით სახელმწიფომ აღიარა კასატორის უფლება, მიიღოს ფულადი დახმარება, ხოლო რაც შეეხება ამ აღიარებული უფლების რეალიზაციის მექანიზმს, მითითებული დაუკავშირა დროის შემდგომ პერიოდს.

საკასაციო სასამართლო გამოიყენებს რა ნორმის სხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას, მიიჩნევს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოაღნიშნული უფლება იქნეს ფიქტიურ ხასიათს და არ არსებობს მისი რეალიზების საშუალება. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნის მომენტში ნორმა მოქმედებდა სრული მოცულობით, ა. ჭ-მე უფლებამოსილი იყო ზემოაღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით მოეთხოვა ერთჯერადი ფულადი დახმარება, რისი გაცემის ვალდებულებაც, ზემოაღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე, ეკისრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. ამასთან საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ა. ჭ-მის მოთხოვნას ერთჯერადი დახმარების -3080 ლარის ანაზღაურების თაობაზე და კასატორის ყურადღებას მიაქცევს «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 33-ე და 33<sup>1</sup>-ე პუნქტების შინაარსს, რომელთა შესაბამისად განისაზღვრა ერთჯერადი დახმარების სახით ფულადი სარგოს წელთა ნამსახურების მიხედვით გაცემის წესი. იმავე ბრძანებულების მე-9 პუნქტით დადგინდა სამხედრო მოსამსახურეებისათვის ფულადი სარგოების #1 დანართის შესაბამისად დაწესების პირობები და ამავე პუნქტით განისაზღვრა ფულადი სარგოს შემადგენლობა, რომელმაც მოიცვა თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოები.

ზემოაღნიშნული ბრძანებულებებით დამტკიცებულ #1 დანართში ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის #47 ბრძანებულებით დამტკიცებული #1 დანართით, რის შედეგადაც ფულადი სარგოების ნუსხას დაემატა მე-3 კომპონენტი სამხედრო მოსამსახურეთა დანაშაულების კატეგორია. საგულისხმოა, რომ, მიუხედავად დანართში განხორციელებული ცვლილებისა, ბრძანებულების მე-9 პუნქტი დარჩა უცვლელად, რომლითაც ფულადი სარგო, როგორც აღინიშნა, წარმოდგენილია, მხოლოდ ორი კომპონენტით - თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოთი.

საქმეში წარმოდგენილია ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ ა. ჭ-მის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 210 ლარს, ხოლო წოდებრივი 50 ლარს, მითითებული ცნობიდან გამომდინარე და ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ანაზღაურებას უნდა დაეკვემდებაროს ერთჯერადი დახმარება 2080 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას სანივთე ქონების კომპენსაციისა და სამხედრო ტრამვის შედეგად დაინვალიდებისას ერთჯერადი დახმარების გაცემაზე უარის თქმის ნაწილში, საკასაციო სასამართლო ამ ნაწილში სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას და თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

დადგენილია და აღნიშნულს ადასტურებს თავად კასატორიც, რომ მან სხეულის დაზიანება მიიღო 1993 წელს. «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის #493 ბრძანებულება მიღებულია 2004 წლის 5 ნოემბერს. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუმაღლა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. საგულისხმოა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულება მსგავს დათქმას არ შეიცავს, რისი გათვალისწინებითაც, საკასაციო სასამართლო გამოიყენებს აქტის გამოცემამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე მითითებული აქტის შესაბამისი ნორმების გამოყენების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას სანივთე ქონების კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადების გამოყენების თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის საფუძველზე მართებულად გამოიყენა ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, რის გამოც არ არსებობს ამ ნაწილში საკასაციო პრეტენზიის გაზიარების სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების საკითხს, საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სავალდებულოდ მიიჩნევს, დოკუმენტალურად დადასტურებული იყოს ხარჯის გაწევის ფაქტი, ანუ წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულება, რომ მხარემ ადვოკატთან აწარმოა ანგარიშსწორება და რეალურად გასწია ხარჯი, რისი მტკიცების საკმარის საფუძველსაც არ წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს ა. ჭ-მის მოთხოვნას ერთჯერადი დახმარების გაცემის ნაწილში, ხოლო პრეტენზიას დანარჩენ ნაწილში

თვლის დაუსაბუთებლად და მიუთითებს, რომ არ არსებობს მისი გაზიარების სამართლებრივი საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ა. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება ა. ჭ-ძისათვის ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. ა. ჭ-ძის სარჩელი ერთჯერადი ფულადი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ა. ჭ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს ერთჯერადი დახმარების ფულადი სარგოს რვაშვილი ოდენობის, კერძოდ 2080 ლარის ანაზღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დასახიჩრების შემთხვევაში ერთჯერადი კომპენსაციის (დახმარების) მოთხოვნის ხანდაზმულობა**

**განჩინება**

#ბს-907-869(კ-07) 20 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. ქადაგიძე**

**დავის საგანი:** ერთჯერადი დახმარების თანხის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ე-ავამ 18.10.06.წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა თავდაცვის სამინისტროს მიმართ და 1728.91 ლარის ოდენობით 1998-2000წწ. სახელფასო დავალიანების -2587.2 ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარების და 500 ლარის ოდენობით ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1993-2001წწ. მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, სამსახურიდან გათავისუფლებისას ეკავა სამხედრო ნაწილის საავტომობილო სამსახურის უფროსის თანამდებობა. 08.03.2000წ. მიმდინარე სამხედრო სწავლების დროს, როდესაც იგი ასრულებდა მეთაურის სიტყვიერ ბრძანებას და ახორციელებდა კავშირგაბმულობის მანქანის გამართვა-გაწყობას, დაეცა ანძა. საველე პირობებში პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ მოსარჩელე გადაყვანილ იქნა ქ. რუსთავის საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში ქალა-ტვინის ღია ტრავმის, მარცხენა შუა ფოსოში ქალა-ფუძის მოტეხილობის, მარცხენა საფეთქლის და თხემის ძვლების მოტეხილობის, მარცხენა საფეთქლის არეში ინტრა-ცებრალური ჰემატომის, თავის ტვინის დაჟეჟილობის, ლავიწის მარცხენა ძვლის მოტეხილობის და ორივე მტევნის სახსრების ამოვარდნის დიაგნოზით. საავადმყოფოში მკურნალობის კურსმა შედეგი არ გამოიღო, რის გამოც 31.07.01წ. მოსარჩელეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტლის სამხედრო-საექიმო კომისიამ დაუდგინა დიაგნოზი: ქალა-ტვინის ღია ტრავმისა და თავის ტვინის დაჟეჟილობის მყარი ნარჩენი მოვლენები ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაზიანების ნიშნები, პიროვნული ცვლილებებით ასთენო-ნევროზული ხასიათის აქცენტუაციის დონეზე, რის საფუძველზეც მოსარჩელეს დაუდგინდა ინვალიდობის მე-2 ჯგუფი, ხოლო სამხედრო ძალების ცენტრალური სამხედრო სამედიცინო საქსპერტო კომისიის 19.09.06წ. გადაწყვეტილებით -მუდმივი ინვალიდობის მე-2 ჯგუფი -შრომისუუნარო. მოსარჩელის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნისას მოპასუხეს გააჩნდა მისი 1728 ლარის ოდენობით 1998-2000წწ. სახელფასო დავალიანება. მან ტრავმა მიიღო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და უნდა მიეღო ერთჯერადი კომპენსაცია თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების ნამრავლი 5 წელზე. მოსარჩელის განცხადებით, მან არაერთხელ მიმართა თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი კომპენსაციის მიღებისა და ძველი დავალიანების დაფარვის მოთხოვნით, მაგრამ საფინანსო-საბიუჯეტო

კრიზისის მოტივით მოპასუხე თანხას არ უნაზღაურებდა. მოსარჩელეს გადაეცა თავდაცვის სამინისტროს 18.09.06წ. წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო. განსახილველი შრომითი ურთიერთობა ემყარებოდა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონს, რაც, მოსარჩელის განცხადებით, გამოიწვია სახელშეკრულებო ურთიერთობებისათვის დადგენილ 3-წლიან ხანდაზმულობის ვადას. ამ ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის 10-წლიანი საერთო ვადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.02.07წ. გადაწყვეტილებით გ. ე-ავას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა -საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4316 ლარის გადახდა.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდებოდა, რომ ტრავმის მიღების მომენტში მოსარჩელე ასრულებდა უფროსის ბრძანებას, რაც «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ითვლება სამსახურებრივი მოვალეობის დამადასტურებელ პირობად, აღნიშნული ფაქტი კი ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არის ერთჯერადი დახმარების გაცემის საფუძველი. სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებით, კერძოდ ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის 30.05.06წ. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საფინანსო სამსახურის სახელზე გაგზავნილი #1390 წერილით დადასტურებულად მიიჩნია გ. ე-ავას მიმართ თავდაცვის სამინისტროს დავალიანების არსებობა, რომელიც ხელფასისა და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გათვალისწინებით შეადგენდა 1728,91 ლარს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ცნობა არის მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც საკმარისი საფუძველია სახელფასო დავალიანებისა და გასასვლელი ერთჯერადი დახმარების გადახდის მოპასუხისათვის დაკისრებისათვის. საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელე ტრავმის მიღების მომენტში ასრულებდა უფროსის ბრძანებას, რაც «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 31.4 მუხლის «კ» ქვეპუნქტის თანახმად ითვლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად. სამხედრო ძალების ცენტრალური სამხედრო სამედიცინო საექსპერტო კომისიის 19.09.06წ. გაცემულ GA#90 ცნობით ირკვევა, რომ გ. ე-ავას დაუდასტურდა ინვალიდობის მე-2 ჯგუფი, ხოლო ინვალიდობის მიზეზად მითითებულია -სამხედრო ტრავმა. აღნიშნული «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 16.3 მუხლის თანახმად არის ერთჯერადი დახმარების გაცემის საფუძველი. სასამართლომ მიუთითა, რომ ტრავმის პერიოდში მოქმედი რედაქციის ხსენებული ნორმის მიხედვით სამხედრო პირს მისი დასახიჩრების შემთხვევაში მიეცემა ერთჯერადი დახმარება 5 წლის საზღაურის ოდენობით. ამდენად, სარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის ერთჯერადი კომპენსაციის -2587,2 ლარის გადახდის დავალდებულების ნაწილში მართებულია. სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ მოთხოვნის წარმოშობის დღიდან გასული არ იყო საერთო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.02.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაცვის სამინისტრომ და 19.02.07წ. გადაწყვეტილების ნაწილობრივ, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროზე მოსარჩელის სასარგებლოდ ერთჯერადი დახმარების -2587,2 ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის ერთჯერადი დახმარების ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობით ანაზღაურებაზე უარის თქმა მოითხოვა ხანდაზმულობის ვადის გაცდენის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.07.07წ. გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.02.07წ. გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლით, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. ე-ავას სარჩელი მოპასუხისათვის ერთჯერადი დახმარების, 2587 ლარის, გადახდის დაკისრების თაობაზე, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ე-ავას სარჩელი მოპასუხისათვის ერთჯერადი დახმარების 2587 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის გარანტიების გავრცელება დამოკიდებულია გარკვეულ ხდომილებებზე და მათი სარგებლობის უფლება ვრცელდება გარკვეული დროის განმავლობაში. სამოქალაქო კოდექსის 128.1 მუხლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129.2 მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნისა, რომელიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. ე-ავას მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2000 წელს, სასამართლოს სარჩელით მიმართა 2006 წელს, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.07.07წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ე-ავამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, კერძოდ, მოპასუხისათვის ერთჯერადი დახმარების დაკისრება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის



განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. გ. ე-ავას მისაღები აქვს სპეციალური სახელმწიფო დაზღვევის ერთჯერადი კომპენსაცია უშუალოდ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონისა და «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების მოთხოვნათა საფუძველზე. აღნიშნული ნორმატიული აქტები საერთოდ არ აწესებს მოთხოვნას ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, თავად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აქვს აღიარებული სამხედრო მოსამსახურეებთან მიმართებაში საფინანსო დავალიანების არსებობა თავდაცვის მინისტრის 09.03.06წ. ბრძანებით. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. კასატორი ითხოვს სააპელაციო პალატის 13.07.07წ. გადაწყვეტილების გაუქმებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 23.01.08წ. განჩინებით გ. ე-ავას საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ე-ავას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.07.07წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია არასრულად.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი არეგულირებს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადებს, აღნიშნული ვერ გავრცელდება კასატორის მოთხოვნის მიმართ, ვინაიდან ტრავმის შედეგად ერთჯერადი დაზარალების გაცემის შესახებ გ. ე-ავას მოთხოვნა თავდაცვის სამინისტროს მიმართ არ გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, მოთხოვნა «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 16.3 მუხლით ერთჯერადი კანონისმიერი ვალდებულების შესრულებას -დაზარალების თანხის გაცემას ეხება. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლი ეხება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობას, ხოლო «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 16.3 მუხლი ითვალისწინებს ერთჯერად და არა პერიოდულ დაზარალებას. ამდენად, საფუძველს მოკლებულია სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გამოყენება. ერთჯერადი სამხედრო ტრავმის შედეგად მისაღები კომპენსაცია, როგორც სპეციალური სახელმწიფო დაზღვევის სახე, რეგულირდება «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-16, მე-17 მუხლებით, «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების 53-ე, 57-ე, 58-ე მუხლებით, დასახიჩრების შემთხვევაში ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა წარმოადგენს სახელმწიფოს არა პასუხისმგებლობას, არამედ პოზიტიურ კანონისმიერ ვალდებულებას, ამდენად სადავო სამართალურთიერთობების მიმართ არ გამოიყენება დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა (სკ-ის 1008-ე მუხ.), გ. ე-ავას სასარჩელო მოთხოვნის მიმართ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით დაწესებული ხანდაზმულობის საერთო ვადა -10 წელი მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია რა მოთხოვნა ხანდაზმულად, არ დაადგინა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ფაქტობრივი გარემოებები, აღნიშნული არ იძლევა სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლომ გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ე-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.07.07წ. გადაწყვეტილება. საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებულ მოსამსახურეთა უფლება დახმარების მიღებაზე

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-858-820(კ-07) 5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ჩინჩალაძე,  
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება, სანივთე ქონების კომპენსაცია

#### აღწერილობითი ნაწილი:

რ. პ-მემ 20.03.06წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ და ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით -4360 ლარის, სანივთე ქონების კომპენსაციის - 910,58 ლარისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯის -500 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 27.06.05წ. დაითხოვეს საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ გააჩნდა სახელფასო, სამივლინებო, ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების, ბინის ქირისა და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხების დავალიანებები. აღნიშნული დავალიანებებიდან მოთხოვნისამებრ აძლევდნენ პერიოდულად გარკვეულ თანხებს, მაგრამ დავალიანების უმეტესი ნაწილი დაუფარავი დარჩათ. კუთვნილი თანხების მისაღებად მიმართა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას, რომლისგანაც 21.02.06წ. მიიღო პასუხი, რომ კუთვნილი დავალიანებებიდან ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარებისა და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება მოცემულ ეტაპზე შეუძლებელი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.06წ. გადაწყვეტილებით რ. პ-მის სარჩელი მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელე რ. პ-მეს უარი ეთქვა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების -4360 ლარისა და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -910.5 ლარის ანაზღაურებაზე; მოსარჩელე რ. პ-მეს უარი ეთქვა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ საადვოკატო მომსახურების ხარჯის სახით 500 ლარის ანაზღაურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.06წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. პ-მემ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.05.07წ. გადაწყვეტილებით რ. პ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.06წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; რ. პ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით 4360 ლარის და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -910.58 ლარის ანაზღაურება; რ. პ-მის მოთხოვნა საადვოკატო მომსახურების ხარჯის -500 ლარის მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სანივთე ქონების კომპენსაციის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, რადგან მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულებები 2001-2003 წლებში სანივთე ქონების საკუთარი სახსრებით შეძენის შესახებ და აგრეთვე, იმის შესახებ, რომ სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში ხანდაზმული იყო. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #173 ცნობით დგინდება, რომ მოსარჩელეზე გასაცემი სანივთე ქონების კომპენსაცია 2001-2003 წლებში შეადგენდა -910,58 ლარს, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის 2005-2006 წლების წერილების თანახმად, რ. პ-მის მიმართ მითითებულია შემდეგი: «საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი თხოვნა,

მაგრამ შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში, კვლავ დაუბრუნდება თქვენს მიმართ დავალიანების ანაზღაურების საკითხის განხილვას». აღნიშნული სააპელაციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა მოპასუხის მიერ დავალიანების არსებობის აღიარებად, ხოლო სკ-ის 137-ე მუხლის თანახმად დავალიანების აღიარებით წყდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა. ამრიგად, საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ რ. პ-ძის მიერ გაშვებულ იქნა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა სააპელაციო პალატის მიერ არ იქნა გაზიარებული. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ასევე ის მოსაზრება, რომ მოსარჩელე ვალდებული იყო სასამართლოსთვის წარედგინა სანივთე ქონების შეძენის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ვინაიდან სსკ-ის 106-ე მუხლის თანახმად, საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ვერ იმსახურებდა სამხედრო მოსამსახურე, თუკი იგი სამხედრო ნაწილში არ გამოცხადდებოდა სამხედრო ფორმით. სამხედრო მოსამსახურის ამ უკანასკნელით უზრუნველყოფა სამინისტროს ევალებოდა, მაგრამ წინა წლებში შესაბამისი თანხების არქონის გამო, თავდაცვის სამინისტრო ხშირ შემთხვევაში ამას ვერ ახერხებდა. სამხედრო მოსამსახურეები კი, მათ შორის რ. პ-ძე, კეთილსინდისიერად ასრულებდნენ რა თავიანთ მოვალეობას ქვეყნის წინაშე, თავიანთივე სახსრებით ყიდულობდნენ შესაბამის ნივთებს (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქუდი და სხვ), რაც, ცხადია, თავდაცვის სამინისტროს არ ათავისუფლებს თავისი ვალდებულების თუნდაც დაგვიანებით, მაგრამ მაინც შესრულებისგან (ამჯერად ფულადი კომპენსაციის სახით). ასევე, საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ასეთი ნივთების შეძენა, უმეტესწილად, შესაძლებელი იყო მხოლოდ ბაზრობებზე, სადაც შესაბამის საბუთებს (ქვითრებს, ანგარიშ-ფაქტურებს) ხშირ შემთხვევაში არ იძლეოდნენ. ამრიგად, სადავო საკითხების გადასაწყვეტად მტკიცებულებების წარმოდგენის მთელი ტვირთის მხოლოდ მოსარჩელეზე დაკისრება მართებული არ იქნება, მით უფრო, რომ კანონი მას არ ავალდებულებდა წარედგინა აღნიშნული ცნობები თავდაცვის სამინისტროსათვის (საკმარისია, რომ იგი სათანადო ფორმით ცხადდებოდა სამხედრო ნაწილში). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები, მათ შორის თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა #137, რომლის თანახმადაც, მოსარჩელეს მისაღები ჰქონდა 2001-2003 წლების ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაცია -910.58 ლარის ოდენობით, ხოლო რაიმე საწინააღმდეგო მტკიცებულება მოწინააღმდეგე მხარეს არ წარუდგენია (მაგალითად, იმის შესახებ, რომ რ. პ-ძეზე გაიცა ფულადი კომპენსაცია ან მას მიეცა სანივთე ქონება ნატურით, ან იგი დადიოდა სამსახურში სათანადო ფორმის გარეშე). «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 12.3 მუხლის თანახმად, «სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფო ხარჯზე ეძლევა, ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია». აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ ჰქონდა უფლება, არ შეესრულებინა ხსენებული კანონის დანაწესი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეზე უნდა გაიცეს ერთჯერადი დახმარება 4360 ლარის ოდენობით, რადგან საფუძველი, რის გამოც მას თავის დროზე არ მიეცა ხსენებული დახმარება, ამჟამად აღარ არსებობს, კერძოდ: «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების 33<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსამსახურეების, კურსანტებისა და რეზერვებიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი იყვნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახური წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახური წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახური წლების ჩათვლით), ეძლეოდათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება -ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით. ამავე ბრძანებულების 61<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, ამ ბრძანებულების 33<sup>1</sup>-ე მუხლის მოქმედება შეჩერებულ იქნა 2006 წლის 1 იანვრამდე. ამჟამად, კი აღნიშნული ნორმა აღარ არის შეჩერებული და არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი ამ ნაწილში სარჩელის არდაკმაყოფილებისა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ სწორად დაიანგარიშა ერთჯერადი დახმარება, რომელიც ჯამში შეადგენს - 4360 ლარს და არ გაიზიარა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფულად სარგოებში არ უნდა შევიდეს თანამდებობრივი კატეგორიები. მართალია, თავდაპირველად საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულებით გათვალისწინებულ ფულად სარგოებში გათვალისწინებული იყო მხოლოდ თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოები, მაგრამ ხსენებული ბრძანებულების #1 დანართში ცვლილებები შევიდა საქართველოს პრეზიდენტის 27.01.06წ. #82 ბრძანებულებით და ამიერიდან, ფულად სარგოებში ასევე განისაზღვრა კატეგორიებიც. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. პ-ძის სააპელაციო საჩივარი საადვოკატო მომსახურების ხარჯის -500 ლარის მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ სრულიად უსაფუძვლო იყო, რადგან მან ვერც პირველ და ვერც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ვერ წარადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მისი მხრიდან ნამდვილად იყო საადვოკატო ხარჯები გაწეული.

უფრო მეტიც, არც საქალაქო სასამართლოში და არც სააპელაციო სასამართლოში მას წარმომადგენელი არ ჰყოლია. ყოველივე აღნიშნულის გამო, მასზე ვერ გავრცელდება სსკ-ის 53.1 მუხლის დანაწესი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარმოადგინა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისთვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ რ. პ-მ საქართველოს თავდაცვის მინისტრის #1785 ბრძანებით დათხოვნილია შეიარაღებული ძალებიდან, ამ დროისათვის კი საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების 33<sup>1</sup> მუხლის მოქმედება ამავე ბრძანებულების 61<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად შეჩერებული იყო და იგი ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს პრეზიდენტის 31.12.04წ. #640 ბრძანებულებით ამ ნორმათა ასახვა #493 ბრძანებულებაში განხორციელდა ერთდროულად, რის გამოც ის უნდა გავრცელდეს 2006 წლის 1 იანვრიდან წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და მისი გავრცელება 2005 წლის მდგომარეობით წარმოშობილ სამართალურ-თიერთობებზე არამართლომდგომარეობაა. ამასთან, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნორმას უკუქცევითი ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს. არასწორია სასამართლოს მოსაზრება, თითქოსდა სამხედრო მოსამსახურეთა ფულად სარგოებს მოიცავს თანამდებობრივი, წოდებრივი და დანამატის კატეგორიები იმდენად, რამდენადაც რ. პ-მის დათხოვნის დროისათვის საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების მე-9 მუხლით სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი სარგოები მოიცავდა თანამდებობრივს და წოდებრივს. სასამართლოს მსჯელობა თითქოსდა საქართველოს პრეზიდენტის 27.01.06წ. #82 ბრძანებულების შესაბამისად (აღნიშნული ბრძანებულებით ცვლილება შეტანილი #493 ბრძანებულებაში) ფულად სარგოებში გათვალისწინებულ იქნა დანამატის კატეგორიები, არასწორია, ვინაიდან სამხედრო მოსამსახურეთა ფულად სარგოს განსაზღვრავს არა #82 ბრძანებულების მე-6<sup>1</sup> პუნქტი, არამედ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების მე-5<sup>1</sup> მუხლი, რომელშიც პირდაპირ არის გაწერილი, რომ «სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი სარგო შედგება თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოებისგან». სასამართლომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის მიუხედავად, აღნიშნული მოთხოვნის ნაწილში ასევე არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ სსკ-ის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის მოთხოვნები. რ. პ-მეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმართული აქვს სარჩელით, სადაც ითხოვს -თავდაცვის მინისტრის 27.06.05წ. #1785 ბრძანების ბათილობას, სამსახურში აღდგენას და განაცდურის ანაზღაურებას, დღეისათვის საქმის განხილვა არ არის დამთავრებული. ვინაიდან არ არის მიღებული რ. პ-მის სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებით სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, სასამართლო ვალდებული იყო შეეჩერებინა საქმის განხილვა ერთჯერადი დახმარების ნაწილში. რაც შეეხება 2001-2002-2003 წლების სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის -910,58 ლარის თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებას, კასატორი თვლის, რომ სასამართლომ ასევე არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ დოკუმენტებს და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ: საქმეში წარმოდგენილი #173 ცნობა და ფინანსების მართვის დეპარტამენტის 20.02.06წ. #9/369 წერილი სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩათვალა ვალის აღიარებად, რაც არასწორია, ვინაიდან მათში არ არის მითითებული თავდაცვის სამინისტროს მიერ სანივთე ქონების კომპენსაციის თანხის დავალიანებად აღიარება და მისი გადახდის დაპირება. აღნიშნული დოკუმენტები საინფორმაციო ხასიათისაა და ვალის აღიარებად არ შეიძლება ჩაითვალოს, სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში არამართლებულად იქნა გამოყენებული სსკ-ის 137-ე მუხლი და შესაბამისად, სახეზეა სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდამულობის სამწლიანი ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.09.07წ. განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი. აღნიშნულ განჩინებაზე 01.10.07წ. მოსაზრება წარმოადგინა რ. პ-მ და საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა მოითხოვა. რ. პ-მ აღნიშნავს, რომ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის დაკმაყოფილება შეესაბამება ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკას, რასაც ადასტურებს საკასაციო პალატის 11.07.07წ. გადაწყვეტილება. დაშვებულია სადავო ურთიერთობების მიმართ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების 5<sup>1</sup> მუხლის გამოყენება, რომლის მიხედვით «სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი სარგო შედგება თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოებისგან» და ამდენად გამოირიცხება დანამატის კატეგორია. 5<sup>1</sup> მუხლი საქართველოს პრეზიდენტის 22.08.2006წ. #500 ბრძანებულებით არის გათვალისწინებული და იგი ვერანაირად ვერ გავრცელდება ერთი წლით ადრინდელ ეპიზოდზე, სამსახურიდან დათხოვნის (27.07.2005წ.) პერიოდში ასეთი დათქმა ბრძანებულებაში არ არსებობდა. დანამატის კატეგორია ფულად სარგოში შევიდა საქართველოს პრეზიდენტის 15.01.2005წ. #17 ბრძანებულების მე-2 პუნქტით და მათი ოდენობები დაზუსტდა საქართველოს პრეზიდენტის 24.01.2005წ. #47 ბრძანებულების 1-ლი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტით,

რომლებიც მოქმედებდნენ სამსახურიდან გათავისუფლების მომენტში, 5<sup>1</sup> მუხლი სამსახურიდან გათავისუფლებიდან ერთი წლის შემდეგ ამოქმედდა. რ. პ-მე აღნიშნავს აგრეთვე, რომ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება არის უმუშევრად დარჩენილი პირის ერთგვარი სოციალური დაცვის საშუალება და იგი დათხოვნისთანავე უნდა გაიცეს მაშინ, როდესაც სამსახურიდან დათხოვნის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე დაწყებული სამართალწარმოება შეიძლება წლობით გაგრძელდეს და ამ პერიოდში დახმარების გაუცემლობის შემთხვევაში სამსახურიდან დათხოვნილი პირი თავის ოჯახთან ერთად სოციალურად დაუცველად რჩება. საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გაცემული ცნობები ინფორმაციული ხასიათისაა და არ შეიცავს აღიარებას, 03.05.2004წ., 20.02.2006წ. #9/369, 04.07.2005წ. #9/1880 ცნობები შეიცავენ დაპირებას და წარმოადგენენ ვალის აღიარებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და ითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარე საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნო უსაფუძველობის გამო და სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება ითხოვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 27.06.05წ. #1785 ბრძანებით რ. პ-მე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე (რეორგანიზაცია და შტატების შემცირება). 02.09.05წ. #305 ცნობის თანახმად, შეიარაღებულ ძალებში რ. პ-მის ნამსახურების სტაჟი შეადგენს 11 წელს, 10 თვეს და 12 დღეს. «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულებაში 31.12.04წ. #640 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილება-დამატებების თანახმად, ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტით დადგინდა, რომ სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების ჩათვლით) ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით. ამავე ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტის მიხედვით 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. რ. პ-მე შეიარაღებული ძალების რიგებიდან 27.06.05წ. იქნა დათხოვნილი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელეზე ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით უნდა გაიცეს 4360 ლარი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ არის დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად ქმნის გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების განსაზღვრისას სააპელაციო პალატამ უკრიტიკოდ გაიზიარა მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული გაანგარიშება და შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ მოსარჩელემ სწორად დაიანგარიშა ერთჯერადი დახმარების ოდენობა. ერთჯერადი დახმარების სახით მოპასუხისათვის 4360 ლარის დაკისრების მართლობიერება არ დასტურდება სააპელაციო პალატის მითითებით საქართველოს პრეზიდენტის 27.01.06წ. #82 ბრძანებულებაზე. საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების #1 დანართში საქართველოს პრეზიდენტის 27.01.06წ. #82 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებების თანახმად ფულად სარგოებში მოიაზრება არა მხოლოდ თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოები, არამედ აგრეთვე კატეგორიებიც. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ეპთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ოდენობა უნდა განისაზღვროს მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების მიღების დროს მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისად არ არსებობს სადავო სამართალური იეროებების მიმართ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულებაში 22.08.06წ. #500 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების, კერძოდ 5<sup>1</sup> პუნქტის გამოყენების შესაძლებლობა. «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების მე-9 მუხლის თანახმად სამხედრო მოსამსახურეების ფულადი სარგო მოიცავდა თანამდებობრივ და წოდებრივ სარგოებს. საქართველოს პრეზიდენტის 24.01.05წ. #47 ბრძანებულებით 05.11.04წ. #493 ბრძანებულებით დამტკიცებული #1 დანართი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, აღნიშნულის შედეგად ფულადი სარგოების ნუსხას დაემატა მესამე კომპონენტი -სამხედრო მოსამსახურეთა დანამატის კატეგორიები. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 05.11.04წ. #493 ბრძანებულების #1 დანართში ცვლილება-დამატებების შეტანის მიუხედავად უცვლელად დარჩა 05.11.04წ. #493 ბრძანებულების მე-9 პუნქტი, რომლის იმპერატიული დანაწესის თანახმად სამხედრო მოსამსახურის ფულადი სარგო კვლავინდებურად

მოიკავდა თანამდებობრივ და წოდებრივ სარგოებს. საქმეში დაცული 27.09.05წ. ცნობის თანახმად დასტურდება, რომ რ. პ-ძეს თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 280 ლარს, სამხედრო წოდებისათვის სარგო -50 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ გ. პ-ძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1993 წლიდან იმყოფებოდა, რ. პ-ძეს საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების 33<sup>1</sup> და 33 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა მიეღო გასასვლელი დახმარება ფულადი სარგოს რვაშვილი ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ანაზღაურებას უნდა დაეკვემდებაროს ერთჯერადი დახმარება 2640 ლარის ოდენობით ( $280+50=330 \times 8=2640$ ).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულებით დადგენილი იქნა შტატების შემცირებასა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებული სამხედრო მოსამსახურეთა უფლება გასასვლელი დახმარების მიღებაზე, რომლის ოდენობაც დამოკიდებულებაა სამხედრო ძალებში ნამსახურებ წელთა რაოდენობაზე. 2004 წლის 15 ნოემბრიდან ძალაში შესული ნორმის მოქმედების 2006 წლის 1 იანვრამდე შეჩერებით სახელმწიფომ განსაზღვრა აღნიშნული უფლების რეალიზების პირობა. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებში ნორმის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას (იხ. მაგ. «საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ» კანონის 25.5 მუხ., «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 51.4 მუხ., ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხ.), ნორმის მოქმედების შეჩერება უფლების დაკარგვის საფუძველს არ ქმნის. ნორმის მოქმედების შეჩერება არ ნიშნავს ნორმით აღიარებული უფლების გაუქმებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ ნორმის შეჩერებით სახელმწიფომ აღიარა კასატორის უფლება მიეღო ფულადი დახმარება, ნორმის შეჩერებით გადავადდა აღიარებული უფლების რეალიზაცია. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში, რაც გულისხმობს არა მარტო უმუშევრის სტატუსის განსაზღვრა-მოწესრიგებას და სამუშაოს პოვნაში რეალურ დახმარებას, არამედ სამუშაოდან დათხოვნის დროიდან კუთვნილი კომპენსაციის, გამოსასვლელი დახმარების მიღების უფლებასაც. საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილებით სადავო საკანონმდებლო აქტის, რომლითაც შეჩერდა კანონის ნორმის მოქმედება, არაკონსტიტუციურად ცნობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს სწორედ ის წარმოადგენდა, რომ აქტი უსამართლოდ აჭიანურებდა და ფაქტობრივად ართმევდა მოქალაქეებს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. ხსენებული გადაწყვეტილების თანახმად კანონმდებელს უფლება აქვს შეაჩეროს ნორმატიული აქტის მოქმედება, რაც არ უნდა ღებულობდეს უსასრულოდ პერმანენტულ ხასიათს და არ უნდა იქცეს კანონის მოქმედების პრინციპად. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო ურთიერთობა უკავშირდება ნორმის მოქმედების შეჩერებას და არა მის დროში და სივრცეში მოქმედებას. ამდენად, «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 47.1 მუხლზე მითითებით კასატორის მსჯელობა ნორმის უკუქცევითი ძალის არარსებობის შესახებ არ ქმნის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 33<sup>1</sup> პუნქტი არ ვრცელდება 2005 წლის მდგომარეობით წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493-ე ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტი ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურისათვის გასასვლელი დახმარების გაცემას მიუხედავად სამსახურიდან გათავისუფლების დროისა, სხვაგვარი გამარტება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულ მოქალაქეთა თანასწორობას, ფიქტიურ ხასიათს აძლევს ნორმით აღიარებულ უფლებას. 2005 წელს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირებისათვის დახმარების გაცემაზე უარის შემთხვევაში 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედების შეჩერების ნაცვლად ნორმის ძალაში შესვლის თარიღად 2006 წლის 1 იანვარი განისაზღვრებოდა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ რ. პ-ძემ სასამართლოს 20.03.06წ. მიმართა. ვინაიდან ნორმა, რომელსაც ემყარება გასასვლელი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნა, 2006 წლის 1 იანვრიდან კვლავ ამოქმედდა, ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ რ. პ-ძემ სარჩელი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის შესახებ აღძრა 05.11.04წ. #493 ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტის 21.09.07წ. #531 ბრძანებულებით გაუქმებამდე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოთხოვნა ერთჯერადი დახმარების -ფულადი სარგოს რვაშვილი ოდენობით ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება თავისი ბუნებით წარმოადგენდა უმუშევრად დარჩენილი პირის სოციალური დაცვის ერთგვარ საშუალებას, რომელიც სამსახურიდან დათხოვნისთანავე უნდა გაცემულიყო, საკასაციო პალატა შესაძლებლად თვლის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ დავის დასრულებამდე ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის შესახებ დავის გადაწყვეტას, მით უფრო, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამსახურში აღდგენის შესახებ რ. პ-ძის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში არსებობს ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების თანხის გამოქვითვის შესაძლებლობა იძულებითი განაცდურის თანხიდან.

საქმეში დაცული მასალების, კერძოდ 04.05.04წ. #173 ცნობის მიხედვით, დასტურდება, რომ მოსარჩელეზე გასაცემი სანივთო ქონების კომპენსაცია 2001-2003 წლებში 910,58 ლარს შეადგენდა. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევათ ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. «შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ» საქართველოს თავდაცვის მინისტრის 27.06.05წ. #1785 ბრძანების გამოცემამდე რ. პ-ძეს გააჩნდა სამხედრო მოსამსახურის სტატუსი. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ 2001-2003 წლებში რ. პ-ძეს არ მიუღია ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონება ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. სანივთე ქონების ფულადი კომპენსაციის ვალდებულება პერიოდულად, ყოველწლიურად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს და მასზე უნდა გავრცელდეს სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის საშუალო ვადა. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რ. პ-ძის მიმართეებზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის 04.07.05წ., 20.02.06წ. წერილებს (პასუხებს) რ. პ-ძის მიმართ არა აქვთ მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი, დავალიანების დაფარვის შესახებ რ. პ-ძის განცხადებების პასუხად მოპასუხე აცნობებდა რ. პ-ძეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მოთხოვნა, მაგრამ შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდებოდა დავალიანების ანაზღაურების საკითხის განხილვას. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მოპასუხის მიერ მოსარჩელის წინაშე დავალიანების ანაზღაურების შესახებ, რაც სკ-ის 137-ე მუხლის თანახმად სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ რ. პ-ძე 2005 წლიდან არ არის სამხედრო მოსამსახურე. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე მოპასუხე ვალდებული იყო მოსარჩელისათვის გადაეცა დადგენილი ნორმის სანივთე ქონება ან მისი ფულადი კომპენსაცია, რაც რ. პ-ძეს არ მიუღია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ერთჯერადი დახმარების სახით 4360 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში რ. პ-ძის სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოს 14.05.07წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 14.05.07წ. გადაწყვეტილება გაუქმდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით 4360 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში რ. პ-ძის სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

2. მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით 2640 ლარის ანაზღაურება;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.05.07წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ერთჯერადი დახმარების გაცემა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-818-780(კ-07)

24 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემა, სანივთე ქონების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

16.11.06წ ზ. კ-ძემ და ე. თ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს: თავდაცვის სამინისტროსათვის ზ. კ-ძის სასარგებლოდ 1354.14 ლარის ოდენობით 1998-2005წწ. გაუცემელი ხელფასის, 506,35 ლარის ოდენობით სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საკომპენსაციო თანხის და 620 ლარის ოდენობით ერთჯერადი გასასვლელი დახმარების, სულ 2480,49 ლარის, ხოლო ელენე თ-შვილის სასარგებლოდ 1998-2000წწ. 188.29 ლარის ოდენობით გაუცემელი ხელფასის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე ზ. კ-ძემ აღნიშნა, რომ 1998 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, 15.07.05წ. რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან. სამხედრო სამსახურის პერიოდში თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იყო მოეხდინა მისი სამხედრო ფორმის ტანსაცმლით ან შესაბამისი კომპენსაციით უზრუნველყოფა. სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საკომპენსაციო თანხა 29.09.06წ. #202 ცნობის თანახმად, 506,35 ლარს შეადგენს. თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ გააჩნდა 1998-2000წწ. გაუცემელი 1354.14 ლარის ოდენობით სახელფასო დავალიანება. სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იყო აენაზღაურებინა ყოფილი თანამშრომლისათვის ერთჯერადი გასასვლელი დახმარება «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. ბრძანებულების 33-ე და 33<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად. მოსარჩელე ე. თ-შვილმა აღნიშნა, რომ 1999 წლის აგვისტოდან 2005 წლის ოქტომბრამდე ირიცხებოდა შეიარაღებულ ძალებში. სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ თავდაცვის სამინისტროს არ აუნაზღაურებია ე. თ-შვილისათვის 1998-2000წწ. გაუცემელი ხელფასი 188.92 ლარის ოდენობით. 10.07.06წ. ე. თ-შვილმა მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით. პასუხად ეცნობა, რომ დავალიანების არარსებობის გამო მიმდინარე წელს ვერ მოხერხდება დავალიანების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.12.06წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელების ზ. კ-ძისა და ე. თ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზ. კ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების სახით 1354.14 ლარის, სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საკომპენსაციო თანხის სახით 506.35 ლარის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობის სახით 620 ლარის გადახდა დაეკისრა. მოსარჩელე ე. თ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 188.29 ლარის ოდენობით სახელფასო დავალიანების ანაზღაურება დაეკისრა. სასამართლო კოლეგიამ საქმეში წარმოდგენილი 29.09.05წ. #202 ცნობის საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია, რომ ზ. კ-ძე ს/ნ 06328-ში მსახურობდა 1998 წლის 31 ივლისიდან 2005 წლის 15 ივლისამდე და მასზე გასაცემი ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაცია სულ შეადგენდა 506.35 ლარს. 26.09.06წ. #2516 ცნობის თანახმად, ზ. კ-ძის სახელფასო დავალიანებამ 1998-2000წწ. შეადგინა 1354.14 ლარი. ე. თ-შვილი მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 21242-ს სამხედრო ნაწილში და მისმა სახელფასო დავალიანებამ შეადგინა 188.29 ლარი. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელები იყვნენ საჯარო მოსამსახურეები. აღნიშნული კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამჯელო. ამავე კანონის მე-14 მუხლის თანახმად, შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. იმ პერიოდში მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად მუშა-მოსამსახურეს მისი დათხოვნისას საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლევა დათხოვნის დღეს. «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ.



ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურების წლების მიხედვით ეძლევათ ერთჯერადი დახმარება ფულადი სარგოს ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით. ამ დებულების 33-ე პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, მოსარჩელე ზ. კ-ძისთვის მოპასუხეს უნდა აენაზღაურებინა ერთჯერადი გასასვლელი დახმარება ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობით. მართალია აღნიშნული ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტის თანახმად ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ მოცემული არ გულისხმობს მოპასუხე სამინისტროს მთლიანად გათავისუფლებას მოსარჩელე ზ. კ-ძის სასარგებლოდ ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული დახმარების გაცემის ვალდებულებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.12.06წ. გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და თავდაცვის სამინისტროსათვის ზ. კ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი დახმარებისა და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 14.05.07წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.12.06წ. გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილი და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ზ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნა გასასვლელი დახმარების ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობის სახით 620 ლარის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი მოტივაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელე ზ. კ-ძის სასარგებლოდ სანივთე ქონების კომპენსაციის თანხის დაკისრების ნაწილში. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნორმის შეჩერება არ ათავისუფლებს მოპასუხეს აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული დახმარების გაცემის ვალდებულებისაგან. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტით ამავე 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტით განისაზღვრა 33<sup>1</sup> პუნქტის ძალაში შესვლის დრო -2006წ 1 იანვარი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ნორმის შეჩერების პერიოდში წარმოშობილ ურთიერთობებზე აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.05.07წ გადაწყვეტილება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 14.09.07წ განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული. მხარეებს უფლება მიეცათ წარმოედგინათ მოსაზრებები საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 14.05.07წ. გადაწყვეტილება ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. კ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 10.12.07წ განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული. მხარეებს უფლება მიეცათ წარმოედგინათ მოსაზრებები საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით.

კასატორმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. 1998-2000წწ. კვების კომპენსაციის, ჯილდოს, მატერიალური დახმარების და სანივთე ქონების კომპენსაციის ნაწილში ზ. კ-ძის მოთხოვნა თავისი შინაარსიდან და შესრულების პერიოდულობიდან გამომდინარე განეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს და მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა. მოსარჩელემ სარჩელი წარადგინა 2006 წელს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა სანივთე ქონების კომპენსაციის ნაწილში, რითაც ფაქტობრივად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს. არც ერთ გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის, თუ რომელი კანონის საფუძველზე დააკისრა სასამართლომ სამინისტროს სანივთე ქონების კომპენსაციის გადახდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია კანონის არასწორი განმარტების საფუძველზე. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 12.3 მუხლის გადაწყვეტილების დროს მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებდა სანივთე ქონების კომპენსაციის ცნებას. იმავე ნორმით

სანივთე ქონების კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ჰქონდა სამხედრო მოსამსახურეს. სარჩელის შეტანის დროისათვის მოსარჩელეს სამხედრო მოსამსახურის სტატუსი არ გააჩნდა.

კასატორმა ზ. კ-მემ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად განმარტა კანონი, ამასთანავე, სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 31.12.04წ. #640 ბრძანებულებით შეჩერებული იქნა 05.11.04წ. #493-ე ბრძანებულების 33-ე და 33<sup>1</sup> პუნქტების მოქმედება 2006 წლის 1 იანვრამდე, რის გამოც 2004-2005წწ. განთავისუფლებულ პირებს გასასვლელი დახმარება არ ეკუთვნოდათ. კასატორი თვლის, რომ საქართველოში მოქმედი არც ერთი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ იცნობს ნორმის შეჩერების ცნებას. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონი ითვალისწინებს საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის რომელიმე მუხლის ან მისი ნაწილის ამოქმედების გადავადების შესაძლებლობას, რაც სამართალურთიერთობის წარმოშობის დროისათვის ნორმის არარსებობას ნიშნავს, აღნიშნული თავისი არსით განსხვავდება ნორმის შეჩერებისაგან. კასატორს მიაჩნია, რომ შეჩერებული ნორმის ამოქმედების შემდეგ, მისი აღსრულება უნდა განხორციელდეს საერთო წესების დაცვით, რაც გულისხმობს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირთათვის, მათი განთავისუფლების ვადის მიუხედავად, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურებას. კასატორი მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლზე, რომელიც ადგენს ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. საქართველოს პრეზიდენტის #493-ე ბრძანებულებაც სრულიად იზიარებს და ეყრდნობა ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნას, რაც გულისხმობს სამსახურიდან განთავისუფლებული ყველა სამხედრო მოსამსახურისათვის გასასვლელი დახმარების ანაზღაურებას, მიუხედავად მათი განთავისუფლების დროისა. საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებზე, რაც, კასატორის აზრით, წარმოადგენს ზემოთ მითითებული დახმარების დანიშვნის წინაპირობას.

კასატორმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე წარმოადგინა მოსაზრება, რომელშიც აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ განჩინების გამოტანისას იხელმძღვანელა კანონით, რომლითაც არ უნდა ეხელმძღვანელა და არ იხელმძღვანელა კანონით რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა, სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, რითაც დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას. კასატორ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიაჩნია, რომ მისი საკასაციო საჩივარი დასაშვებია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე.

საკასაციო პალატის 16.01.08წ. განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. კ-მის საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ზ. კ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევათ სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 2005 წლის 15 ივლისს ზ. კ-მე დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ზ. კ-მეს არ მიუღია ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონება ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სანივთე ქონების ფულადი კომპენსაციის ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს და მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ზ. კ-მემ სარჩელით სასამართლოს 16.11.06წ. მიმართა. საქმის მასალების მიხედვით სანივთე ქონების კომპენსაციის დავალიანება 2004 წელს წარმოიშვა, ამდენად მოცემულ შემთხვევაში დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა. სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საკომპენსაციო თანხამ 29.09.05წ. #202 ცნობის მიხედვით, 506,35 ლარს შეადგენს. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.3 მუხლის თანახმად სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ანალოგიურ დებულებას ითვალისწინებდა «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების მე-5 მუხლი, ბრძანებულების #3 დანართით განისაზღვრებოდა სამხედრო მოსამსახურეების სანივთე ქონებით უზრუნველყოფის ნორმები. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის

არსებობდა სანივთე ქონების კომპენსაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, შესაბამისად საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს უსაფუძვლოდ მოტივით უარი უნდა ეთქვა მოსარჩელისათვის სანივთე ქონების კომპენსაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.12.06წ. გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ნაწილში გაასაჩივრა, რომლითაც დაკმაყოფილდა ზ. კ-ძის მოთხოვნა ერთჯერადი დახმარებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის ნაწილში, ხოლო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც სახელფასო დავალიანების სახით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზ. კ-ძის სასარგებლოდ 1354.14 ლარი დაეკისრა, მოპასუხეს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია და გადაწყვეტილების ეს ნაწილი შესულია კანონიერ ძალაში. სახელფასო დავალიანებიდან 683.04 ლარს შეადგენდა კვების ანაზღაურება. საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსული იმსჯელოს კვების კომპენსაციის მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ვინაიდან აღნიშნულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

«საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების 33<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით (მათ შორის ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების ჩათვლით) ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოების ამ დებულების 33-ე პუნქტით გათვალისწინებული ოდენობით. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ზ. კ-ძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 1998-2005 წლებში; 1998 წლის 29 ივლისიდან 2002 წლის 20 თებერვლამდე მუშაობდა I თანრიგის საინჟინრო ბაზაში, ხოლო 2002 წლის 20 თებერვლიდან -2005 წლის 15 ნოემბრამდე -ლოგისტიკის ცენტრალურ დეპოში. 15.11.05წ. ზ. კ-ძე დათხოვნილი იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. კ-ძეს «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულების 33<sup>1</sup> და 33 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა მიეღო გასასვლელი დახმარება ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობით. ერთჯერადი დახმარების გაცემაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულებაში 31.12.04წ. #640 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებებით ამავე ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულება ამოქმედდა 2004 წლის 15 ნოემბრიდან. ბრძანებულების 33-ე პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის გამო ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების მიხედვით ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოს სახით. საქართველოს პრეზიდენტის 31.12.04წ. #640 ბრძანებულებით ცვლილება იქნა შეტანილი 05.11.04წ. #493 ბრძანებულებაში, რომლითაც ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი იმ პირებზე, რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, განისაზღვრა ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტით, ამავე 31.12.04წ. #640 ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტით ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულებით დადგენილი იქნა შტატების შემცირებასა და რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებული სამხედრო მოსამსახურეთა უფლება გასასვლელი დახმარების მიღებაზე, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია სამხედრო ძალებში ნამსახურებ წელთა რაოდენობაზე. 2004 წლის 15 ნოემბრიდან ძალაში შესული ნორმის მოქმედების 2006 წლის 1 იანვრამდე შეჩერებით სახელმწიფომ განსაზღვრა აღნიშნული უფლების რეალიზების პირობა. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებში ნორმის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას (იხ. მაგ. «საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ» კანონის 25.2 მუხ., «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 51.4 მუხ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხ.), ნორმის მოქმედების შეჩერება უფლების დაკარგვის საფუძველს არ ქმნის. ნორმის მოქმედების შეჩერება არ ნიშნავს ნორმით აღიარებული უფლების გაუქმებას. საკასაციო პალატა

თვლის, რომ ნორმის შექმნით სახელმწიფომ აღიარა კასატორის უფლება მიეღო ფულადი დახმარება, ნორმის შექმნით გადავადდა აღიარებული უფლების რეალიზაცია. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში, რაც გულისხმობს არა მარტო უმუშევრის სტატუსის განსაზღვრა-მოწესრიგებას და სამუშაოს პოვნაში რეალურ დახმარებას, არამედ სამუშაოდან დათხოვნის დროიდან კუთვნილი კომპენსაციის, გამოსასვლელი დახმარების მიღების უფლებასაც. საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილებით სადავო საკანონმდებლო აქტის, რომლითაც შექმნა კანონის ნორმის მოქმედება, არაკონსტიტუციურად ცნობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს სწორედ ის წარმოადგენდა, რომ აქტი უსამართლოდ უჭიანურდება და ფაქტობრივად ართმევდა მოქალაქეებს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. ხსენებული გადაწყვეტილების თანახმად კანონმდებელს უფლება აქვს შეაჩეროს ნორმატიული აქტის მოქმედება, რაც არ უნდა ეფუძნებოდეს უსაფუძვლოდ პერმანენტულ ხასიათს და არ უნდა იქცეს კანონის მოქმედების პრინციპად. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო ურთიერთობა უკავშირდება ნორმის მოქმედების შეჩერებას და არა მის დროში და სივრცეში მოქმედებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულება ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურისათვის გასასვლელი დახმარების გაცემას მიუხედავად სამსახურიდან გათავისუფლების დროისა, სხვაგვარი განმარტება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულ მოქალაქეთა თანასწორობას, ფიქტიურ ხასიათს აძლევს ნორმით აღიარებულ უფლებას. 2005 წელს სამხედრო მოსამსახურიდან დათხოვნილი პირებისათვის დახმარების გაცემაზე უარის შემთხვევაში 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედების შეჩერების ნაცვლად ნორმის ძალაში შესვლის თარიღად 2006 წლის 1 იანვარი განისაზღვრებოდა.

საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493 ბრძანებულებაში 05.11-04წ. #493 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ფულადი სარგო, ზ. კ-ძის ნამსახურები წლების მიხედვით, შეადგენს ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობას, ანუ 620 ლარს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზ. კ-ძე 1998 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, ზ. კ-ძე სამსახურიდან დათხოვნილი იქნა 15.11.2005წ. რეორგანიზაციისთან დაკავშირებული შტატების შემცირების გამო, ამდენად არსებობს აღნიშნული ბრძანებულების 33-ე, 33<sup>1</sup> პუნქტებით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის სამართლებრივი საფუძველი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზ. კ-ძემ სასამართლოს 16.11.06წ მიმართა, ვინაიდან ნორმა, რომელსაც ემყარება გასასვლელი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნა, 2006 წლის 1 იანვრიდან კვლავ ამოქმედდა, ზ. კ-ძის მოთხოვნა ერთჯერადი დახმარების -ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობით ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს. მოსარჩელის აღნიშნულ უფლებას არ ზღუდავს არც ის ფაქტი, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ #493 ბრძანებულების 33 და 33<sup>1</sup> პუნქტები გაუქმებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 21.09.07წ. #531 ბრძანებულებით. აღნიშნული ნორმები მოქმედებდა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვის დროს, მოსარჩელეს კანონმდებლობით მინიჭებული ჰქონდა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების მიღების უფლება სარჩელის აღძვრის მომენტში. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შემდგომი გაუქმება არ წარმოადგენს სარჩელზე უარის თქმის საფუძველს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე და 412-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ზ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.05.07წ. გადაწყვეტილება გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების ანაზღაურების შესახებ ზ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზ. კ-ძის სასარგებლოდ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით დაეკისროს ფულადი სარგოს ხუთმაგი ოდენობა -620 ლარის ოდენობით;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დახმარება მრავალშვილიან ოჯახზე

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-887-849(კ-07)

22 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ც. ფ-მემ სასარჩელო განცხადებით განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისი ოჯახის სასარგებლოდ მოპასუხეს დაკისრებოდა თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე 35 ლარის გადახდა 2004 წლის მაისიდან. მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ მას და მის მეუღლეს ა. ფ-მეს ჰყავთ ათი შვილი, რომელთაგან ოთხი სასკოლო ასაკის არასრულწლოვანია. «საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, 2004 წლის მაისიდან განისაზღვრა 35 ლარის დენობით საციალური დახმარების გაწევა იმ მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავდათ შვიდი და მეტი შვილი, 18 წლამდე ასაკის ბავშვი. მოსარჩელემ აღნიშნული სოციალური დახმარების მიღების მოთხოვნით მიმართა ჯერ თერჯოლის რაიონის გამგეობის საციალურ განყოფილებას, შემდეგ კი - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალურ დეპარტამენტს, მაგრამ დახმარების გაცემაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, დახმარება მიეცემოდა იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავდათ შვიდი არასრულწლოვანი ბავშვი. მოსარჩელის მოსარჩებით, დახმარების გაცემაზე უარი გამოწვეული იყო კანონის არასწორი განმარტებით.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით ც. ფ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. რაიონული სასამართლოს განმარტებით, «საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავდათ შვიდი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ყოველთვიურად ეძლეოდათ საციალური დახმარება 35 ლარის ოდენობით. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრებით, იმისთვის, რომ მოსარჩელეს დანიშნოდა დახმარება, მას უნდა ჰყოლოდა ოჯახში შვიდი და მეტი 18 წლამდე ასაკი ბავშვი. კონკრეტულ შემთხვევაში კი მოსარჩელის ოჯახში იყო მხოლოდ ოთხი არასრულწლოვანი, რის გამოც შეუძლებელი იყო სარჩელის დაკმაყოფილება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ც. ფ-მის წარმომადგენელმა ცე. ფ-მემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 11 ივლისის განჩინებით ც. ფ-მის წარმომადგენელ ცე. ფ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ ც. ფ-მეს ჰყავდა ათი შვილი, რომელთაგან 18 წლამდე ასაკის იყო მხოლოდ ოთხი მათგანი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ «საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის «ე» ქვეპუნქტის განმარტება და მიიჩნია, რომ მითითებული კანონი ვრცელდებოდა მხოლოდ იმ ოჯახებზე, რომელთაც ჰყავდათ შვიდი ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ანუ დახმარების მიღებისათვის აუცილებელი იყო, ოჯახის წევრი შვიდი ბავშვი მაინც ყოფილიყო არასრულწლოვანი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ც. ფ-მის წარმომადგენელმა ცე. ფ-მემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 4 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 11 ივლისის განჩინება და საქმეზე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 5 მარტის განჩინებით საქმეში არასათანადო მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიცვალა სათანადო მოპასუხით სსიპ «სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოთი».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ც. ფ-ძის წარმომადგენელ ცე. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ც. ფ-ძის წარმომადგენლის ცე. ფ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სსიპ «სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს» დაეკისრა მოსარჩელის ოჯახის სასარგებლოდ 35 ლარის გადახდა 2004 წლის მაისის თვიდან.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 4 აპრილის #ბს-1246-821 (კ-05) განჩინებით «საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის «ე» ქვეპუნქტი განიმარტა ისე, რომ აღნიშნული ნორმა არ უნდა იქნას გაგებული სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. სოციალური შეღავათის მიღების სუბიექტებად მიჩნეული უნდა იქნენ არა მხოლოდ ის ოჯახები, რომელთაც შვიდი და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი ჰყვავთ, არამედ მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყვავთ შვიდი და მეტი შვილი, მათ შორის არასრულწლოვანი.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ნორმის ამგვარ განმარტებას და მიიჩნია, რომ ვინაიდან დადგენილია, რომ ც. ფ-ძეს ჰყავს ათი შვილი და მათ შორის სამი არასრულწლოვანი, მას აქვს «საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის «ე» ქვეპუნქტით განსაზღვრული სოციალური დახმარების მიღების უფლება. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ «საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სოციალური შეღავათის -35 ლარის ოდენობით მიღების სუბიექტია უშუალოდ ოჯახი და არა ოჯახის კონკრეტული წევრი.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორმა განარტა, რომ «საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის 52-ე მუხლის მე-17 პუნქტის საფუძველზე, მოხდა სსიპ «სოციალური დახმარების და დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის» რეორგანიზაცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა «სოციალური სუბსიდიების სააგენტო». კასატორის მოსაზრებით, უზენაესი სასამართლოს მიერ «2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის «ე» ქვეპუნქტის განმარტება დაეფუძნა მრავალშვილიანი ოჯახების სტიმულირებისა და ერის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სწორი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას. კასატორი აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს მსჯელობა ამ საკითხთან მიმართებაში საფუძვლიანია და მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის პრობლემა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ მიმართულებას ქვეყნის პოლიტიკაში, მაგრამ ასევე განმარტავს, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტო წარმოადგენს საბიუჯეტო დაწესებულებას, რომლის ბიუჯეტი ყოველწლიურად განისაზღვრება «ბიუჯეტის შესახებ» კანონებით და სააგენტოს გააჩნია ამ თანხების მიზნობრივად გამოყენების ვალდებულება; ამიტომ მას უფლება არ აქვს ნორმათა თვითნებური ინტერპრეტაციისა და საკუთარი შეხედულებების გამოყენებით გაავრცელოს სოციალური შეღავათები. კასატორი მიუთითებს «სოციალური დახმარების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის #145 დადგენილების მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დაევალია -უზრუნველყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისათვის სოციალური დახმარების დანიშვნა-გაცემა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის დანიშნული სოციალური დახმარების გაცემა დადგენილი წესით და ამ პროცესის ადმინისტრირებისას წარმოშობილ ურთიერთობათა რეგულირება. ამავე დადგენილებით დამტკიცებული «სოციალური დახმარების პროგრამის» განხორციელების ძირითადი პრინციპების, სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშების, ღონისძიებათა დაფინანსებისა და ანგარიშსწორების წესის» მეორე მუხლის თანახმად, საციალური დახმარება (შემდგომში -საჯარო დახმარება) არის ფულადი სახის გასაცემი, რომლის მიზანია 2007 წლის 1 იანვრამდე დანიშნული საოჯახო დახმარების გაცემის გაგრძელება. მე-12<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში უზრუნველყოფს 2006 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ იმ ვალდებულებათა დაფარვას (გაცემას), რომლებიც დაკავშირებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების გაცემასთან. კასატორის მოსაზრებით, საოჯახო დახმარების დანიშვნის უფლებამოსილება სააგენტოს არ გააჩნია, კასატორი განმარტავს, რომ «უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების დამატებით ღონისძიებათა შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 22 ნოემბრის #547 განკარგულების თანახმად, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალიათ, 2007 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 9 თებერვლის #44/6 ბრძანებით დამტკიცებული «უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების» სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირება, ხოლო 2006 წლის 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე პროგრამით მოსარგებლე პირთა პირადი საქმეების ინვენტარიზაცია და საოჯახო სამართლის იურიდიული პირი -სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოსათვის (შემდგომში -სოციალური სუბსიდიების სააგენტო) გადაცემა. ამავე განკარგულებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალია 2007 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყო «უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების» სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებებისა და დამატების

პროგრამის ადმინისტრირებისათვის (შეწყვეტა, შეჩერება, აღდგენა, გადაანგარიშება) პასუხისმგებელ სუბიექტად განისაზღვრებოდა სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში სოციალური სუბსიდიები სააგენტო). კასატორი თვლის, რომ ზემოთმოყვანილი ნორმებიდან გამომდინარე დღეს უკვე აღარ ხდება ამ სახის საოჯახო დახმარებების დანიშვნა; სააგენტოს მხოლოდ გააჩნია ამ შეღავათით წინა წლებში მოსარგებლე ბენეფიციართათვის დახმარების შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის, გადაანგარიშების ფუნქცია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება ც. ფ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ც. ფ-ძეს 2004 წლის 16 დეკემბრისათვის ჰყავდა 10 შვილი, მათ შორის -ოთხი სასკოლო ასაკის არასრულწლოვანი, 18 წლამდე ასაკის ბავშვი. სარჩელის სასამართლოში წარდგენილად მისმა ოჯახმა სოციალური დახმარების მიღების მოთხოვნით განცხადებით მიმართა თერჯოლის სოციალური დახმარების განყოფილებას, რომლის 2004 წლის 1 ნოემბრის #66 წერილით უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ «საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის «ე» ქვეპუნქტის მიხედვით დახმარება ენიშნებათ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვიდი და მეტი ბავშვი. ფ-ძეების ოჯახს კი ჰყავდა 4 არასრულწლოვანი ბავშვი. ანალოგიურად მოტივაციას შეიცავს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების მართვის დეპარტამენტის 2004 წლის 2 დეკემბრის #13/13-3252 წერილიც, რომლითაც ასევე უარი ეთქვა მოსარჩელეს სოციალური დახმარების დანიშვნაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საერთო სასამართლოები ახორციელებენ მართლმსაჯულებას. «მართლმსაჯულების განხორციელებაში» იგულისხმება სასამართლოს მიერ, საქართველოს მოქმედი მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ნორმათა სწორი განმარტების, ამათუ იმ სამართლებრივი ურთიერთობისათვის ამ ნორმათა ზუსტი მისადაგების შედეგად, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. თავის მხრივ, სამართლის ნორმის სწორად განმარტება გულისხმობს სამართლის ნორმის შინაარსის განსაზღვრელი ქვეცვის წესის (დისპოზიცია) ზუსტად განსაზღვრას, ნორმის გამომცემი უფლებამოსილი ორგანოს ნამდვილი ნების შესაბამისად; იმ მიზნების გამოაშკარავებას, რაც საფუძვლად დაედო სამართლის ნორმის შექმნას და მისთვის სავალდებულო ძალის მინიჭებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ დავაზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს «საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის სწორად განმარტებას. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა აღნიშნული კანონის არასწორი განმარტება, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად მიუთითებს იმაზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სასამართლოს ნორმების დარღვევითაა გამოტანილი.

«საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის «ე» ქვეპუნქტით განისაზღვრა 2004 წლის განმავლობაში უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების ოდენობა, კერძოდ 35 ლარი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 7 და მეტი, 18 წლამდე ასაკის ბავშვი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სამართლის ნორმის პიპოთეზაში (სამართლის ნორმის გამოყენების კონკრეტული შემთხვევა) ფრაზის «18 წლამდე ასაკის ბავშვი» არსებობა გულისხმობს იმას, რომ ნორმით განსაზღვრული სოციალური დახმარების მიეცემა მხოლოდ იმ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 7 და მეტი 18 წლის ასაკის მიღწეული ბავშვი. კანონმდებლის მიზანი, რომ ყოფილიყო იმ ოჯახთა დახმარება, რომელთაც 7 და მეტი შვილი ჰყავთ (მათ შორის არასრულწლოვნებიც, მაგრამ ყველა არა), მაშინ მითითებული ფრაზის გამოყენება აზრს კარგავს, საკმარისი იქნებოდა მხოლოდ აღნიშვნა იმისა, რომ სოციალური დახმარება მიეცემათ ოჯახებს, რომელთაც 7 და მეტი შვილი ჰყავთ. ამ განმარტების დასტურია კანონმდებლის მიერ ტერმინის «7 და მეტი ბავშვი» და არა «7 და მეტი შვილის» გამოყენება სოციალური დახმარების გაცემის სავალდებულო პირობად, რადგან «ბავშვად», საყოველთაო გაგებით, მიჩნეული პირი, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვანებისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო ვალდებულია სამართლის ნორმის განმარტება და მისი გამოყენება მოახდინოს სამართლის ნორმის ზუსტი შინაარსისა და კანონმდებლის ნების

შესაბამისად. აღნიშნული ნორმა-პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმად სასამართლოს უფლება არ აქვს უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ მიაჩნია. მოცემულ შემთხვევაში, ცხადია, რომ კანონმდებლის მიზანია არა ზოგადად მრავალშვილიანი ოჯახთა სოციალური დახმარება, არამედ მხოლოდ გარკვეული კატეგორიის იმ ოჯახების, რომელთაც 7 და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი ჰყავთ. ამდენად, «საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის სხვაგვარი განმარტება, მიჩნეულ უნდა იქნეს კანონის არასწორ განმარტებად, რაც ამ არასწორ განმარტებაზე დაფუძნებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან ც. ფ-მეს სარჩელის სასამართლოში წარდგენის მომენტისათვის ჰყავდა 10 შვილი, მათ შორის –ოთხი სასკოლო ასაკის არასრულწლოვანი, 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ამიტომ მოსარჩელის ოჯახი არ წარმოადგენს «საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის «ე» ქვეპუნქტით დადგენილ სოციალური დახმარების მიღების უფლების მქონე სუბიექტს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე ნაწილით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაკმაყოფილდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის –სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. არ დაკმაყოფილდეს ც. ფ-მის სარჩელი;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **უფასო სამედიცინო დახმარების ფარგლები**

#### **განჩინება**

#ბს-758-730(კ-08) 4 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ცისკაძე,**

**ნ. ქადაგიძე**

**სარჩელის საგანი:** ქმედების განხორციელება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 12 სექტემბერს ი. ა-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების –საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გორის რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ცხოვრობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ხოლო 2006 წლის მაისში მოულოდნელად განუვითარდა კისრის ტოტალური ლპობით-ნეკროზული ფლეგმონია და ზედა მედიარინიტი, რის გამოც თსსუ კლინიკაში ჩაუტარდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია –სახის შიდა კედლის გაკვეთა, შემდგომი გართულებების გამო კი, მოთავსებულ იქნა ინტენსიური თერაპიის (რეანიმაცია) განყოფილებაში. მკურნალობის საფასურმა ინტენსიური თერაპიის (რეანიმაცია) განყოფილებაში შეადგინა 3426,01 ლარი, საიდანაც მოსარჩელემ შეძლო 1300 ლარის გადახდა, ხოლო გადასახდელი ჰქონდა 2126,01 ლარი. ყბა-სახის განყოფილებაში მკურნალობის საფასურმა შეადგინა 1923,92 ლარი, საიდანაც მოსარჩელემ გადაიხდა 778,7 ლარი. სახელმწიფო პროგრამით მოსარჩელეს აუნაზღაურდა მხოლოდ 205,94 ლარი, ხოლო გადასახდელი ჰქონდა 939,28 ლარი. მკურნალობის საფასურმა სულ შეადგინა 5123,9 ლარი, მაშინ, როდესაც მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტები მთლიანად მოსარჩელის მიერ იქნა შეძენილი საერთო ღირებულებით –4139,81 ლარი, მაგრამ რატომღაც ხსენებული ხარჯი, როგორც პაციენტის მიერ გადახდილი, კალკულაციაში არ ასახულა. მთლიანობაში მკურნალობის საფასურმა შეადგინა 9263,71 ლარი (5123,9 ლარი კალკულაციით და მოსარჩელის მიერ შეძენილი 4139,81 ლარის მედიკამენტები). მოსარჩელეს გადახდილი ჰქონდა 6218,51 ლარი (2078,70



ლარი -კლინიკის სალაროში და 4139,81 ლარი მედიკამენტებში), ხოლო გადასახდელი ჰქონდა 3045,20 ლარი.

მოსარჩელის მტკიცებით, უკიდურესად მძიმე მდგომარეობის გამო, დასახმარებლად მიმართა გორის რაიონის გამგეობას, რომლისგანაც მიიღო დაუსაბუთებელი უარი. გორის რაიონის გამგეობა მოსარჩელის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯების გადახდაზე უარის მიზეზად ასახელებდა ამ რაიონის ბიუჯეტში შესაბამისი თანხების ლიმიტის ამოწურვას. ამის შემდეგ მოსარჩელემ მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა მას აენაზღაურებინა მოსარჩელის მიერ გაწეული მკურნალობის ხარჯები, მაგრამ მისგანაც დაუსაბუთებელი პასუხი მიიღო, კერძოდ, ვერაინ უპასუხა, კლინიკის ექიმებისაგან განსხვავებით, რატომ მიაჩნდათ კონკრეტული შემთხვევა სახის გვერდითი მიდამოს აბსცესად და რატომ იყო სახელმწიფო სტანდარტით ასეთი შემთხვევა მიზერულად შეფასებული 552,73 ლარად. ამ შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების დაყოვნებით, გარდაუვალი იყო პაციენტის სიკვდილი, ხოლო მოსარჩელეს მთელი ქონების გაყიდვა მოუწია იმისათვის, რომ ავადმყოფობით არ დაღუპულიყო. მოსარჩელის დაავადება სამედიცინო ფორმა #27-ში აღნიშნული იყო, როგორც კისრის ტოტალური ლზობით-ნეკროზული ფლეგეგმონია და ზედა მედიარინიტი, კალკულაციაში -როგორც ყბების ანთებითი დაზიანებები (ფლეგეგმონია), ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტი ამტკიცებდა, რომ მოსარჩელეს სახის გვერდითი მიდამოს აბსცესის ქირურგიული მკურნალობა ჩაუტარდა, რაც მხოლოდ 552,73 ლარი ღირდა.

მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კანონით დადგენილი წესით, განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილი იყო უფასო სამედიცინო დახმარება. «პაციენტის უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო იცავდა პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებლად განხორციელების გარეშე, გარდაუვალი იყო პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდებოდა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს აღიარებული ჰქონდა ვალდებულება, უზრუნველყო მოქალაქის უფლება ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე, რაც უქვევლად გულისხმობდა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას. აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლით, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, მოპასუხეთაგან მოეთხოვა ვალდებულების ჯეროვან და კეთილსინდისიერად შესრულება. ამასთან ერთად, ვალდებულების შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, მოპასუხეებს (სახელმწიფოს) ეკისრებოდათ მოსარჩელის უფლებებისადმი (ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებები) განსაკუთრებული გულისხმიერება, რადგანაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებები წარმოადგენდა ადამიანის აბსოლუტურ უფლებებს და შესაბამისად -სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებულ საგანს.

მოსარჩელის მტკიცებით, მის მიერ სამედიცინო მომსახურებისათვის გაღებული თანხის მოპასუხეთა მხრიდან გადაუხდელობა (ქმედების განუხორციელებლობა), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, მას აყენებდა გამოუსწორებელ ზიანს, რადგანაც კრედიტორების წინაშე ვალდებული იყო, დაეფარა სამედიცინო მომსახურებისათვის სესხად აღებული თანხა. გარდა ამისა, თსსუ კლინიკა ითხოვდა დავალიანების დაუყოვნებლივ დაფარვას და მისგან მიიღო შეტყობინება დავალიანების იძულებითი წესით ამოღების შესახებ. აღნიშნულის საშუალება კი მოსარჩელეს არ გააჩნდა და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი პასუხს აგებდა მთელი თავისი ქონებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ღირებულების, სულ -9263,71 ლარისა და წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის (4%) -370 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. ა-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმის გარემოებების, კერძოდ, ნ. ყ-ძის სახელობის ცენტრალური კლინიკის ისტ.#3362 (ჩატარებული გამოკვლევები და მანიპულაციები, განყოფილებაში დახარჯული მედიკამენტები, საოპერაციოში დახარჯული მასალა და მედიკამენტები) კალკულაციით დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ა-ძის მკურნალობის საფასურმა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში შეადგინა 3426,01 ლარი, ხოლო ყბა-სახის განყოფილებაში მკურნალობის საფასურმა -1923,92 ლარი. მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებდა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ყველას ჰქონდა უფლება, ესარგებლა ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით, განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილი იყო უფასო სამედიცინო დახმარება. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფასო სამედიცინო დახმარების, კანონით დადგენილი წესით, განსაზღვრული პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველწლიურად სახელმწიფოს მიერ მუშავდებოდა მიზნობრივი ღონისძიებები. «შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2006 წლის ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ» საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 15 თებერვლის #53/5 ბრძანებით დამტკიცდა მოსახლეობის სტაციონალური დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამა. სტაციონალური სამედიცინო მომსახურების ხელმი-

საწვდომობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ იქნა მიზნობრივი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდა ქვეყნის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ბაზისური პაკეტი გათვალისწინებულ დახმარებას, ხოლო პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 92154,3 ათასი ლარით. მოსარჩელეს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აუნაზღაურდა 205,94 ლარი, რაც დაადასტურა თავად მოსარჩელემ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლზე, რომლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებდნენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონოდა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ღონისძიებანი, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს უნდა განეხორციელებინათ, უფლების სრული გამოყენებისათვის, შეიცავდა ღონისძიებებს, რომლებიც საჭირო იყო ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც ყველასათვის უზრუნველყოფდა სამედიცინო დახმარებასა და ავადმყოფობის სამედიცინო მოვლას. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფდა, რომ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები იღებდნენ ვალდებულებას, შეემუშავებინათ ყველა საჭირო ღონისძიება, რაც უზრუნველყოფდა სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო მოვლისათვის ყველა აუცილებელი პირობების შექმნას და არა უფასო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის ვალდებულებას.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მიიღო შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების გაწვევისათვის დახმარება, ხოლო მან ვერ მიუთითა კანონზე ან კანონქვემდებარე აქტზე, რომელიც ითვალისწინებდა სამედიცინო მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სრულად დაფარვის ვალდებულებას. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, ხსენებული მოთხოვნა იყო უსაფუძვლო, ვინაიდან არ იყო წარმოდგენილი მხარეთა შორის მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება და ამასთან, არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება თანხის გადახდევინების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ა-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინებით ი. ა-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო ფარგლებში შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარში მოყვანილი პრეტენზია იყო დაუსაბუთებელი, ვინაიდან სახეზე არ იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერაფრით დაასაბუთა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის სავალდებულობა. სააპელაციო საჩივარში მითითებული არგუმენტები მხარეს წარმოდგენილი ჰქონდა ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას, რაზედაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამომწურავი პასუხი იქნა გაცემული. საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა სარჩელის საფუძვლად მითითებული სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი და «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი. აპელანტის მიერ მითითებული «პაციენტის უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლი წარმოადგენდა «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლით დადგენილი ვალდებულების ასახვას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო იცავდა პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებლად განხორციელების გარეშე, გარდაუვალი იყო პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდებოდა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ პაციენტი გადაუდებლად საჭიროებდა სამედიცინო მომსახურებას, რომლის გარეშე გარდაუვალი იყო პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდებოდა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ხოლო სამედიცინო მომსახურების გამწევს არ ჰქონდა შესაძლებლობა, აღმოეჩინა პაციენტისათვის ასეთი მომსახურება, იგი ვალდებული იყო, მიეწოდებინა პაციენტისათვის, მისი ნათესავისათვის ან კანონიერი წარმომადგენლისათვის სრული ინფორმაცია, თუ სად შეიძლებოდა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღება. შესაბამისად, მითითებული ნორმით უზრუნველყოფილი იყო პაციენტის უფლება სამედიცინო მომსახურებაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა სახელმწიფოში გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების სტანდარტების სავალდებულო არსებობას და არა მის უფასო გამოყენებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ა-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და მიღებულია საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, საქმისათვის აუცილებელი გარემოებების დადგენისა და მათთვის სამართლებრივი შეფასების მიცემის გარეშე. სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ დაადგინა საქმის გადაწყვეტისათვის უმთავრესი ფაქტობრივი გარემოება –სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი და სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული თანხა საკმარისი იყო თუ არა პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენად, ანუ იმ ვალდებულების შესასრულებლად, რაც «პაციენტის უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში იგულისხმება.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილზე, 222-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ სასამართლო ვალდებული იყო, დამაჯერებლად დაესაბუთებინა, თუ როგორ იყო შესაძლებელი პაციენტის უფლების დაცვა 9263,71 ლარის ღირებულების გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების სახელმწიფოს მიერ 205 ლარით დაფინანსებით. შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, უდავოა, რომ ამ შემთხვევაში პაციენტის მკურნალობა სახელმწიფო სტანდარტის ფარგლებში (კოდი 2618 –ყბების ანთებითი დაზიანებები) დაფინანსდა 205,94 ლარით, რაც მოიცავს მხოლოდ პირველ ოპერაციას და ოთხ საწოლდღეს ყბა-სახის განყოფილების პალატაში. გაუგებარია ის, რომ სახელმწიფო სტანდარტი არ გულისხმობს ოპერაციის შემდგომ პერიოდს, როცა პაციენტი ინტენსიური თერაპიის სექციაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა და სიკვდილს ებრძოდა, არც ამ პერიოდში პაციენტისათვის ჩატარებულ დამატებით ოპერაციებს და არც პაციენტის სტაბილურად მძიმე პერიოდს.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ პრაქტიკულად გადაწყვეტილება მიიღო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის (სახელმწიფო სტანდარტი) საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა კანონის –საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის, «პაციენტის უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა და «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის განმარტების საფუძველზე, რადგან სახელმწიფო სტანდარტი (კანონქვემდებარე აქტი) ვერ ახდენდა კანონითა და საქართველოს კონსტიტუციით პაციენტისათვის გარანტირებული უფლების –სიცოცხლის შესანარჩუნებლად გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უფასოდ ან ხელმისაწვდომ ფასში სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფას.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება კანონით დადგენილი წესით, განსაზღვრულ პირობებში, ამ პირობებს კი ადგენს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, ანუ პაციენტის დაცვის კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული პირობები –გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. შესაბამის სამედიცინო დასკვნაში ერთმნიშვნელოვნად მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული სამედიცინო დახმარების სრულად აღმოუჩენლობის შემთხვევაში, გარდაუვალი იყო პაციენტის სიკვდილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. ა-ძის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 14 ივლისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 2 ოქტომბრამდე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ი. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ი. ა-ძეს 2006 წლის მაისში მოულოდნელად განუვითარდა კისრის ტოტალური ლპობით-ნეკროზული ფლევემონია და ზედა მედიარინიტი, რის გამოც თსუ კლინიკაში ჩაუტარდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია –სახის შიდა კედლის გაკვეთა, შემდგომი გართულებების გამო კი, მოთავსებულ იქნა ინტენსიური თერაპიის (რეანიმაცია) განყოფილებაში. მკურნალობის საფასურმა

ინტენსიური თერაპიის (რეანიმაცია) განყოფილებაში შეადგინა 3426,01 ლარი, ხოლო ყბა-სახის განყოფილებაში მკურნალობის საფასურმა -1923,92 ლარი.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფასო სამედიცინო დახმარების კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველწლიურად სახელმწიფოს მიერ მუშავდება მიზნობრივი ღონისძიებები.

«შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2006 წლის ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ» საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 15 თებერვლის #53/ნ ბრძანების თანახმად, დამტკიცებულ იქნა მოსახლეობის სტაციონალური დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამა.

სტაციონალური სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ იქნა მიზნობრივი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ბაზისური პაკეტით გათვალისწინებულ დახმარებას. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 92154.3 ლარით.

ი. ა-მეს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, აუნაზღაურდა 205,94 ლარი.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონმდებლობის დარღვევით არის გამოტანილი, იურიდიულად დაუსაბუთებელია და მიღებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი აკეთებს დათქმას, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უფასო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა, ასეთი შემთხვევა კანონით უნდა იყოს დადგენილი. კასატორმა მიიღო ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით დადგენილი სამედიცინო მომსახურების გაწევისათვის გათვალისწინებული დახმარება, ხოლო მან ვერ მიუთითა კანონი ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სრულად დაფარვის ვალდებულებას.

«ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის «დ» პუნქტის თანახმად, ღონისძიებანი, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ამ უფლების სრული გამოყენებისათვის, შეიცავს ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა ისეთი პირობების შექმნისთვის, რომლებიც ყველასთვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და სამედიცინო მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის თანახმად, აღნიშნული საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, შეიმუშავონ ყველა საჭირო ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და აღნიშნული დახმარებისთვის საჭირო პირობების შექმნას და ვერ დაეთანხმება კასატორის განმარტებას, რომ აღნიშნული პაქტით აღიარებულია პაქტის მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება უფასო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზეც, რომ კასატორის მიერ მითითებული «პაციენტის უფლებების შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლი წარმოადგენს «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლით დადგენილი ვალდებულების ასახვას შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.

აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო იცავს პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებლად განხორციელების გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება და ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ხოლო სამედიცინო მომსახურების გამწევეს არა აქვს შესაძლებლობა, აღმოუჩინოს პაციენტს ასეთი მომსახურება, იგი ვალდებულია, მიაწოდოს პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს სრული ინფორმაცია, თუ სად შეიძლება გადაუდებელი მომსახურების მიღება. აღნიშნული ნორმით უზრუნველყოფილია პაციენტის უფლება სამედიცინო მომსახურებაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფოში გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების სავალდებულო და არა მის უფასოდ არსებობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ განჩინება მიიღო იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე, რომელიც არ შეესაბამება კანონს, რადგან მან ვერ დაასაბუთა, თუ რა საფუძველით არ შეესაბამება «შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2006 წლის ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების

შესახებ» საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 15 თებერვლის #53/ნ ბრძანება «პაციენტის უფლებების შესახებ» საქართველოს კანონს და საქართველოს კონსტიტუციას, ასევე კასატორი ვერ მიუთითებს სხვა კანონს, რომლის საფუძველზეც მას ეკუთვნის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფასო სამედიცინო დახმარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და მიღებულია საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, საქმისთვის აუცილებელი გარემოებების დადგენისა და მათთვის სამართლებრივი შეფასების მიცემის გარეშე.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას, წარმომადგენლის მომსახურებისათვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან საქმეში არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულება მხარეთა შორის მომსახურების გაწევის შესახებ და ასევე მტკიცებულებები თანხის გადახდების შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია საქართველოს კანონმდებლობა და საქმეზე მიიღო დასაბუთებული და კანონიერი განჩინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ა-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. შემწეობის დანიშვნის პირობები**

### **უმუშევრობის გამო შემწეობის დანიშვნის პირობები**

#### **განჩინება**

#ბს-679-659(კ-08) 31 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. ქადაგიძე,**

**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** ექვსი თვის შემწეობის თანხის გაცემის დავალება. რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭება, უმუშევრობის გამო შემწეობის დანიშვნა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ლ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიმართ და სარჩელის არაერთგზის დაზუსტების შედეგად მოითხოვა მოპასუხისათვის მისთვის რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭება (უმუშევრად რეგისტრირება), უმუშევრობის გამო შემწეობის დანიშვნა, ასევე ექვსი თვის კომპენსაციის -120 ლარის ანაზღაურების დავალება.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სს «ეი-ეს-თელასის» გენერალური დირექტორის 17.06.02 წ. #კ-372 ბრძანებით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის I ნაწილის «ა» ქვეპუნქტის (რეორგანიზაციის გამო) საფუძველზე გათავისუფლდა სამსახურიდან. მოსარჩელის მიმართ სს «ეი-ეს-თელასმა» დაარღვია შკკ-ის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა, მას არ გადაეცა შრომის წიგნაკი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 04.08.05წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. ლ-შვილის მოთხოვნა, სს «თელასს» მის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის -705.76 ლარის გადახდა. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ ამ

გადაწყვეტილების საფუძველზე მას შეექმნა ხელსაყრელი სამართლებრივი მდგომარეობა იმისთვის, რომ მოეთხოვა უმუშევართათვის დადგენილი ყოველთვიური შემწეობის -30 ლარის ანაზღაურება 2002 წლის 17 სექტემბრიდან, რის თაობაზეც მან 17.09.02წ. განცხადებით მიმართა მოპასუხეს -სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს, თუმცა დღემდე პასუხი არ მიუღია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.10.05წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. თ-შვილის შუამდგომლობა სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად სს «თელასის» ჩაბმის შესახებ. ამავე სასამართლოს 11.11.05წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.04.06წ. განჩინებით ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს 31.10.05წ. და 11.11.05წ. განჩინებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.11.06წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს «ეი-ეს თელასის» 17.06.02წ. #კ-372 ბრძანებით, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის I ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ა. ლ-შვილი გათავისუფლდა სამსახურიდან. სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს 21.03.05 წ. #97 ცნობით დადგენილია, რომ მოსარჩელე ა. ლ-შვილი მითითებული დროიდან (21.03.05წ.) რეგისტრირებულია სამუშაოს მაძიებლად. მოპასუხემ -სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ 24.08.05 წ. #423 წერილით არ დააკმაყოფილა მოსარჩელე ა. ლ-შვილის მოთხოვნა უმუშევრის შემწეობის დანიშვნის თაობაზე, იმ მოტივით, რომ ა. ლ-შვილმა 2002 წელს მოქმედი წესების თანახმად სამუშაოს დაკარგვიდან ექვსი თვის ვადაში არ გაიარა რეგისტრაცია, როგორც უმუშევარმა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ა. ლ-შვილს მართებულად ეთქვა უარი უმუშევრად რეგისტრირებასა და შემწეობის დანიშვნაზე. «დასაქმების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, რეგისტრირებული უმუშევარი არის უმუშევარი, რომელიც რეგისტრირებულია დასაქმების სახელმწიფო სამსახურში. «დასაქმების შესახებ» კანონის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (29.12.04წ. საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე არსებული რედაქცია) დადგენილია, რომ უმუშევარს შემწეობა ენიშნება, თუ გაიარა რეგისტრაცია სამუშაოს დაკარგვიდან ექვსი თვის განმავლობაში. 29.12.04წ. ცვლილებით, ექვსთვიანი ვადა შემცირდა სამი თვით. იგივე წესია დადგენილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 25.01.02წ. #23/5 ბრძანებით «სტიპენდიისა და უმუშევრის შემწეობის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ» (აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 04.03.05წ. #66/5 ბრძანებით). სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ლ-შვილს კანონით დადგენილ ვადაში არ მიუმართავს მოპასუხე ორგანიზაციისათვის რეგისტრაციისა და შემწეობის დანიშვნის მოთხოვნით. ის გარემოება, რომ მოსარჩელე ა. ლ-შვილმა სამსახურიდან დათხოვნის კანონიერების საკითხი სადავო გახადა სასამართლოში დავის დაწყების გზით, აგრეთვე ის გარემოება, რომ მოსარჩელეს სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ხელთ არ ჰქონდა თავისი შრომის წიგნაკი, გავლენას ვერ მოახდენს დავის გადაწყვეტაზე, რადგან ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმების თანახმად, დაინტერესებული პირი უფლებამოსილი იყო სასამართლოში დავის პარალელურად, კანონით დათქმულ ვადაში რეგისტრაციაში გატარებულიყო უმუშევრად და მოეთხოვა უმუშევრის შემწეობა, რაც მას არ გაუკეთებია. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, იმის შესახებ, რომ მან 17.09.02წ. განცხადებით მიმართა მოპასუხეს -სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს უმუშევრის შემწეობის მისაღებად და რომ მას ამ განცხადებაზე დღემდე პასუხი არ მიუღია, რადგან მას არ წარმოუდგენია მითითებული გარემოების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.11.06წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-შვილმა, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.08წ. განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.11.06წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ლ-შვილმა. კასატორმა ასევე გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.08წ. განჩინება, რომლითაც უარი ეთქვა საქმეში სს «თელასის» მესამე პირად ჩართვაზე, იმ საფუძველზე, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალში შესული განჩინება. კასატორმა ასევე მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.04.08წ. განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი განცხადება 07.04.08წ. სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ უკანონოდ უთხრა უარი საქმეში სს «თელასის» მესამე პირად ჩართვაზე, რადგან სს «თელასის» მესამე პირად ჩართვის შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 04.08.05წ. გადაწყვეტილებას პრეიუდიციული ძალა

ექნებოდა, ამ გადაწყვეტილებით კი დადგენილია, რომ სს «თელასმა» დროულად არ ჩააბარა მოსარჩელეს შრომის წიგნაკი, რითაც მას მიაღება მნიშვნელოვანი ზიანი, კერძოდ კი ვერ მიმართა მოპასუხე ორგანიზაციას კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში. შრომის წიგნაკის წარდგენა სავალდებულო იყო განცხადების შეტანიდან 10 დღეში, ხოლო მან შრომის წიგნაკის აღება მოახერხა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით, გათავისუფლებიდან 5 წლის შემდეგ. შესაბამისად, კანონით დადგენილი ვადის გაშვება მიჩნეულ უნდა იქნეს საპატიოდ. სასამართლო სხდომის ოქმში არ არის სრულად ასახული მისი მოთხოვნის მოტივები სს «თელასის» მესამე პირად ჩართვასთან დაკავშირებით, რის გამოც უსაფუძვლოდ ეთქვა უარი სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის შესახებ განცხადებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 19.11.08წ. განჩინებით ა. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად განხილულ იქნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.08წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ა. ლ-შვილი სს «ეი-ი-ეს თელასის» გენერალური დირექტორის 17.06.02წ. ბრძანებით გათავისუფლდა სამსახურიდან, შკკ-ის 34.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე (რეორგანიზაციასთან დაკავშირებით). სოციალური დახმარების და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს 21.03.05წ. #97 ცნობით ა. ლ-შვილი ამ პერიოდიდან რეგისტრირებულია სამუშაოს მაძიებლად. ა. ლ-შვილის მოთხოვნა უმუშევრის შემწეობის დანიშვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს გათავისუფლებიდან ექვსი თვის ვადაში არ მიუმართავს განცხადებით მოპასუხე ორგანიზაციისათვის უმუშევრად დარეგისტრირების შესახებ. საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა სასამართლო ინსტანციების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ა. ლ-შვილს მართებულად ეთქვა უარი უმუშევრად დარეგისტრირებაზე და შემწეობის დანიშვნაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 22.04.02წ. #189 ბრძანებულების (ძალადაკარგულია საქართველოს პრეზიდენტის 26.08.04წ. #352 ბრძანებულებით) თანახმად უმუშევრის შემწეობა განისაზღვრებოდა 14 ლარის ოდენობით, შემწეობის გაცემა ხორციელდებოდა ექვსი თვის განმავლობაში. საქართველოს მთავრობის 17.03.05წ. #48 ბრძანებულებით სსიპ -სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში რეგისტრირებული უმუშევრის შემწეობა განისაზღვრებოდა ყოველთვიურად ოცი ლარის ოდენობით, დადგენილება ითვალისწინებდა შემწეობის გაცემას ექვსი თვის განმავლობაში იმ უმუშევრებისათვის, რომელთაც შემწეობის მიღების უფლება ჰქონდათ «დასაქმების შესახებ» კანონით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით. «დასაქმების შესახებ» კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა უმუშევრისათვის შემწეობის დანიშვნას დასაქმების სახელმწიფო სამსახურში სამუშაოს დაკარგვიდან ექვსი თვის ვადაში რეგისტრაციაში გავლის შეთხვევაში. ამავე კანონის 21.5 მუხლის «ა» ქვეპუნქტი ადგენდა, რომ უმუშევარს შემწეობა არ ენიშნებოდა თუ ვერ დააკმაყოფილებდა შემწეობის დანიშვნისათვის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის გათავისუფლების დროს (17.06.02წ.) მოქმედი «დასაქმების შესახებ» კანონის 21.4 მუხლის, აგრეთვე იმავედ მოქმედი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 25.01.02წ. #23/5 ბრძანებით დამტკიცებული «სტიპენდიისა და უმუშევრის შემწეობის დანიშვნისა და გაცემის წესის» მე-2 მუხლის თანახმად, უმუშევრად დარჩენილი მოქალაქისათვის უმუშევრის შემწეობის დასანიშნად აუცილებელი იყო სამი პირობის შესრულება: რეგისტრაციის გავლა დასაქმების სახელმწიფო სამსახურში სამუშაოს დაკარგვიდან ექვსი თვის განმავლობაში, მზადყოფნა შესაფერისი სამუშაოს შესასრულებლად და სამუშაოს დაკარგვამდე ერთი წლის მუშაობის უწყვეტი სტაჟის არსებობა. საქმის მასალებით დასტურდება და არც მოსარჩელე უარყოფს, რომ მან ექვსთვიანი ვადის დარღვევით მიმართა საქართველოს სოციალური დახმარების და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს უმუშევრის შემწეობის დანიშვნის მოთხოვნით და აღნიშნულის საპატიო მიზეზად მიიჩნია შრომის წიგნაკის უქონლობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ მითითებულ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 04.08.05წ. გადაწყვეტილებას არ გააჩნია პრეიუდიციული ძალა განსახილველი საქმის მიმართ, ვინაიდან ხსენებულ გადაწყვეტილებაში საუბარია მხოლოდ სს «თელასისათვის» ა. ლ-შვილის სასარგებლოდ, მისი სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ორი თვის კომპენსაციის სახით 705,76 ლარის დაკისრებაზე (შკკ 42<sup>3</sup> მუხლის «ბ» ქვეპუნქტი), მოპასუხისათვის შრომის წიგნაკის გაცემის დავალება დავის საგანი არ ყოფილა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 04.08.05წ. გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო, სსკ-ის 250-ე მუხლის საფუძველზე, შემოიფარგლა გადაწყვეტილების მხოლოდ

სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით, დასაბუთების გარეშე. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დასტურდება შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტი. შესაბამისად არ არსებობს მოცემული დავისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 04.08.05წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭების საფუძველი. საპროცესო კანონმდებლობას არ ემყარება აგრეთვე მოთხოვნა სამოქალაქო საქმის განხილვისას შედგენილი სხდომის ოქმისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭების შესახებ, მით უფრო, რომ ხსენებული ოქმით არ დასტურდება ადმინისტრაციის მიერ იმჟამად მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 41.5 მუხლის დარღვევა, შრომის წიგნაკის გაუცემლობა. ამდენად, უსაფუძვლოა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ა. ლ-შვილისათვის შრომის წიგნაკის დაგვიანებით გადაცემა მოხდა სამსახურის ადმინისტრაციის ბრალით. საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამუშაოდან განთავისუფლების გამო კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლოწარმოება არ გამორიცხავდა სამუშაოდან გათავისუფლებიდან ექვსი თვის განმავლობაში უმუშევრად რეგისტრაციასა და უმუშევარის შემწეობის მიღების მოთხოვნას.

უმუშევრობისათვის შემწეობის დანიშნავსთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ 25.05.06წ. მიღებულ იქნა საქართველოს შრომის კოდექსი, რომლის 55-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვა 28.09.01წ. საქართველოს კანონი «დასაქმების შესახებ». 54.6 მუხლით დადგინდა, რომ სსიპ - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს უნდა უზრუნველყოფდეს უმუშევართა შემწეობებზე მხოლოდ ამ კოდექსის ამოქმედებამდე არსებული დავალიანებების დაფარვა. შრომის კოდექსის 54.8 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო რეორგანიზებულ იქნა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებად - სოციალური სუბსიდიების სააგენტოდ და ჩაითვა აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს უფლებამონაცვლედ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.07წ. #190/5 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დებულების თანახმად სააგენტოს ფუნქციებში არ არის გათვალისწინებული უმუშევართა აღრიცხვისა და მონიტორინგის ფუნქცია. ამდენად, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა უმუშევრად რეგისტრაციის, უმუშევრობის გამო შემწეობის დანიშვნის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სს «თელასი» განსახილველ საქმეში უნდა ჩაბმულიყო მესამე პირად. სს «თელასს» არ გააჩნია იურიდიული ინტერესი განსახილველი დავის მიმართ, სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალური თვითობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სასამართლოს მიერ საერთო გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, სააგენტოს და ა. ლ-შვილს შორის წარმოშობილი სადავო სამართალური თვითობის გადასაჭრელად გამოტანილი გადაწყვეტილება საერთო მნიშვნელობის ვერ იქნება სააქციო საზოგადოების მიმართ, გადაწყვეტილება ვერ დააკისრებს რაიმე ვალდებულებას საზოგადოებას, შესაბამისად ა. ლ-შვილს სააპელაციო სასამართლოს 28.04.06წ. განჩინებით მართებულად ეთქვა უარი სს «თელასის» საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 04.08.05წ. გადაწყვეტილებას არ გააჩნია პრეიუდიციული მნიშვნელობა, ვინაიდან არ არსებობს სსკ-ის 106-ე მუხლით გათვალისწინებული პირობა - საქმეში იგივე მხარეების მონაწილეობა. სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს. კასატორს არ წარმოუდგენია მის მიერ «დასაქმების შესახებ» კანონის 21.4 მუხლით გათვალისწინებული პირობების დაუცველობის გამომრიცხავი დამატებითი და დასაბუთებული პრეტენზია.

საქმეში დაცული ოქმის შინაარსი პასუხობს სსკ-ის 288-ე მუხლის მოთხოვნებს, ოქმი შეიცავს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ საინფორმაციო მონაცემებს, ამასთანავე ოქმში არ ხდება სასამართლო სხდომის სრული სტენოგრაფირება, ოქმი ასახავს საქმის განხილვის მხოლოდ არსებით მომენტებს, ა. ლ-შვილის მიერ ოქმზე წარდგენილი შენიშვნები არ გამოიწვევდნენ სასამართლოს მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქმე სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა განხილვის შედეგზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს მიერ დავა არსებითად სწორად იქნა გადაწყვეტილი, სსკ-ის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ა. ლ-შვილის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.



**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.08წ. განჩინება სს «თელასის» საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარის თქმის შესახებ, ამავე პალატის 07.04.08წ. განჩინება ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და 18.04.08წ. განჩინება სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანაზე უარის თქმის შესახებ;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**3. პენსია**

**მეორე სახეობის პენსიის დანიშვნა**

**განჩინება**

#ბს-901-863(კ-07) 13 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი** - მეორე სახეობის პენსიის დანიშვნა, პენსიათა შორის სხვაობისა და მიუღებელი პენსიის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. წ-მემ 2005 წლის 29 დეკემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი დიდი სამამულო ომის მონაწილეა; 1998 წლიდან შეცდომით მინიჭებული ჰქონდა ომის მონაწილესთან გათანაბრებულის სტატუსი და იღებდა პენსიას 35 ლარის ოდენობით, შესაბამისად, ყოველ წელს აკლდებოდა 120 ლარი (თვიურად 10 ლარი). 2005 წელს გაიარა ხელახალი კომისია თბილისში, ვეტერანთა დეპარტამენტში და საბუთების გაცნობის შემდეგ მიენიჭა ომის მონაწილის სტატუსი. შესაბამისად დოკუმენტი გადაეცა 2005 წლის 27 ივნისს, ხოლო სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ომის მონაწილისათვის განსაზღვრული პენსია 45 ლარის ოდენობით დაუნიშნა 2006 წელის ივლისიდან. მოსარჩელის მოსარჩებით, არ იქნა გათვალისწინებული «სამხედრო, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-60 მუხლი, რომლის მიხედვითაც პენსია უნდა ყოფილიყო  $45+84=129$  ლარი, რის დანიშვნაზეც ქუთაისის საპენსიო განყოფილებამ უარი განაცხადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა, სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალს დავალებოდა 3 წლის განსხვავების ანაზღაურება, რომელიც, მოსარჩელის მითითებით, შეადგენდა 360 ლარს, ასევე, 6 თვის ელექტროენერჯის თანხის განსხვავების ანაზღაურებას (ნაცვლად 16 ლარისა, იღებდა 8 ლარს), რომელიც შეადგენდა 48 ლარს. ე.ი. სულ მოითხოვა 408 ლარის ანაზღაურება. ასევე -დანიშნოდა გაორმაგებული პენსია: 45 ლარს დამატებული სამმაგი მინიმალური პენსია ანუ 84 ლარი, ჯამში -129 ლარი და ახლად დანიშნულ პენსიასა და უკვე არსებულს შორის სხვაობის დაკისრება 1008 ლარის ოდენობით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით ნ. წ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალს ნ. წ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 408 ლარის გადახდა. 2005 წლის ივნისიდან ნ. წ-მეს ინვალიდობის პენსიასთან (45 ლარი) ერთად დაენიშნა მეორე სახეობის პენსია -მოხუცებულობის გამო (შრომის წელთა ნამსახურეობისათვის), მოხუცებულობისათვის დაწესებული ორი მინიმალური პენსიის დამატებით, სულ -42 ლარი. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალს ნ. წ-მის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი საპენსიო თანხის გადახდა 504 ლარის ოდენობით.

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საქმეში არსებული, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2005 წლის 24 ივნისს გაცემული ცნობით და მოპასუხე ორგანიზაციის უფროსის 2005 წლის 28 დეკემბრის წერილით დგინდება, რომ ნ. წ-მეს 2005 წლის 27 ივნისამდე გააჩნდა ომის მონაწილესთან გათანაბრებულის სტატუსი, რომელიც ხსენებული თარიღის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, შეეცვალა ომის მონაწილის სტატუსით. სტატუსის შეცვლის შემდეგ კი, 35 ლარის ნაცვლად დაენიშნა 45 ლარი.

აღნიშნული სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ნ. წ-მეს 1998 წლიდან შეცდომით მიენიჭა ომის მონაწილესთან გათანაბრებული სტატუსი, რის გამოც იგი ყოველთვიურად ლეზულობდა 10 ლარით ნაკლებ პენსიას. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა, სამი წლის განმავლობაში დაკლებული პენსიისა (360 ლარი) და ექვსი თვის მანძილზე ელექტროენერჯის თანხის ნაწილობრივ დაკლებით (48 ლარი) მიღებული ზარალის (სულ 408 ლარი) ანაზღაურების ნაწილში სასამართლომ მიიჩნია საფუძვლიანად.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. წ-მე, გარდა იმისა, რომ არის დიდი სამამულო ომის მონაწილე, იმავდროულად არის 88 წლის.

«სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონის მე-60 მუხლის თანახმად, რომელიც მოსარჩელის მიერ პენსიის დანიშვნაზე მიმართვისას ძალაში იყო, ფაშიზმის წინააღმდეგ 1941-45 წლების ომში მონაწილეობის ისტორიული გამარჯვების მონაწილეებს, რომლებსაც უკვე შეუსრულდათ 65 წელი ან/და არიან 1 და 2 ჯგუფის ინვალიდები, ეძლევათ ორი სახეობის პენსიის - ომის ინვალიდობის მიხედვით და მოხუცებულობის გამო (შრომის წელთა ნამსახურობისათვის) ერთდროულად მიღების უფლება. ამასთან, მათ მოხუცებულობის პენსიაზე დაენიშნებათ დანამატი მოხუცებულობისათვის დაწესებული ორი მინიმალური პენსიის ოდენობით. შესაბამისად, ნ. წ-მე, სასამართლოს მითითებით, აკმაყოფილებდა ხსენებული მე-60 მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც უკვე დანიშნულ ინვალიდობის პენსიასთან, 45 ლართან ერთად, მას უნდა მიეცეს მოხუცებულობისათვის პენსია (14 ლარი), ორი მინიმალური პენსიის დანამატით (28 ლარი), ე.ი. 42 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონის 50-ე მუხლის თანახმად, რომელიც მოსარჩელის მიერ პენსიის დანიშვნაზე მიმართვისას, მე-60 მუხლის მსგავსად ძალაში იყო, ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა პენსიების ოდენობაში ცვლილებების შეტანის ვითარების წარმოქმნისას, გადაანგარიშება წარმოებს მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. თუ პენსიონერმა მიიღო პენსიის მომატების უფლება და დროულად არ მიმართა სათანადო ორგანოს პენსიის მისაღებად, მაშინ მას სხვაობა ახალ და ადრინდელ პენსიებს შორის მიეცემა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს 12 თვისა, რომელიც წინ უძღვოდა პენსიის გადასანგარიშებლად მიმართვის თვეს. ის ფაქტი, რომ ნ. წ-მეს კანონით მინიჭებული აქვს პენსიის მომატების უფლება, ზემოთ უკვე აღნიშნა და დადასტურებულ იქნა ისიც, რომ მან თავისი მოთხოვნების შესახებ, მოპასუხეს განცხადებით მიმართა 2005 წლის ივნისში. 2003 წლის 23 ივნისს «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონის მე-17, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტში, 22-ე, 25-ე მუხლის პირველ პუნქტში, 34-ე და 36-ე, 48-ე მუხლის მე-4 პუნქტში, 50-ე და მე-60 მუხლებში შევიდა ცვლილებები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2003 წლის 31 დეკემბერს და 2004 წლის 29 დეკემბერს ხსენებულ კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, ჯერ 2005 წლამდე, ხოლო შემდეგ - 2006 წლის 1 იანვრამდე გადავადა ზემოთ მითითებული კანონის 50-ე და მე-60 მუხლებში 2003 წლის 23 ივნისის შეტანილი ცვლილებების ამოქმედება, მაგრამ «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონის 50-ე და 60-ე მუხლების თავდაპირველი რედაქცია მოქმედებდა კანონის ძალაში შესვლის დღიდან. იმავე რედაქციით მოქმედებდნენ ისინი ნ. წ-მის მიერ მოპასუხისათვის მიმართვისას და 50-ე მუხლი იმთავითვე განამტკიცებდა პენსიონერისათვის მეორე სახის პენსიის და ახალ და ადრინდელ პენსიებს შორის სხვაობის მიცემას წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ქუთაისის სოცფონდის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ ნ. წ-მე ომის მონაწილეა. «სამხედრო შინაგან საქმეთა და სახელმწიფო სპეციალური დაცვის ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონის მე-60 მუხლის თანახმად, რომელიც მოსარჩელის მიერ პენსიის დანიშვნისათვის მიმართვის დროისათვის ძალაში იყო, მოსარჩელეს ჰქონდა მეორე სახის პენსიის -42 ლარის მიღების უფლება.

ამავე კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოსარჩელეს ეკუთვნის ბოლო 12 თვის თანხა -504 ლარი. აღნიშნული თანხა მას ეკუთვნოდა მას იმ გარემოების გამო, რომ სოცფონდს მხარემ მიმართა ამ კანონის მოქმედების პერიოდში, კერძოდ, 2005 წლის ივნისში.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონი, რომლის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული პენსიები (პენსიის დანამატებთან ერთად), რომლებიც დანიშნულია ამავე კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტებით, ზემოაღნიშნული კანონის ამოქმედების დღიდან განიხილება, როგორც ამ კანონის თანახმად აღნიშნული და გაცემული პენსიები და მათი გაცემა გრძელდება მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მართალია, ნ. წ-მეს დაუნიშნეს ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის «დ», «ა» ქვეპუნქტების საფუძველზე 70 ლარი, მაგრამ იგი არასწორია, ვინაიდან 70 ლარი ნაკლებია «სამხედრო შინაგან საქმეთა და სახელმწიფო სპეციალური დაცვის ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონის მამინდელი მე-60 მუხლით გათვალისწინებულ 45+42+87 ლარზე დანიშნულ პენსიაზე.

სააპელაციო პალატის მითითებით, «სახელმწიფო პენსიის შესახებ» კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებული პენსიების ოდენობები ამავე კანონის ამოქმედების მომენტიდან ავტომატურად ვრცელდება მათ მიმღებ პირებზე, პენსიის დანიშვნის დროის მიუხედავად, თუ დანიშნული პენსია ამ კანონით გათვალისწინებული პენსიის ოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ჩათვალა, რომ 70 ლარი 87 ლარზე ნაკლებია, ამიტომ ნ. წ-მემ ყოველთვიურად უნდა მიიღოს 87 ლარი. მასვე უნდა მიეღო 45 ლარისა და 35 ლარს შორის სხვაობა, რაც შეადგენს 408 ლარს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მარტის განჩინებით სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 18 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, შემდეგი დასაბუთებით:

«სამხედრო შინაგან საქმეთა და სახელმწიფო სპეციალური დაცვის ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-60 მუხლის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით ფაშინაშვილის წინააღმდეგ 1941-1945 წლების ომში მოპოვებული ისტორიული გამარჯვების მონაწილეობის, რომლებსაც შეუსრულდათ 75 წელი ან/და იყვნენ I და II ჯგუფის ინვალიდები, ეძლეოდათ ორი სახეობის პენსიის - ომის ინვალიდობის მიხედვით და მოხუცებულობის გამო (შრომის წელთა ნამსახურობისათვის) ერთდროულად მიღების უფლება. ამასთან, მათ მოხუცებულობის პენსიაზე დაენიშნებოდათ დანამტი მოხუცებულობისათვის დაწესებული ორი მინიმალური პენსიის ოდენობით. აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 27 დეკემბრის განჩინებით (საქმე #3გ-ად-203-კ-02) განიმარტა, რომ მე-60 მუხლით დადგენილი საპენსიო შეღავათის მოპოვებისათვის კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სუბიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: უნდა იყოს 1941-45 წლების ომის მონაწილე, 75 წლის, მინიჭებული უნდა ჰქონდეს ოფიცრის წოდება ან/და უნდა იყოს სამხედრო სამსახურის დროს დაინვალიდებული ომის I ან II ჯგუფის ინვალიდი. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე არ იყო დადგენილი, მოწინააღმდეგე მხარე - ნ. წ-მე პასუხობს თუ არა მე-60 მუხლის საფუძველზე საპენსიო შეღავათის მიღებისათვის დადგენილ პირობას, კერძოდ, არ არის დადგენილი, ჰქონდა თუ არა მას ოფიცრის წოდება ან იყო თუ არა სამხედრო სამსახურის დროს დაინვალიდებული ომის I ან II ჯგუფის ინვალიდი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 27 დეკემბრის განჩინების შესაბამისად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა არ შეცვლილა ხსენებული კანონის მე-60 მუხლის შემდგომი რედაქციული ცვლილებების გამო; ვინაიდან «სამხედრო შინაგან საქმეთა და სახელმწიფო სპეციალური დაცვის ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2003 წლის 23 ივლისის კანონით დადგენილი მე-60 მუხლის განახლებული რედაქციის ამოქმედების თარიღი (2004 წლის 1 იანვარი), 2003 წლის 31 დეკემბრისა და 2004 წლის 29 დეკემბრის კანონებით შეტანილი ცვლილებების თანახმად, გადაიდო ჯერ 2005 წლის 1 იანვრამდე, ხოლო შემდგომ - 2006 წლის 1 იანვრამდე. საგულისხმოა, რომ «სამხედრო შინაგან საქმეთა და სახელმწიფო სპეციალური დაცვის ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2005 წლის 28 ოქტომბრის კანონს, რომლითაც დადგინდა, რომ მე-60 მუხლი ამავე კანონის «ი-ლ» ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირთა მიმართ 2006 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდებოდა, მიენიჭა უკუქვევითი ძალა და იგი გავრცელდა 2005 წლის 23 დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად «სამხედრო შინაგან საქმეთა და სახელმწიფო სპეციალური დაცვის ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონიდან ამოღებულ იქნა მე-7 და მე-8 თავები და შესაბამისად, ამოღებულ იქნა მე-60 და 63-ე მუხლებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე,

კანონის მე-60 მუხლის განახლებული რედაქცია არ ამოქმედებულა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ ნ. წ-მისათვის პენსიის დანიშვნა შესაღებლად მიიჩნია იმ შემთხვევაში, თუ მითითებული პირი აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნული მე-60 მუხლის თავდაპირველი რედაქციით დადგენილ მოთხოვნებს. საქმეში, მართალია, დაცული იყო მასალები ნ. წ-მის ინვალიდობის თაობაზე, მაგრამ აღნიშნულის საფუძველზე არ დადასტურდებოდა, რომ ინვალიდობა უკავშირდებოდა სამხედრო სამსახურს, საქმეში ასევე არ მოიპოვებოდა მტკიცებულება მითითებული პირის ოფიცერთა შემადგენლობისადმი კუთვნილების თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალის სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ის გარემოება, რომ ნ. წ-მ არის ფაშიზმის წინააღმდეგ 1941-45 წლების ომში მოპოვებული ისტორიული გამარჯვების მონაწილე, დაბადებულია 1918 წლის 28 დეკემბერს და მინიჭებული აქვს ოფიცრის - ლეიტენანტის წოდება. ამდენად იგი აკმაყოფილებდა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-60 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს იმისათვის, რათა დანიშნონდა უკვე დანიშნულ 45 ლართან ერთად მოხუცებულობის პენსიაც (14 ლარი), ორი მინიმალური პენსიის დანამატით (28 ლარი).

სააპელაციო პალატა ასევე დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-50 მუხლი იმთავითვე განამტკიცებდა პენსიონერისათვის ახალ და ადრინდელ პენსიებს შორის სხვაობის ანაზრაურებას წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს 12 თვისა, რომელიც წინ უძღოდა პენსიის დასაანგარიშებლად მიმართვის თვის.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2003 წლის 23 ივლისს «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონის მე-17, 21-ე მუხლის მეორე პუნქტში, 22-ე, 25-ე მუხლის პირველ პუნქტში, 34-ე, 36-ე 48-ე მუხლის მეოთხე პუნქტში, 50-ე და მე-60 მუხლებში შევიდა ცვლილებები. 2003 წლის 31 დეკემბერს და 2004 წლის 29 დეკემბერს ხსენებულ კანონში კვლავ ცვლილებები იქნა შეტანილი, რომელთა მიხედვით ჯერ 2005 წლის 1 იანვრამდე, ხოლო შემდეგ 2006 წლის 1 იანვრამდე გადაწეულ იქნა ზემოთმითითებული კანონის 50-ე და მე-60 მუხლებში 2003 წლის 23 ივლისს შეტანილი ცვლილებების ამოქმედება, მაგრამ აღნიშნული მუხლების თავდაპირველი რედაქციის მოქმედება კანონის ძალაში შესვლის დღიდან, იგივე რედაქციით მოქმედებდნენ ისინი ნ. წ-მის მიერ მოპასუხისათვის მიმართვისას და 50-ე მუხლი პენსიონერისათვის მეორე სახის პენსიისა და ახალ და ადრინდელ პენსიებს შორის სხვაობის მიცემას წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს 12 თვისა.

საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ქუთაისის საქალაქო განყოფილებამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. კასატორმა მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება ნ. წ-მისათვის ე.წ. მეორე სახის - ასაკის პენსიის დანიშვნაზე და მისთვის მიუღებელი 12 თვის პენსიის გაცემაზე. მისი საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

კასატორის მითითებით, ნ. წ-მემ 1998 წლის 10 აგვისტოს განცხადებით მიმართა და წარმოადგინა მედალი «1941-1945 წლებში დიდი სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის», რომლის საფუძველზე საქართველოს «ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დაენიშნა სამამულო ომის ვეტერანებთან გათანაბრებული პირის პენსია - თვეში 35 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს უსაფუძვლოდ მიაჩნია მოსარჩელის განცხადება, რომელიც არასწორად გაითავალისწინა სასამართლომ, რომ მას ეკუთვნოდა სამამულო ომის მონაწილის პენსია. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-3 აბზაცი არასწორია, სადაც სასამართლო მსჯელობს დაკლებული პენსიის ანაზრაურებაზე, რადგან კასატორს მიაჩნია, რომ ნ. წ-მეს თავის პენსიაზე არა აქვს დანაკლისი. კასატორი იქვე მიუთითებს, რომ ნ. წ-მეს 2005 წლის ივნისში მიენიჭა სამამულო ომის მონაწილის სტატუსი და 2005 წლის 24 ივნისს გაცემული ცნობა #წ/2464, წარადგინა საპენსიო ფონდში. ამ ცნობის მიხედვით იგი დიდი სამამულო ომის მონაწილეა და არა სამამულო ომის ინვალიდი. მას მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი -246100198, რის საფუძველზეც იგი «სახელმწიფო პენსიის შეხაზე» კანონის სრული დაცვით 2005 წლის 1 ივლისიდან გადაყვანილია სამამულო ომის მონაწილის პენსიაზე. «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად თვეში მოსარჩელე პენსიას იღებს 70 ლარის ოდენობით.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2005 წლის 28 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე». აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვრიდან (კასატორი მიუთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო 2006 წლის 2 მარტს, ე.ი. კანონის ამოქმედების შემდეგ) მე-19 პუნქტის შესაბამისად ამოღებული იქნა მე-7 და მე-8 თავები, რომლის საფუძველზეც გაუქმდა მე-60 მუხლიც ე.წ. მეორე სახის პენსიის დანიშვნის შესახებ. შესაბამისად კასატორმა მიიჩნია, რომ 2006 წლის 2 მარტს სასამართლოს არ ჰქონდა კანონით უფლება ნ. წ-ძისათვის დადებითად გადაეწყვიტა მეორე სახის პენსიის დანიშვნა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 28 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არ არსებობს 1998 წლის 10 აგვისტოდან 2005 წლის 27 ივნისამდე ნ. წ-ძისათვის პენსიათა შორის სხვაობის -10 ლარის 3 წელზე გაანგარიშებით (360 ლარის) ანაზღაურების საფუძველი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. საქმის მასალებით დგინდება, რომ ნ. წ-ძემ 1998 წლის 10 აგვისტოს პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებით მიმართვისას მოპასუხეს წარუდგინა მედალი «1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის», რომლის საფუძველზეც, «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად დაენიშნა სამამულო ომის ვეტერანთან გათანაბრებული პირის პენსია თვეში 35 ლარის ოდენობით. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოპასუხის სისტემაში დასაქმებული მოხელის ბრალეულობით არ იქნა მიღებული და გათვალისწინებული ნ. წ-ძის მიერ მითითებულ მედალთან ერთად წარდგენილი სხვა მედალები და დოკუმენტაცია, რათა მას მინიჭებოდა «ომის მონაწილის» სტატუსი და დანიშვნოდა 45 ლარიანი პენსია.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნ. წ-ძე აკმაყოფილებდა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-60 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს იმისათვის, რათა დანიშვნოდა უკვე დანიშნულ 45 ლართან ერთად მოხუცებულობის პენსიაც (14 ლარი), ორი მინიმალური პენსიის დანამატით (28 ლარი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მარტის განჩინებით სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, გარკვეული მითითებებით ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შესახებ. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას არ შეასრულა საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 7 მარტის განჩინებით მიცემული მითითება, კერძოდ: არ იქნა გამოკვლეული, ნ. წ-ძეს ოფიცრის წოდება მიენიჭა დიდ სამამულო ომში მონაწილეობისათვის, თუ ომის შემდგომ პერიოდში. სააპელაციო პალატის სამოტივაციო ნაწილში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ ნ. წ-ძეს აქვს ოფიცრის-ლეიტენანტის წოდება, მაგრამ სასამართლომ არ მიუთითა იმ მტკიცებულებაზე, რომლის შესაბამისადაც დაადგინა აღნიშნული. საქმეში წარმოდგენილ ნ. წ-ძის სახელზე გაცემულ სამხედრო ბილეთში, გრაფაში -«სამხედრო წოდება» მითითებულია «ლეიტენანტი», იქვე გაკეთებულია მინაწერი «1952 წლის 20 დეკემბერი». საკასაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 27 დეკემბრის განჩინების შესაბამისად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მე-60 მუხლით დადგენილი საპენსიო შეღავათის მოპოვებისათვის სამხედრო მოსამსახურე ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: ა. უნდა იყოს 1941-45 წლების დიდი სამამულო ომის მონაწილე; ბ. უნდა შეუსრულებდეს 75 წელი; გ. უნდა ჰქონდეს ოფიცრის წოდება და/ან უნდა იყოს სამხედრო სამსახურის დროს დაინვალიდებული ომის I ან II ჯგუფის ინვალიდი.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს რომ გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ქუთაისის საქალაქო განყოფილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დანიშნული პენსიის შეჩერების საკითხი**

**განჩინება**

#ბს-920-882(კ-07) 20 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** პენსიიდან უსაფუძვლოდ დაქვითული თანხის უკან დაბრუნება და პენსიიდან თანხის დაქვითვის შეწყვეტა

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ბ-მემ 2006 წლის 9 ნოემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა ჭიათურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჭიათურის ფილიალისა და ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა 2006 წლის მარტიდან 2006 წლის 9 ნოემბრამდე 83,80 ლარის ოდენობით დაქვითული პენსიის დაბრუნება და პენსიიდან 20% დაქვითვის შეწყვეტა.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

მოსარჩელის განმარტებით, იგი არის მეორე ჯგუფის ინვალიდი და 1990 წლიდან დანიშნული აქვს მუდმივი პენსია. ცხოვრობს ჭიათურის რაიონის სოფ. . . . , ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დაავადების გამო (ეპილეფსია) ფიზიკური მუშაობა არ შეუძლია. ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 2000 წლის 3 აპრილს დარეგისტრირდა ინდემწარმედ, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო ვერ შეძლო ჯიხურის დადგმა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. 2000-2005 წლებში არ გაუფორმებია არანაირი ხელშეკრულება საგადასახადო ინსპექციასთან, არც არავის შეუმოწმებია მისი მუშაობა და არც თანხა მოუთხოვიათ ბიუჯეტში გადასახდელად. 2005 წლის აპრილში საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჭიათურის ფილიალში ჩატარებული რევიზიის შედეგად გამოვლინდა, რომ თითქოს მოსარჩელე მუშაობდა ინდემწარმედ. აღნიშნული განაპირობა ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემულმა ცნობამ, სადაც აღნიშნულია, რომ მ. ბ-მე 2000 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 ივნისამდე მუშაობდა ინდემწარმედ, რაც, მოსარჩელის მოსაზრებით, სიმართლეს არ შეესაბამება. აღნიშნული ცნობიდან ასევე ნათლად ჩანს, რომ მოსარჩელეს არ უმუშავია, რადგან არც ერთი თეთრი არ აქვს ბიუჯეტში გადახდილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჭიათურის ფილიალის უფროსის 2006 წლის 22 თებერვლის #1 განკარგულებით მ. ბ-მეს გადასახდელად დაეკისრა 858 ლარის გადახდა ბიუჯეტის სასარგებლოდ მისი ყოველთვიური პენსიის 20% დაკავებით, რაც, მისი განმარტებით, ოჯახს მძიმე ტვირთად დააწვა.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ბ-მეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოების გამო.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივები შემდეგში მდგომარეობს:

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეს თან ერთვის საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 სექტემბრის #634 დადგენილება, რომლის მე-10 ნაწილის «დ» ქვეპუნქტში მითითებულია, რომ შეჩერდეს ბიუჯეტიდან ყველა კატეგორიის მომუშავე პენსიონერთათვის პენსიის, თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების დანამატისა და 16-18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა, გარდა ბავშვობიდან ინვალიდი პენსიონერებისა. აღნიშნული დადგენილება მოქმედებდა 2006 წლის 1 იანვრამდე. 2006 წლის 1 იანვარს ამოქმედებული «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, პენსიის გაცემა შეწყდება საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, ანუ კერძო სექტორში დასაქმებულ პირს, რომელიც ეწევა სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას, ახალი კანონი არ უკრძალავს პენსიის მიღების უფლებასაც. თუმცა აღნიშნული კანონის მოქმედება ვერ გავრცელდება ძველ ურთიერთობებზე. ამავე კანონის მე-19 მუხლის

მე-2 პუნქტის თანახმად, ზედმეტად დარიცხული პენსიის დაბრუნება შესაძლებელია კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით, დანიშნული პენსიის არაუმეტეს 20%-ის დაკავებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული ნორმების საფუძველზე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, თავისი ფილიალებით წარმოადგენენ კომპეტენტურ და უფლებამოსილ ორგანოებს თავადვე განახორციელონ ზედმეტად დარიცხული საპენსიო თანხის დაკავება 20%-ის ფარგლებში.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელს მისი ჯიხური უნდა დაეღუპა და მისთვის ეცნობებინა კანონის მოთხოვნა, რომ ინდემწარმე პენსიის მიღების უფლებას კარგავდა. აღნიშნული კანონის არ ცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ან ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. კანონის ცოდნის პრეზუმფცია ყველაზე ვრცელდება.

ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება. მისი განმარტებით, მართალია იგი ინდემწარმე გახდა, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შეძლო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. ამის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში მოიპოვება, კერძოდ სოფელ პერევისის საკრებულოს ცნობა #1112 და საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 22 თებერვალს გაცემული ცნობა #79. მისი მოსაზრებით სასამართლომ დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება გამოიტანა, რადგან სათანადო შეფასება არ მისცა საქმისათვის მნიშვნელოვან დეტალებს, კერძოდ არ გამოიკვლია თუ რატომ არ მოახდინა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჭიათურის ფილიალის თანამშრომელმა რევიზიის ჩატარებამდე მოსარჩელისათვის პანსიის გაცემის შეჩერება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება. განჩინება დაეფუძნა შემდეგ მოტივებს:

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებიდან გამომდინარე, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს იმერეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრიდან გამოითხოვა მ. ბ-მის საპენსიო საქმე, საიდანაც გაირკვა, რომ იგი შრომით საქმიანობას ეწეოდა 1979 წლის 6 დეკემბრიდან. 1989 წელს დაუდგინდა მე-2 ჯგუფის ინვალიდობა საერთო დაავადებით. პენსია დაენიშნა 1990 წლის 3 იანვრიდან. პენსიაში გასვლამდე იგი მუშაობდა თბილისის სპეციალიზირებულ სამონტაჟო სამმართველო ბაგირ გზა მონტაჟში მე-5 თანრიგის მემონტაჟედ.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2005 წლის აპრილში სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის კონტროლისა და ზედამხედველობის ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოვლინდა, რომ მ. ბ-მე დარეგისტრირებული იყო ინდემწარმედ საგადასახადო ინსპექციაში და იმავდროულად იღებდა შრომის პენსიას, რაც შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 სექტემბრის #634 დადგენილების «საქართველოს რესპუბლიკაში ფასწარმოებისა და საფინანსო სისტემების რადიკალური რეფორმის, მოსახლეობის სოცდაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» მე-10 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41 მუხლის (მკ. რედაქცია) თანახმად, გადასახადის გადამხდელი ვალდებული იყო საგადასახადო ორგანოებისათვის წერილობით ეცნობებინა საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, რაც მ. ბ-მეს არ შეუსრულებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას დაედგინა, რომ აპელანტს 2000-2005 წლებში სამეწარმეო საქმიანობა არ განუხორციელებია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განხილვის მიზნით სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს, განახორციელა თუ არა მ. ბ-მემ ინდივიდუალური მეწარმეობა 2000-2005 წლებში, დაუსაბუთებელია, ვინაიდან საქმეში მოიპოვება სოფ. ... საკრებულოს 2006 წლის 27 ოქტომბრის #1112 ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კასატორი 2000-2005 წლებში პერევისის საკრებულოს ტერიტორიაზე არ ეწეოდა ინდ-მეწარმეობას, არც საქართველოს სხვა რეგიონებში ჰქონდა გახსნილი ჯიხური რაიონული პროდუქციის გასაყიდად; ასევე -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ჭიათურის განყოფილების 2006 წლის 22 თებერვლის #79 ცნობა, რომელშიც მითითებულია, რომ არ იძებნება აღნიშნულ წლებში მ. ბ-მის, როგორც ინდ. მეწარმის მიერ ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი საბუთები.

სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა მ. ბ-მის მიერ პროცესზე წარდგენილი დამატებითი მტკიცებულება. კერძოდ, მის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობით ფორმა #27 მტკიცდებოდა, რომ იგი ჯერ კიდევ ბავშვობაში იყო ეპილეფსიით მძიმედ დაავადებული. აღნიშნული ცნობა, მისი განმარტებით იყო დამალული ან დაკარგული, რისი მოძიებაც დროულად ვერ შეძლო. ცნობის არქივში აღმოჩენის შემდეგ მან სააპელაციო სასამართლოში წარადგინა იგი, მაგრამ მოსამართლემ არ

გაითვალისწინა მითითებული გარემოება და უკანონო გადაწყვეტილება მიიღო. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ დამატებითი მტკიცებულების გამოკვლევის შემთხვევაში სასამართლო კანონიერ გადაწყვეტილებას მიიღებდა, რადგან საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 სექტემბრის #634 დადგენილების მე-10 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად პენსიის გაცემა არ უჩერდებოდათ იმ მომუშავე პენსიონერებს, რომლებიც ბავშვობიდან ინვალიდები იყვნენ. აღნიშნული ცნობა კი უთითებს, რომ კასატორი 13 წლის ასაკიდან იყო დაავადებული ეპილეფსიით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ინდივიდუალური მეწარმე «მ. ბ-მე» რეგისტრირებული იყო ინდივიდუალურ საწარმოდ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის ჭიათურის მომსახურეობის განყოფილებაში 2000 წლის 3 აპრილიდან. 2005 წლის 27 ივნისის მის მიერ წარდგენილ იქნა განცხადება საქმიანობის შეჩერებაზე. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელე, როგორც გადასახადის გადამხდელი ვალდებული იყო წერილობით ეცნობებინა საგადასახადო ორგანოებისათვის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, რაც მ. ბ-მეს არ შეუსრულებია; ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეგინა, ახორციელებდა თუ არა მ.ბ-მე ინდივიდუალურ მეწარმეობას 2000-2005 წლების მანძილზე. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამგვარ მოსაზრებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, არ განახორციელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილება საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოვლენისა და შეფასების მიზნით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული დავის კანონიერად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, შეიძლება მიჩნეულ იქნეს თუ არა მ. ბ-მე «მომუშავე პენსიონერად», რის გამოც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 სექტემბრის #634 დადგენილების «საქართველოს რესპუბლიკაში ფასწარმოქმნისა და საფინანსო სისტემების რადიკალური რეფორმის, მოსახლეობის სოციალური დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ» მე-10 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა შეჩერებულიყო მასზე სახელმწიფო პენსიის გაცემა. «მომუშავე პენსიონერად», ამ დადგენილების მიზნებიდან გამომდინარე, მიჩნეულ უნდა იქნეს პირი, რომელსაც გააჩნია რაიმე სხვა სახის შემოსავალი, პენსიის გარდა, განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობიდან, იქნება ეს შემოსავალი, მიღებული ხელფასის სახით საჯარო დაწესებულებაში, თუ იქნება ეს შემოსავალი, მიღებული პირის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობიდან. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, «მომუშავე პენსიონერად» მ. ბ-მის მიჩნევისათვის გადაწყვეტა დადგინდეს -ახორციელებდა თუ არა იგი ეკონომიკურ საქმიანობას 2000 წლის 3 აპრილიდან 2005 წლის 27 ივნისამდე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997 წლის 13 ივნისის რედაქცია) მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც წარმართება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა. იმავე კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ფიზიკური პირი ითვლება მეწარმედ, თუ ის არის ინდივიდუალური მეწარმე «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-2 მუხლის მიხედვით და თუ ის დამოუკიდებლად და თავისი რისკით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე; ხოლო 28-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საგადასახადო ვალდებულება ეკისრება გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომლებიც ითვალისწინებენ გადასახადის გადახდას.

საგადასახადო კოდექსი (როგორც 1997 წლის 13 ივნისის, ისე -2004 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) მხოლოდ გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციას არ უკავშირებს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობას. ამ უკანასკნელის საფუძველი არის გადასახადის გადამხდელის მიერ ეკონომიკური საქმიანობის (სამეწარმეო ან არასამეწარმეო) განხორციელება, რომელიც თავისთავად გულისხმობს მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღებას ან მისი მიღების შესაძლებლობას. რეგისტრაცია არ გულისხმობს ასევე იმასაც, რომ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, რეგისტრაციის პერიოდში, აუცილებლად უნდა ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას და იღებდეს შემოსავალს.

საქმის ფურცელ 5-ზე წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურეობის სამმართველოს ჭიათურის განყოფილების 2006 წლის 22 თებერვლის #79 ცნობა, რომელშიც მითითებულია, რომ არ იძებნება 2000-2005 წლებში მ. ბ-მის, როგორც ინდ. მეწარმის მიერ ბიუჯეტში გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საბუთები. საქართველოს რესპუბლიკის ჭიათურის ზონის პერვესის სოფლის საკრებულოს გამგეობის 2006 წლის 27 ოქტომბრის #1112 ცნობის თანახმად კი მ. ბ-მე 2000-2005 წლებში ... საკრებულს ტერიტორიაზე არ ეწეოდა ინდივიდუალურ მეწარმეობას; ჯიხური არ



ჰქონდა გახსნილი საქართველოს სხვა რეგიონებში რაიმე პროდუქტის გასაყიდად და იგი უმუშევრია. ამასთან, საქმეში არ მოიპოვება იმის მტკიცებულება, რომ ინდივიდუალურ მეწარმე «მ. ბ-ძეს», მითითებული პერიოდის განმავლობაში, დაეკისრა პასუხისმგებლობა საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. საკასაციო პალატა თვლის, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მ. ბ-ძე 2000 წლის 3 აპრილიდან 2005 წლის 27 ივნისამდე არ ახორციელებდა ეკონომიკურ საქმიანობას და არ იღებდა შემოსავალს ამ საქმიანობიდან. სააპელაციო სასამართლომ კი სრულყოფილად არ შეაფასა ზემოთ მითითებული მტკიცებულებები და არ დაადგინა, ახორციელებდა თუ არა ინდივიდუალური მეწარმე «მ. ბ-ძე» ეკონომიკურ საქმიანობას მითითებულ პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს ასევე უნდა შეეფასებინა საქმეში წარმოდგენილი მ. ბ-ძის ავადმყოფის სამედიცინო ბარათიდან ამონაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ მ. ბ-ძე 13 წლის ასაკიდან დაავადებულია ეპილევსიით. სააპელაციო პალატას ამ ფაქტობრივი გარემოების შესაბამისად უნდა გამოერკვია, შეიძლება თუ არა დადგინდეს ის გარემოება, რომ მ. ბ-ძე წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 სექტემბრის #634 დადგენილების მე-10 პუნქტის «დ» ქვეპუნქტში მითითებულ «ბავშვობიდან ინვალიდ პირს», რომლის მიმართაც სახელმწიფო პენსიის გაცემა არ უნდა შეჩერებულიყო, მიუხედავად იმისა, წარმოადგენდა პირი მომუშავე თუ არამომუშავე პენსიონერს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებულ მოსამსახურეთა უფლება საპენსიო დანამატზე**

##### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#ბს-1146-1097(კ-07) 10 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ლ. მურუსიძე,**  
**მ. ცისკაძე**

**დავის საგანი:** საპენსიო დანამატის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 7 აგვისტოს ჰ. გ-ავამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 3 დეკემბრის #249 ბრძანებულებით, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი პოლკოვნიკი ჰ. გ-ავა დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. პენსიაზე გავიდა 1996 წლის 3 იანვრიდან და 1997 წლის 1 იანვრიდან ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე, ნაცვლად 50%-ისა, დაერიცხა 25%-იანი საპენსიო დანამატი. ამ დანამატს ღებულობდა 2002 წლის 1 იანვრამდე, რა დროსაც მას დაენიშნა სხვა სახის პენსია. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბრალულობით მან ვერ მიიღო ზემოაღნიშნულ პერიოდში 1997 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე კანონით გათვალისწინებული 25%-იანი დანამატი 60 თვის განმავლობაში, რაც ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო ხსენებული ფონდის მიერ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დარღვეული სოციალური უფლების აღდგენის მიზნით 2006 წლის 12 ივლისის მიმართა სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიების დეპარტამენტს, რომელმაც, 2006 წლის 19 ივლისის #მ-05/05-9097 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უარი განუცხადა მიუღებელი კუთვნილი საპენსიო დანამატის ანაზღაურებაზე.

უარის საფუძვლად ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, დანიშნული კომპენსაცია გადაანგარიშებას არ ექვემდებარებოდა.

ზემოაღნიშნულ განმარტებას არ დაეთანხმა მოსარჩელე და აღნიშნა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით დანიშნულ და გაცემულ პენსიებს ეწოდებოდა კომპენსაცია, რომელშიც მოიაზრებოდა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ პენსიონერი საპენსიო ორგანოს მიზეზით დროულად ვერ მიიღებდა პენსიის თანხას, მაშინ მას პენსიის მთლიან თანხას შეუზღუდავად მისცემდნენ. მოსარჩელის განმარტებით, მან უდავოდ დროულად მიმართა ზემოხსენებულ ფონდს, რათა მისთვის დაენიშნათ კანონით გათვალისწინებული საპენსიო დანამატი. აღნიშნულმა ფონდმა 1997 წლის 1 იანვრიდან საპენსიო დანამატი, ნაცვლად 50%-ისა, დაუნიშნა 25%, რაც შედეგი იყო «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 41-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის არასწორი განმარტებისა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, კომპეტენტური ორგანოს უფლება-მოვალეობა იყო კომპენსაციის დანიშვნა, მისი გაცემის ორგანიზება, შეჩერება, განახლება, გადაანგარიშება და შეწყვეტა. აქედან გამომდინარე, სწორედ ძალოვანი სტრუქტურების საპენსიო უზრუნველყოფის დეპარტამენტს (მის წინამორბედ სტრუქტურას) ევალებოდა მოსარჩელისათვის პენსიის დანიშვნისა და გადაანგარიშების ორგანიზება, რაც თავის დროზე არ შესრულებულა.

მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ პენსიონერთა მდგომარეობა კიდევ უფრო გააუმჯობესა ზემოაღნიშნულმა კანონმა, რომლის მე-6 მუხლის თანახმად, კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირს კომპენსაციის დასანიშნად მიმართვა შეეძლო აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის (სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიების დეპარტამენტის) 2006 წლის 19 ივლისის #მ-05/05-9097 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ პენსიაზე 25%-იანი მიუღებელი კუთვნილი დანამატის ანაზღაურების დაკისრება 1997 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე, 60 თვის განმავლობაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჰ. გ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს დაევალა მოსარჩელის -ჰ. გ-ავას სასარგებლოდ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის გამო 25 %-იანი საპენსიო დანამატის 1997 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე დროის მონაკვეთის მიხედვით გადაანგარიშება და ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულებით მოსარჩელე ჰ. გ-ავა დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ჰ. გ-ავას 1997 წლის 1 იანვრიდან პენსიაზე დაემატა 25%-იანი დანამატი ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენისათვის და იგი ამ დანამატს ღებულობდა 2002 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული პერიოდიდან მოსარჩელეს დაენიშნა სხვა სახის პენსია.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდმა (ფონდის სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიების დეპარტამენტმა) 2006 წლის 19 ივლისის #მ-05/05-9097 წერილით უარი განუცხადა მოსარჩელე ჰ. გ-ავას 2006 წლის 12 ივლისის განცხადების დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დანიშნული კომპენსაცია გადაანგარიშებას არ ექვემდებარებოდა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ჰ. გ-ავას არასწორად ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 41-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე ჰ. გ-ავას 1997 წლის 1 იანვრიდან კუთვნილი საპენსიო დანამატი უნდა გადაანგარიშებოდა არა 25%-იანი, არამედ 50%-იანი განაკვეთით. საპენსიო დანამატის არასწორ გადაანგარიშებას საფუძვლად დაედო ხსენებული ნორმის მოპასუხის მიერ არასწორი განმარტება.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის დებულებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მოსარჩელე ჰ. გ-ავასთან მიმართებაში. აღნიშნული სამართლის ნორმა აწესრიგებდა იმ შემთხვევას, როცა პენსიონერმა მიიღო პენსიის მომატების უფლება და დროულად არ

მიმართა სათანადო ორგანოს პენსიის მისაღებად, რა დროსაც სხვაობა ახალ და ადრინდელ პენსიებს შორის პენსიონერს მიეცემოდა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს 12 თვისა, რომელიც წინ უძღოდა პენსიის გადასაანგარიშებლად მიმართვას. უდავო იყო, რომ მოსარჩელე ჰ. გ-ავამ დროულად განახორციელა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენისათვის პენსიის თანხაზე საპენსიო დანამატის მიღების უფლება, მას ჯერ კიდევ 1997 წლის 1 იანვრიდან გადაუანგარიშდა კუთვნილი პენსია კონკრეტული საფუძვლით (ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენისათვის), თუმცა არასწორად.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოქმედება მოსარჩელე ჰ. გ-ავაზე იმ შემთხვევაში გავრცელდებოდა, თუკი მოსარჩელე, ნაცვლად 1997 წლის 1 იანვრისა, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენისათვის დანამატის მიღების დანიშნულას, ანუ პენსიის გადაანგარიშებას, მოითხოვდა არა მოთხოვნის უფლების წარმოშობის დღიდან დროულად, არამედ წლების შემდეგ. მოსარჩელე ჰ. გ-ავას შემთხვევაში სადავო იყო არა პენსიაზე დანამატის დანიშნის საფუძვლები, არამედ უკვე დანიშნული დანამატის არასწორი გამოანგარიშება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონის (ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან) 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით, ამ პუნქტში ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით ახალი კანონის ამოქმედებამდე უკვე დანიშნული კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია არ ექვემდებარებოდა გადაანგარიშებას ამ კანონის III, IV, V და VI თავების მიხედვით, ხოლო ჩამონათვაში «ვ» ქვეპუნქტად მითითებული იყო «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონი. «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 თავით, თავის მხრივ, რამდენადმე განსხვავებულადაა მოწესრიგებული სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციების გაანგარიშების საკითხი, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუკი «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე პირისათვის დანიშნული პენსია (კომპენსაცია/აკადემიური სახელმწიფო სტიპენდია) რამდენადმე განსხვავდებოდა ახალი საკანონმდებლო აქტის - «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 თავით დადგენილ უფლებათა შინაარსისაგან, ამ საკანონმდებლო აქტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავდა ძველი საკანონმდებლო აქტით («სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონით) დადგენილი უფლების ახალი საკანონმდებლო აქტით დადგენილ უფლებასთან შესაბამისობაში მოყვანას გადაანგარიშების გზით. უდავო იყო, რომ მოსარჩელე ჰ. გ-ავას მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ წარმოადგენდა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის დებულებანი, მოსარჩელე თავის მოთხოვნას აფუძნებდა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 41-ე მუხლზე და დაობდა ამ კანონიდან გამომდინარე უფლების დარღვევაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული და კანონიერი იყო, რის გამოც არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტომ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან,

როდესაც დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. 3. გ-ავასთვის, ორდენზე გათვალისწინებული 25%-იანი დანამატის დანიშვნის შესახებ ცნობილი გახდა 1997 წლის იანვარში, ხოლო სასამართლოს სარჩელით მიმართა 2006 წლის 7 აგვისტოს, დანამატის დანიშვნიდან მეცხრე წელს.

კასატორი მიუთითებს რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2007 წლის 11 სექტემბერს მიღებულ #ბს-310-293 (კ-07) გადაწყვეტილებასა და იმავე სასამართლოს 2006 წლის 21 ნოემბრის #ბს-664-631 (კ-06) გადაწყვეტილებაზე, აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 4 იანვრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 28 თებერვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 28 თებერვლის განჩინებით ააიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი მიჩეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 17 აპრილს, მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 3 დეკემბრის #249 ბრძანებულებით, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი, პოლკოვნიკი 3. გ-ავა დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით; პენსიაზე გავიდა 1996 წლის 3 იანვრიდან და 1997 წლის 1 იანვრიდან ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე, დაერიცხა 25%-იანი საპენსიო დანამატი. ამ დანამატს ღებულობდა 2002 წლის 1 იანვრამდე -სხვა სახის პენსიის დანიშვნამდე; 3. გ-ავამ 2007 წლის 12 ივლისს წერილობით მიმართა სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიების დეპარტამენტს და განმარტა, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბრალეულობით ვერ მიიღო 1997 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე (60 თვის განმავლობაში) ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენზე კანონით გათვალისწინებული 25%-იანი დანამატი, რაც ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო ხსენებული ფონდის მიერ; 2006 წლის 19 ივლისის #მ-05/05-9097 წერილით სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიების დეპარტამენტმა უარი განუცხადა მიუღებელი კუთვნილი საპენსიო დანამატის ანაზღაურებაზე; უარის საფუძვლად ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, დანიშნული კომპენსაცია გადაანგარიშებას არ ექვემდებარებოდა. ადმინისტრაციული ორგანოს უარი მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის იმ დროისათვის მოქმედი 41-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის შინაარსს, რომელიც ითვალისწინებდა ვახტანგ გორგასლის სამივე ორდენით დაჯილდოებული პირებისათვის პენსიების გადიდებას პენსიის ოდენობის 50%-ით, რამაც გამოიწვია ის გარემოება, რომ პირებს, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი ხარისხის ორდენი, პენსიაზე დანამატი დაენიშნათ პენსიის 25%-ის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით განიმარტა ზემოაღნიშნული კანონის 41-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის შინაარსი, რომ მითითებული მუხლის ნამდვილი შინაარსი გულისხმობდა ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი ორდენით დაჯილდოებულ პირს და შესაბამისად, ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი ორდენით დაჯილდოებულმა პირებმა მიიღეს 50%-იანი დანამატი, ნაცვლად 25%-ისა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპენსიო ორგანოს მხრიდან მოსარჩელისათვის 50%-იანი დანამატის არდანიშვნა, განპირობებული იყო იმით, რომ იმ დროისათვის საპენსიო ორგანო «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 41-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტს განმარტავდა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით და არა მისი ნამდვილი შინაარსით.

საკასაციო სასამართლო, მართალია, მიიჩნევს, რომ გასაცემი პენსიის ოდენობის სწორად განსაზღვრის ვალდებულება საპენსიო ორგანოს წარმოეშვა საპენსიო დანამატის დანიშვნისთანავე და არა პენსიონერის მიერ, აღნიშნულთან დაკავშირებით შეცდომის გასწორებისათვის მიმართვის მომენტიდან, მაგრამ ამასთან, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საპენსიო ორგანოს მიერ პენსიის გაცემა განეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რომლის მიმართაც დადგენილია ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადები. ჰ. გ-ავას საპენსიო დანამატი, 25 პროცენტი, ნაცვლად 50 პროცენტისა, ეძლეოდა 1997 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე (60 თვის განმავლობაში). მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორგანოს დანამატის გაცემის მოთხოვნით მიმართა 2006 წლის 12 ივლისს. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით მას უფლება ჰქონდა, მოეთხოვა სხვაობის ანაზღაურება 3 წლის უკან დახევით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ.

მსგავსი კატეგორიის სარჩელებთან დაკავშირებით, სასამართლომ ერთიანი პრაქტიკა დაადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით (#ბს-310-293 (კ-07), რომლის მიხედვითაც, მოსარჩელეს, სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გათვალისწინებით, უფლება აქვს, მოითხოვოს სხვაობის ანაზღაურება 3 წლის უკან დახევით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ჰ. გ-ავას პენსიაზე დანამატის გაცემა, სხვა პენსიის დანიშვნის გამო შეუწყდა 2002 წლის 1 იანვარს. თავისი უფლების განხორციელების მიზნით, მან ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა 2006 წლის 12 ივლისს, რა დროსაც გაშვებული ჰქონდა მოთხოვნის წარდგენის (სასამართლოში სარჩელის შეტანის ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის) ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინების გაუქმებით საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ჰ. გ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პენსიის გადაანგარიშება

### განჩინება

#ბს-998-955(კ-07)

24 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ლ. მურუსიძე,**

**მ. ცისკაძე**

**სარჩელის საგანი:** პენსიის გადაანგარიშება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 8 აპრილს გ. ჟ-იანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ, როგორც პენსიონერი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხაზით, პენსიას ღებულობდა თვეში 205 ლარს. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებით გაიზარდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მუშაკთა ხელფასები. «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, პენსიები გადაისინჯებოდა სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოების კადრის რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირთათვის ფულადი კმაყოფის (სარგოს) მომატებისას -სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი კმაყოფის მომატების გათვალისწინებით. 2005 წლის 31 მარტის განცხადებაზე პენსიის გადაანგარიშების თაობაზე, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა 2005 წლის 31 მარტის წერილით უარი განუცხადა გ. ჟ-იანს პენსიის გადაანგარიშებაზე, იმ მოტივით, რომ პენსიების გადაანგარიშება, გაზრდილი ხელფასის მიხედვით, უნდა განხორციელებულიყო 2006 წლის 1 იანვრიდან.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას არ შეიძლება მინიჭებოდა უპირატესი იურიდიული ძალა კანონთან შედარებით. შესაბამისად, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უარი პენსიის გადაანგარიშებაზე, არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დავალდებულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხაზით გაზრდილი ხელფასიდან პენსიის გადაანგარიშების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ჟ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთათვის მომატებული ფულადი კმაყოფის (სარგოს) შესაბამისად პენსიის თანხის გადაანგარიშებაზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი ითვალისწინებდა სამხედრო სამსახურში მყოფი მოსამსახურეებისათვის ფულადი კმაყოფის (სარგოს) მომატების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეთა პენსიების გადასინჯვის, ანუ მომატებული ფულადი კმაყოფის შესაბამისად პენსიების გადაანგარიშების შესაძლებლობას.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებით განისაზღვრა სამხედრო მოსამსახურეთა ახალი, მომატებული ყოველთვიური ფულადი სარგოების ნუსხა. საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61-ე პუნქტით განისაზღვრა, რომ სამხედრო მოსამსახურეებისათვის იმავე ბრძანებულებით დადგენილი ფულადი სარგოების შესაბამისად, შეიარაღებული ძალების სამხედრო პენსიონერთა პენსიების გადაანგარიშება უნდა განხორციელებულიყო 2006 წლის 1 იანვრიდან.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ, რადგან «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას არ შეიძლება მინიჭებოდა უპირატესი იურიდიული ძალა კანონთან შედარებით, პენსიების გადაანგარიშება უნდა მომხდარიყო დაყოვნების გარეშე და არა 2006 წლის 1 იანვრიდან.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა ენიჭებოდა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საკანონმდებლო აქტს – «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს – საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებას შორის წინააღმდეგობა არ არსებობდა და აღნიშნული ბრძანებულება, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული იყო საკანონმდებლო აქტის – «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის შესასრულებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უარი მოსარჩელე გ. ჟ-იანისათვის პენსიის გადაანგარიშების შესახებ, საფუძვლიანი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ჟ-იანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ჟ-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ჟ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხაზით გაზრდილი ხელფასებიდან გ. ჟ-იანის პენსიის გადაანგარიშება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტების შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და ასევე არასწორად განმარტა კანონი, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს, ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61-ე პუნქტისა, უნდა გამოეყენებინა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, ამავე კანონის პირველი მუხლის «ა» ქვეპუნქტში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეთა პენსიები გადასინჯებოდა სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოების კადრის რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირთათვის ფულადი კმაყოფის (სარგოს) მომატებისას – სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი კმაყოფის მომატების გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის ზემოხსენებული ნორმით იმპერატიულად იქნა დადგენილი, რომ სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ფულადი კმაყოფის (სარგოს) მომატებისას, ასევე უნდა მომხდარიყო პენსიების გადასინჯვა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის «ა» ქვეპუნქტში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართაც. პენსიის მომატებისთვის (გადასინჯვისთვის) კანონით არ ყოფილა დადგენილი რაიმე დამატებითი პირობა, მაგალითად, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის (საქართველოს პრეზიდენტი თუ თავდაცვის მინისტრი) უფლებამოსილების დელეგირების შესახებ, რათა მას ცალკე კანონქვემდებარე აქტის გამოცემით, თავისი შეხედულებისამებრ, დაედგინა პენსიების გადასინჯვის კონკრეტული თარიღი. ამ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეცია, პენსიების გადასინჯვის თარიღის მითითების შესახებ, ზუსტად შემოიფარგლებოდა მხოლოდ გარკვეული მოვლენის დადგომით – სამხედრო მოსამსახურეებისათვის ფულადი კმაყოფის (სარგოს) მომატებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება, ერთი მხრივ, 2004 წლიდან გაზრდილიყო ფულადი სარგო სამხედრო სამსახურში მყოფ პირთა მიმართ და ამავე დროს დაინტერესებულ პირთა მიმართ პენსიის მომატების (გადასინჯვის) ათვლის თარიღი დადგენილიყო 2006 წლის 1 იანვრიდან.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, როდესაც მიიჩნია, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტსა და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61-ე პუნქტს შორის წინააღმდეგობა არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან არსებობდა წინააღმდეგობა ზემოაღნიშნულ კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს შორის, «ნორმატიული

აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭებოდა უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ჟ-იანის სარჩელი საფუძვლიანი იყო და «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად (სარჩელის აღძვრის დროს მოქმედი რედაქცია), მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს უნდა დავალებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხაზით გაზრდილი ხელფასიდან (ანუ იმ პერიოდიდან, როცა აღნიშნულ ფაქტს რეალურად ჰქონდა ადგილი) გ. ჟ-იანის პენსიის გადაანგარიშება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა «სოციალური სუბსიდიების სააგენტომ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტი ითვალისწინებს ამავე კანონით პენსიის მიმღებ სამხედრო სამსახურში მყოფ მოსამსახურეთათვის ფულადი სარგოს მომატების შემთხვევაში მათი პენსიის გადასინჯვას, ანუ მომატებული ფულადი კმაყოფის (სარგოს) შესაბამისად პენსიის გადაანგარიშებას. «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვის და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებით განისაზღვრა სამხედრო მოსამსახურეთა მომატებული ყოველთვიური ფულადი სარგოების ნუსხა და ამავე ბრძანებულებით დადგინდა, რომ ახალი ფულადი სარგოების შესაბამისად, სამხედრო პენსიონერთა პენსიების გადაანგარიშება განხორციელდეს 2006 წლის 1 იანვრიდან.

კასატორი აღნიშნავს, რომ იგი მთლიანად ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში საკანონმდებლო აქტს – «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს – საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებას შორის წინააღმდეგობა არ არსებობს და აღნიშნული ბრძანებულება, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულია საკანონმდებლო აქტის – «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის შესასრულებლად. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ხსენებული ბრძანებულება ეწინააღმდეგება ზემოთ მითითებულ კანონს, საფუძველს მოკლებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 6 ნოემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 19 დეკემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 14 თებერვალს, მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენით, 2008 წლის 17 აპრილს, 12.30 საათზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: გ. ჟ-იანმა, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხაზით, როგორც



პენსიონერი, ღებულობდა პენსიას, 2005 წლის 31 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს გაზრდილი თანამდებობრივი სარგოს მიხედვით პენსიის გადაანგარიშების თაობაზე, ხოლო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა 2005 წლის 31 მარტის პასუხით უარი განუცხადა გ. ჟ-იანს პენსიის გადაანგარიშებაზე იმ მოტივით, რომ პენსიის გადაანგარიშება, გაზრდილი თანამდებობრივი სარგოს მიხედვით, უნდა განხორციელებულიყო 2006 წლის 1 იანვრიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტზე (სარჩელის აღძვრის დროს მოქმედი რედაქცია), რომლის მიხედვითაც, ამ კანონის პირველი მუხლის «ა»-«ზ» ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეთა პენსიები გადასინჯებოდა სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოების კადრის რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირთათვის ფულადი კმაყოფის (სარგოს) მომატებისას -სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი კმაყოფის მომატების გათვალისწინებით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოიშობოდა პენსიების გადასინჯვის ორივე საფუძველი, პენსიათა გადასინჯვა შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ერთ-ერთი საფუძვლის გათვალისწინებით. აღნიშნული საფუძვლით პენსიათა გადასინჯვა ხდებოდა ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონში 2005 წლის 17 ივნისის კანონით შეტანილი ცვლილებით, რომელიც ამოქმედდა 2005 წლის 1 აგვისტოდან, ამ კანონის 45-ე მუხლის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 1 იანვარი. ხსენებული კანონის 45-ე მუხლი ამოღებულ იქნა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონში 2005 წლის 23 დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებებით, რომელიც ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ გ. ჟ-იანმა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებების რეალიზება მოახდინა ამავე მუხლის მოქმედების პერიოდში - 2005 წლის 31 მარტს (ამ მუხლის მოქმედების შეჩერებამდე -2005 წლის 1 აგვისტომდე), როდესაც მან ამის თაობაზე განცხადებით მიმართა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს, რომელმაც უკანონოდ განუცხადა უარი პენსიის გადაანგარიშებაზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ კანონის ზემოხსენებული ნორმით იმპერატიულად იქნა დადგენილი, რომ სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ფულადი კმაყოფის (სარგოს) მომატებისას, ასევე უნდა მომხდარიყო პენსიების გადასინჯვა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის «ა» ქვეპუნქტში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართაც, ხოლო პენსიის მომატებისთვის (გადასინჯვისთვის) კანონით არ ყოფილა დადგენილი რაიმე დამატებითი პირობა საქართველოს პრეზიდენტისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ, რათა მას ცალკე კანონქვემდებარე აქტის გამოცემით, თავისი შეხედულებისამებრ, დაედგინა პენსიების გადასინჯვის კონკრეტული თარიღი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებაზე, რომლითაც (დანართი) დამტკიცდა სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა ახალი ყოველთვიური ფულადი სარგოების ნუსხა. ხსენებული ბრძანებულების 61-ე პუნქტით დადგინდა, რომ სამხედრო მოსამსახურეებისათვის ამავე ბრძანებულებით დადგენილი ფულადი სარგოების შესაბამისად, შეიარაღებული ძალების სამხედრო პენსიონერთა პენსიების გადაანგარიშება უნდა განხორციელებულიყო 2006 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის #47 ბრძანებულებით ახლებურად ჩამოყალიბდა ამავე ბრძანებულების #1 დანართით გათვალისწინებული სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა ახალი ყოველთვიური ფულადი სარგოების ნუსხა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის #47 აღნიშნული ბრძანებულება ამოქმედდა 2005 წლის 1 იანვრიდან. ამდენად, ხსენებული ბრძანებულებით სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა ხელფასი გაიზარდა 2005 წლის 1 იანვრიდან, მაშინ, როდესაც იმავე ბრძანებულების მიხედვით, დადგენილი ფულადი სარგოების შესაბამისად, შეიარაღებული ძალების სამხედრო პენსიონერთა პენსიების გადაანგარიშება უნდა განხორციელებულიყო 2006 წლის 1 იანვრიდან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, რადგან პენსიების გადასინჯვის თარიღთან მიმართებაში არსებობდა წინააღმდეგობა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტსა და «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 61-ე პუნქტს შორის, ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭებოდა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტის ნორმას – «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტს, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვითაც, ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში საკანონმდებლო აქტს – «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს – საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებას შორის წინააღმდეგობა არ არსებობდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ყ-იანის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხაზით გაზრდილი ხელფასიდან პენსიის გადაანგარიშების თაობაზე, არის საფუძვლიანი და სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა მისი სარჩელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ფინანსური პოლიციის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნის წესი**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#ბს-1063-1016(კ-07) 1 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** პენსიის დანიშვნა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. კ-მემ 2006 წლის 22 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ და მოითხოვა ფინანსურ პოლიციაში წელთა ნამსახურობის მიხედვით პენსიის დანიშვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს დაევალა 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად გამოეცა

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ი. კ-მეს დანიშვნოდა კუთვნილი პენსია ფინანსურ პოლიციაში წელთა ნამსახურობის შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმით, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთი სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წერილით დასტურდება, რომ მოსარჩელემ აღნიშნული მოთხოვნით მიმართა მოპასუხე ორგანიზაციას და მიიღო უარი. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ნამსახურობის ნუსხის თანახმად ვიცე პოლკოვნიკი ი. კ-მე 2004 წლის 16 მარტიდან 2004 წლის 18 მარტამდე მუშაობდა საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის საგამოძიებო სამმართველოს პირველი განყოფილების უფროს გამომძიებლად, 2004 წლის 18 მარტიდან 2005 წლის 13 მაისამდე საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის საგამოძიებო სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსად. 2005 წლის 13 მაისიდან 2005 წლის 22 ნოემბრამდე საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს უფროს გამომძიებლად. აქვე აღნიშნულია, რომ 2005 წლის 22 ნოემბერს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის უარი უსაფუძვლოა და მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აპელანტის განმარტებით, ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად რეგულირდებოდა. ფინანსური პოლიციიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო დათხოვნილ პირებს 2006 წლის იანვრამდე პენსია ენიშნებოდათ «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად ზღვრული ასაკის მიღწევისას ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად გახდომის გამო. აპელანტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კანონი მოსარჩელეზე ვერ გავრცელდებოდა, ვინაიდან იგი ფინანსური პოლიციიდან დათხოვნილი იქნა აღნიშნული კანონის მე-20 მუხლის «ი» პუნქტის შესაბამისად, პირადი განცხადების საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება; ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებაა გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელის კანონით მინიჭებული უფლება, რომ ესარგებლა კანონით დადგენილი პენსიით, ვერ განხორციელდა ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა, მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება და ჩათვალა, რომ არ არსებობდა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორის განმარტებით ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად არ რეგულირდებოდა. ფინანსური პოლიციიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო დათხოვნილ პირებს 2006 წლის იანვრამდე პენსია ენიშნებოდათ «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად ზღვრული ასაკის მიღწევისას ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად გახდომის გამო. კასატორმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კანონი მოსარჩელეზე ვერ გავრცელდებოდა, ვინაიდან იგი ფინანსური პოლიციიდან დათხოვნილი იქნა აღნიშნული კანონის მე-20 მუხლის «ი» პუნქტის შესაბამისად, პირადი განცხადების საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინება და

საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ი. კ-ძის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო, სასარჩელო განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დადასტურებულად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ი. კ-ძე შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობდა 1987 წლის აპრილიდან 1994 წლის ივნისამდე, 7 წლისა და ერთი თვის განმავლობაში. დანარჩენი დროის განმავლობაში (1994 წლის ივნისიდან 2005 წლის ნოემბრის ჩათვლით) იგი მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში (საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამსახური, საგანგებო ლეგიონი, საგამოძიებო დეპარტამენტი და ფინანსური პოლიცია). მას აქვს ფინანსურ პოლიციაში მუშაობის 1 წლის, 8 თვისა და 26 დღის სტაჟი. სამსახურიდან გათავისუფლებამდე მას ეკავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს უფროსი გამომძიებლის თანამდებობა.

ი. კ-ძემ 2005 წლის ნოემბერში დაწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რომელიც ფინანსური პოლიციის უფროსის 2005 წლის 14 ნოემბრის #26-1/3121 წერილით გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. შემდეგ ახალი პატაკით მიმართა ფინანსური პოლიციის უფროსს, წელთა ნამსახურობით პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ; ფინანსური პოლიციის 2005 წლის 16 ნოემბრის #26-1/3151 წერილით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეთხოვა ი. კ-ძის გათავისუფლება არა პირადი განცხადების, არამედ -წელთა ნამსახურობის საფუძველზე, მაგრამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 22 ნოემბრის #3-2286 ბრძანებით ი. კ-ძე თანამდებობიდან გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 30 ნოემბრის #02-15-17-69/17760 წერილით ი. კ-ძეს განემარტა, რომ არც «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი და არც საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული «ფინანსურ პოლიციაში სამსახურის გავლის წესი» არ განსაზღვრავდა ზღვრული ასაკისა და წელთა ნამსახურობის ოდენობას, რის გამოც მისი გათავისუფლება სამსახურიდან ზღვრული ასაკის გამო ვერ მოხდებოდა.

ი. კ-ძემ განცხადებით მიმართა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს და მოითხოვა პენსიის დანიშვნა 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2006 წლის 31 ივლისის #მ-07/07-9473 წერილით ი. კ-ძეს ეცნობა, რომ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ი. კ-ძე კომპენსაციის მიღების უფლება არ ჰქონდა, რადგან საამისოდ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ნამსახურები უნდა 20 კალენდარული წელი ძალაში სტრუქტურებში, მათ შორის არანაკლებ 4 წელი ფინანსურ პოლიციაში. ამასთან, პენსიის დანიშვნა ვერ მოხდებოდა განმცხადებლის მიერ მითითებული «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზეც, ვინაიდან ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფა აღნიშნული კანონით არ რეგულირდებოდა. ფინანსური პოლიციიდან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო დათხოვნილ პირებს 2006 წლის 1 იანვრამდე პენსია ენიშნებოდათ «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლილს მე-7 პუნქტის შესაბამისად. მაგრამ ი. კ-ძე არც ამ პენსიის მიღების უფლება ჰქონდა, რადგან იგი სამსახურიდან გათავისუფლებული იყო პირადი განცხადების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო, ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი შეფასებების საფუძველზე, აღნიშნავს, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მიუთითებს იმაზე, რომ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია სამართლის ნორმების დარღვევით; რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინება და მოცემულ საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება ი. კ-ძის სარჩელზე უარის თქმის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად. ამ ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. კ-მ არ არის 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული პენსიის მიღების უფლების მქონე სუბიექტი, ვინაიდან აღნიშნული კანონის 1-ლი მუხლის თანახმად ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით საპენსიო უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილი საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები. ამდენად, იმ საჯარო დაწესებულებათა (ორგანოთა) ჩამონათვალი, რომელთა სისტემაში დასაქმებული მოსამსახურეებს ენიჭებოდათ ამავე კანონით განსაზღვრული პენსიის მიღების უფლება, ამომწურავია. ფინანსური პოლიცია კი, «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის #39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომელიც არ მოიაზრება მითითებული კანონით განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებათა (ორგანოთა) რიცხვში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუშვა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის ი. კ-მის მიმართ ანალოგიით გამოყენება, რაც ეწინააღმდეგება «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებულ სამართლის ნორმა-პრინციპს, რომლის თანახმადაც სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონი ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოსა და ამავე კანონით გათვალისწინებულ პირებს შორის წარმოშობილი სპეციალური საპენსიო ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს, რომელთა ანალოგიით გამოყენება სხვა, თუნდაც ამ კანონით განსაზღვრულ პირთა მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი პირების საპენსიო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ი. კ-მის მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება სადავოდ არ გაუხდია და მას სარჩელი არ აღუძრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ «ფინანსური პოლიციის შესახებ» კანონის მე-20 მუხლის «ი» ქვეპუნქტის თანახმად პირადი განცხადების საფუძველზე მისი სამუშაოდან განთავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი ასევე არ წარმოადგენს «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული პენსიის მიღების უფლების მქონე სუბიექტს, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 22 ნოემბრის #3-2286 ბრძანებით ი. კ-მე თანამდებობიდან გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე, მითითებული ნორმის თანახმად კი სახელმწიფო პენსიის (სახელმწიფო კომპენსაციის) მიღების უფლება წარმოემობოდათ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც გათავისუფლდებოდნენ სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად გახდომის გამო. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ი. კ-მე დაბადებულია 1958 წლის 14 მარტს და სამუშაოდან დათხოვნის დროისთვის ე.ი. 2005 წლის 22 ნოემბერს იგი იყო 47 წლის.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაკმაყოფილდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. არ დაკმაყოფილდეს ი. კ-მის სარჩელი მოპასუხე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიმართ წელთა ნამსახურობით პენსიის დანიშვნის თაობაზე უსაფუძვლობის გამო;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## პენსიაზე გასვლის მომენტისათვის ერთდროული დახმარება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-1147-1098(კ-07) 29 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

გ. ს-მემ 2007 წლის 29 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა პენსიაზე გასვლის მომენტისათვის ერთდროული დახმარების სახით მისი კუთვნილი ოთხი თვის ხელფასის -3079 ლარის დაკისრება მოპასუხე ორგანიზაციისათვის.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მუშაობდა 1975-2005 წლებში, მათ შორის -2004 წლის ნოემბრიდან 2005 წლის სექტემბრის ჩათვლით -... შს რაიგანყოფილების საგამოძიებო განყოფილების უფროსად და რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ; 2005 წლის 1 ოქტომბრიდან არის პენსიონერი. «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის #213 ბრძანებულებით, რომლითაც, თავის მხრივ, ცვლილება შევიდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებაში, კერძოდ -75-ე მუხლში, როგორც შს ორგანოებიდან პენსიაზე გასულს, ერთდროული დახმარების სახით უნდა მიეღო უკანასკნელი 4 თვის ხელფასი, რაც შეადგენს 3079 ლარს. როგორც მისთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული სახის დახმარების გადახდა შეჩერებული იქნა 2006 წლის 1 იანვრამდე, ხოლო შემდგომ -2007 წლის 1 იანვრამდე. 2007 წლის 16 თებერვალს აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ უშედეგოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა ერთდროული დახმარების სახით ოთხი თვის ხელფასის -1804 ლარის გადახდა გ. ს-მის სასარგებლოდ, ხოლო დამატებით 1275 ლარის დაკისრების ნაწილში ეთქვა უარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ს-მე 1975-2005 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, მათ შორის -2004 წლის ნოემბრიდან 2005 წლის სექტემბრამდე -... შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საგამოძიებო განყოფილების უფროსად და რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ. 2005 წლის 1 ოქტომბრიდან არის პენსიონერი.

«საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის #213 ბრძანებულებით შევიდა ცვლილება საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 75-ე მუხლში და განისაზღვრა, რომ შინაგან საქმეთა ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია პენსიის მიღების უფლებით, ერთდროული დახმარების სახით ეძლევა უკანასკნელი 4 თვის ხელფასი. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ ეს დებულება მოქმედებდა გ. ს-მის პენსიაზე გასვლის დროს, რის გამოც მას შეეძლო მიეღო მისი პენსიაზე გასვლის მომენტისათვის არსებული უკანასკნელი ოთხი თვის ხელფასი. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ მის ხელფასში «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად შედიოდა როგორც ამ მუხლის მესამე პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელფასი, ასევე 31-ე მუხლის მესამე პუნქტის «ბ», «გ» და «დ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წელთა ნამსახურების დანამატი, რაიონული კოეფიციენტი, დასვენების, უქმე დღეების, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის დანამატები. პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს; ამავე პუნქტის თანახმად პოლიციის თანამშრომელი, ამ ნორმით გათვალისწინებული ხელფასის გარდა, იღებდა წელთა ნამსახურების დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, დასვენების დანამატს, უქმე დღეებში, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის, ასევე -კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის #213 ბრძანებულების 75-ე მუხლის შესაბამისად მოსარჩელეს უფლება აქვს მიიღოს მისი პენსიაზე გასვლის

მომენტისათვის არსებული უკანასკნელი ოთხი თვის ხელფასი. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ... შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების 2005 წლის 30 სექტემბრის #3/1259 ცნობაში მითითებული ინფორმაცია, რომლის თანახმად გ. ს-მის ხელფასი შეადგენს 850 ლარს, ვინაიდან ეს არის სრული თანხა, რასაც უწყისის თანახმად იღებდა მოსარჩელე. ცნობის გამცემის მიერ ხელფასში შეყვანილ იქნა არა მარტო ხელფასი, არამედ «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მესამე პუნქტში ჩამოთვლილი ყველა დანამატი და კომპენსაცია, რასაც გ. ს-მე 2005 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით იღებდა. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის განმარტება, რაც მოსარჩელესაც არ გაუხდია სადავოდ, რომ მისი ხელფასი, სხვა კომპენსაციებისა და დანამატების გარეშე, პენსიაზე გასვლის დროისათვის შეადგენდა 451 ლარს. შესაბამისად, მისი უკანასკნელი ოთხი თვის ხელფასის ოდენობა შეადგენს 1804 ლარს, რისი მიღების უფლებაც აქვს გ. ს-მს. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მართალია, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 9 ნოემბრის #681 ბრძანებულებით შევიდა ცვლილება 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებაში, რომელიც ამოქმედდა 2008 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ აღნიშნული არ ათავისუფლებს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისგან. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხემ არ უარყო გ. ს-მის მიმართ ვალდებულების არსებობა გასცეს გასასვლელი დახმარება, მაგრამ ვერ გასცემს იმის გამო, რომ ამგვარი დავალიანების დასაფარად ბიუჯეტში ასიგნებები გამოყოფილი არ იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება დასაბუთებულია იმით, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გასაჩივრებულია საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გ. ს-მის სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროული დახმარების სახით 4 თვის ხელფასი 1804 ლარის ოდენობით. გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა დამატებით 1275 ლარის დაკისრების ნაწილში, მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. ამდენად, ამ ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის #213 ბრძანებულებით საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დებულების 75-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომელს, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია პენსიის მიღების უფლებით, ერთდროული დახმარების სახით ეძლევა უკანასკნელი 4 თვის ხელფასი. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის #624 ბრძანებულებით საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულების არსებული რედაქცია ჩაითვალა პირველ პუნქტად და დაემატა მეორე პუნქტი, რომლის შესაბამისად ამ დებულების 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე; საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 23 იანვრის #61-ე ბრძანებულებით «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერდა 2008 წლის 1 იანვრამდე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების მიღების უფლების რეალიზაცია შეჩერებულ იქნა 2008 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ არ გაუქმებულა ამ ბრძანებულებით განსაზღვრული და დადგენილი სოციალური დაცვის და მატერიალური უზრუნველყოფის -ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემის პირობა და წესი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეაბამისი ბიუჯეტის დაუფინანსებლობა ან საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება (სეკვესტრი) არ შეიძლება გახდეს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოსა და კანონით გათვალისწინებული სხვა სოციალური გარანტიების გაუცემლობის საფუძველი და აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ლუკა კერატიშვილმა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის განხილვისას ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 4 დეკემბრის #669 ბრძანებულებით «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულების 75-ე მუხლის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2009 წლის 1 იანვარი. აღნიშნულიდან გამომდინარე,

კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელო აღნიშნული მუხლით, ვინაიდან იგი არ მოქმედებდა როგორც გ. ს-ძის დათხოვნის დროისთვის, ასევე – გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

კასატორი აღნიშნავს, საქართველოს ეკონომიკა სწრაფ განვითარებას განიცდის, აღნიშნული მუხლის შეჩერებით და მისთვის გათვალისწინებული ასიგნების შეწყვეტით განხორციელდა უფრო მნიშვნელოვანი და ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი პროექტები, ვიდრე მოსარჩელისათვის დახმარების სახით გადასახდელი თანხა, ვინაიდან იგი გამოიწვევს ახალი დავალიანების წარმოქმნას, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; გ. ს-ძის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოსათვის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები. თუმცა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელდა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც, იმავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინება სამართლის ნორმების დარღვევითაა გამოტანილი და უნდა გაუქმდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გულადი სადინაძის სარჩელის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 75-ე მუხლი, რომლის თანახმად შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომელს, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია პენსიის მიღების უფლებით, ერთდროული დახმარების სახით ეძლევა უკანასკნელი 4 თვის ხელფასი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის «ი» ქვეპუნქტსა და მე-12 მუხლის 1-ლ პუნქტებზე, რომელთა საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს კანონით უფლებამოსილ თანამდებობის პირს, გამოსცეს ნორმატიული აქტი – ბრძანებულება. ხსენებული ნორმატიული აქტის ამოქმედების წესი განისაზღვრება ამავე კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით. ამავე კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 75-ე მუხლი, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 10 ივნისის #213 ბრძანებულების შესაბამისად, ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: «შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომელს, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილია პენსიის მიღების უფლებით, ერთდროული დახმარების სახით ეძლევა უკანასკნელი 4 თვის ხელფასი, ხოლო პენსიის გარეშე დათხოვნისას (უარყოფითი მოტივით დათხოვნის შემთხვევის გარდა) – გამოსასვლელი დახმარება უკანასკნელი 2 თვის ხელფასის ოდენობით. შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომელს, რომელსაც ნამსახურობის გამო (20 წელი და მეტი, მათ შორის შედევათების გათვალისწინებით) ეკუთვნის პენსია, უფლება აქვს ოჯახის წევრებთან ერთად (მეუღლე და მასთან ერთად მცხოვრები არასრულწლოვანი შვილები) ისარგებლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამედიცინო დაწესებულებების მომსახურებით, აგრეთვე იმკურნალოს, დაისვენოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ფასიან სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და ტურისტულ ბაზებზე, რისთვისაც მას ყოველწლიურად ეძლევა საგზურის საშუალო ღირებულების ფულადი კომპენსაცია, ხოლო ოჯახის წევრებზე – საგზურის ღირებულების 25 პროცენტი, იმის მიუხედავად, თუ სად არის იგი შეძენილი. თანამშრომლების ოჯახის წევრებს, რომლებსაც ენიშნებათ პენსია, ეძლევათ შეღავათები მიწის, ბინის საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურებისა და ტელეფონის გადასახადებზე. იმავე ბრძანებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად ეს ბრძანებულება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის #624 ბრძანებულებით დებულების ზემოთ აღნიშნული 75-ე მუხლის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე; საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 23 იანვრის #61 ბრძანებულებით დებულების 75-ე მუხლის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2007 წლის 1 იანვარი; საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 9 ნოემბრის #681 ბრძანებულებით დადგინდა, რომ დებულების 75-ე მუხლი ამოქმედებულიყო 2008 წლის 1 იანვრიდან; საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 4 დეკემბრის #669 ბრძანებულებით დადგენილია, რომ დებულების 75-ე მუხლი ამოქმედდება 2009 წლის 1 იანვრიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებული დებულების 75-ე მუხლის ამოქმედება რამდენიმეჯერ გადავადდა. მართალია, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 30



დეკემბრის #624 ბრძანებულებაში მითითებულია ხსენებული ნორმის «შეჩერებაზე», მაგრამ ყველა შემდგომ ბრძანებულებაში, რომელიც შეეხო აღნიშნული ნორმის მოქმედების საკითხს, მითითებულია «ნორმის ამოქმედების გადავადებაზე». ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტით საქართველოს ნორმატიული აქტის გამომცემი უფლებამოსილი თანამდებობის პირის -საქართველოს პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზება: განისაზღვრა, რომ დებულების 75-ე მუხლის მოქმედება გადავადდა მომავლისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გულადი სალინაძის პენსიაზე გასვლის მომენტისათვის, ე.ი. 2005 წლის ოქტომბერში, ზემოაღნიშნული ნორმა არ მოქმედებდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გ. ს-მემ სარჩელში მითითებული უფლების რეალიზება დაიწყო 2007 წლის 16 თებერვლიდან, როდესაც განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 75-ე მუხლის შესაბამისად, ერთდროული დახმარების მისთვის გაცემის მოთხოვნით. ამ მომენტისათვის, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 9 ნოემბრის #681 ბრძანებულების შესაბამისად, დებულების 75-ე მუხლი უნდა ამოქმედებულიყო 2008 წლის 1 იანვრიდან. ასევე მის მიერ სარჩელი სასამართლოში აღძრულ იქნა 2007 წლის 29 მარტს, ე.ი. -უფლების სასამართლოს მეშვეობით რეალიზაციის დაწყების მომანტიისათვის სადავო ნორმა კვლავ არ მოქმედებდა; პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემული საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანისას -2007 წლის 13 აპრილს, სადავო ნორმა არ მოქმედებდა; სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის განხილვისას და გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას -2007 წლის 15 ოქტომბერს, სადავო ნორმა კვლავ არ მოქმედებდა; დღეისათვის, მოცემული საქმის საკასაციო წესით განხილვის მომენტისათვის, დადგენილია, რომ სადავო ნორმა, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 4 დეკემბრის #669 ბრძანებულების შესაბამისად, ამოქმედდება 2009 წლის 1 იანვრიდან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან არც სამსახურიდან დათხოვნის, არც უფლების რეალიზაციის დაწყების მომენტისათვის, არც სარჩელის აღძვრის და არც საქმის სასამართლოში განხილვისას არ მოქმედებდა «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე» საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის #139 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 75-ე მუხლი, რომელსაც ემყარება სასარჩელო მოთხოვნა, გულადი სალინაძის სარჩელს არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება სრულ შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ანალოგიური კატეგორიის საქმეებზე დამკვიდრებულ პრაქტიკასთან (საქმე #ბს-378-358(კ-07), 27.09.07წ; საქმე #ბს-271-256(კ-07), 23.05.07 წ.).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, საკასაციო სასამართლო, იმავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად თვითონაა უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ს-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ომის ინვალიდობის პენსიის მიღების უფლება

### განჩინება

#ბს-11-11(კ-08)

4 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: საპენსიო დანამატის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 7 მარტს უ. ჟ-იანმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალის მიმართ საპენსიო დანამატის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1958 წლის 27 ნოემბერს გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში, სადაც სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს (პოსტზე ყოფნისას) შიშისაგან გახდა ავად. იგი გათავისუფლებულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურისაგან. სამხედრო სამსახურის გავლის დროს მიღებული ტრავმის გამო მას მიენიჭა მე-3 ჯგუფის ინვალიდობა და დაენიშნა სამხედრო პენსია. აღნიშნულ პენსიას მოსარჩელე ღებულობდა 1996 წლამდე. 1996 წლიდან სამხედრო პენსიის ნაცვლად დაენიშნა სოციალური დახმარება. 2002 წელს უ. ჟ-იანს. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მიენიჭა პირველი ჯგუფის ინვალიდის კატეგორია, რაც გამოწვეული იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესრულების დროს მიღებული ტრავმით.

მოსარჩელის განმარტებით, მას არასწორად დაენიშნა შრომის პენსიონერის პირველი ჯგუფის ინვალიდობის პენსია, ვინაიდან ეკუთვნის სამხედრო სამსახურის პირველის ჯგუფის ინვალიდობის პენსია, რადგან ინვალიდობის მიზეზი იყო სამხედრო სამსახურის გავლის დროს მიღებული ტრავმა. 2002 წელს საექიმო კომისიის დასკვნით, მას დაენიშნა მომვლელი. მოსარჩელის წერილობითი მიმართვის მიუხედავად, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ არ გამოყო თანხა მომვლელის დანიშნისათვის. უ. ჟ-იანმა სამხედრო პენსიასთან ერთად მოითხოვა მოხუცებულობის პენსია სტაჟის დაანგარიშებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა პირველი ჯგუფის ინვალიდისათვის გათვალისწინებული სამხედრო პენსიის აღდგენას, განაცდურის ანაზღაურებას, მოხუცებულობის პენსიას სტაჟისა და ხელფასის გადაანგარიშებით და მომვლელის დანიშნვას.

მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალმა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლოდ მოტივით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით უ. ჟ-იანის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მითითებით, «სახელმწიფო პენსიის შესახებ» კანონი პირველი ჯგუფის ინვალიდისათვის პენსიის სხვა ოდენობას ან დანამატს არ ითვალისწინებს. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონის თანახმად, სამხედრო სამსახურის გავლისას დაინვალიდებულ პირთათვის გათვალისწინებულია პირველი ჯგუფის ინვალიდობისათვის პენსიის დანიშვნის განსხვავებული გადაანგარიშება, რაც მოსარჩელის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან უ. ჟ-იანი არ განეკუთვნება იმ პირთა კატეგორიას, რომელიც დაინვალიდდა სამხედრო სამსახურის შესრულების დროს. ამასთან, სასამართლოს მითითებით, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა მომვლელის დანიშვნის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულს არ ითვალისწინებს «სახელმწიფო პენსიის შესახებ» კანონი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა უ. ჟ-იანმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ 1959 წლიდან არის სამხედრო სამსახურის გავლის გამო ჯერ მე-3, ამჟამად კი პირველი ჯგუფის ინვალიდი; სამხედრო პენსიას ღებულობდა 1996 წლამდე. 1996 წელს სოცუზრუნველყოფის სამსახურმა გააუქმა სამხედრო პენსია და გაათანაბრა საერთო ინვალიდობის პენსიონერებთან. 2002 წელს საექიმო კომისიამ დაუნიშნა მომვლელი, რის შესახებაც აპელანტმა მიმართა სოცუზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც უარი განუცხადა მომვლელისა და სამხედრო პენსიის დანიშვნაზე. სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, არ დააკმაყოფილა სარჩელი და დაეყრდნო მოპასუხე მხარის განმარტებას, რომელსაც არ მიუთითებია სამართლებრივ საფუძველზე, რატომ არ ეკუთვნოდა მას სამხედრო პენსია სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში მიღებული პირველი ჯგუფის ინვალიდობისათვის და მომვლელის დანიშვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ნოემბრის განჩინებით უ. ჟ-იანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტი მიეკუთვნება მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს და «სახელმწიფო პენსიის» შესახებ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს უნდა მიეღო საერთო პენსია 35 ლარის ოდენობით. რაც შეეხება მოთხოვნას მომვლელის თანხის ანაზღაურების შესახებ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა უსაფუძვლოების გამო, ვინაიდან «სახელმწიფო პენსიის შესახებ» კანონი აღნიშნულს არ ითვალისწინებდა.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა უ. ჟ-იანმა.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ნოემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის განჩინებით უ. ჟ-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით უ. ჟ-იანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება; უ. ჟ-იანის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ქუთაისის საქალაქო განყოფილებას დაევალა, უ. ჟ-იანისათვის «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონითა და «სახელმწიფო პენსიის შესახებ» კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის «დ.ა» ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამხედრო პენსიის დანიშვნა, ხოლო სასარჩელო განცხადება პენსიებს შორის სხვაობის ანაზღაურებისა და მომვლელის დანიშვნის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «სახელმწიფო პენსიის შესახებ» 2005 წლის 23 დეკემბრის კანონი არ ითვალისწინებს სამხედრო სამსახურის გავლით ინვალიდების საპენსიო უზრუნველყოფას, ხოლო „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებს ინვალიდობის პენსია დაენიშნებათ, თუ ისინი დაინვალიდდნენ სამხედრო ოპერატიული სამსახურის პერიოდში ან არა უგვიანეს სამი თვისა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ან ამ ვადაზე უფრო გვიან, მაგრამ სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების, ანდა დაავადების გამო. ამავე კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, ინვალიდობის მიზეზების გათვალისწინებით, ინვალიდობის კატეგორიას მიეკუთვნებიან ომის ინვალიდები, ინვალიდები სამხედრო ტრავმის შედეგად, თუ ინვალიდობა დაკავშირებულია საქართველოსა და სსრ კავშირის ინტერესების, მათი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის ან სხვა სამხედრო, ან ოპერატიულ მოვალეობათა შესრულებასთან, აგრეთვე სხვა ქვეყნების ომებში მოვალეობათა შესრულებასთან.

უ. ჟ-იანმა ტრავმა მიიღო სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს, რაც შემდგომ გახდა ინვალიდობის მიზეზი. ზემოაღნიშნული კანონის 24-ე მუხლის თანახმად კი ინვალიდობის ჯგუფის შეცვლა იწვევს ოდენობის შეცვლას. ამასთან, თუ ინვალიდს სამხედრო ტრავმის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება საერთო დაავადების შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო, მაშინ პენსიის დაანგარიშება ხდება ინვალიდობის ახალი ჯგუფის მიხედვით, ინვალიდობის გამომწვევი პირველადი მიზეზების შენარჩუნებით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ უ. ჟ-იანს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დროს მიღებული ტრავმის შედეგად დაუდგინდა მე-3 ჯგუფის ინვალიდობა, შემდეგ - მე-2, ხოლო 2002 წლის სამედიცინო, სოციალური ექსპერტიზის დასკვნით, მოსარჩელე მიჩნეულ იქნა სამხედრო სამსახურის გავლით პირველი ჯგუფის ინვალიდად. შესაბამისად, მასზე სამხედრო პენსია უნდა გაიცეს 2002 წელს სამედიცინო ექსპერტიზით დადგენილი ინვალიდობის ჯგუფის მიხედვით.

ამასთან, სასამართლოს განმარტებით, «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს მიეკუთვნებიან ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დაინვალიდდნენ სამხედრო სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად.

«ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ» კანონის მე-17 მუხლის თანახმად, სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის სოციალური დაცვის ღონისძიებები განისაზღვრა საქართველოს

კანონმდებლობით. შესაბამისად, «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამხედრო ტრავმის შედეგად დაინვალიდებულთათვის გათვალისწინებულია საპენსიო უზრუნველყოფა.

«სახელმწიფო პენსიის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტისა და «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ორი ან მეტი საფუძვლით პენსიის მიღების წარმოშობის შემთხვევაში, პირს პენსია ენიშნება მხოლოდ ერთი საფუძვლით, მისივე არჩევით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უ. ჟ-იანმა მოითხოვა პენსიის დანიშვნა და უარი თქვა სხვა პენსიაზე. ამ შემთხვევაში მას უნდა დაენიშნოს სამხედრო პენსია. უ. ჟ-იანი ითხოვს მომვლელის დანიშვნას, რაც უსაფუძვლოა, რადგან ასეთს არ ითვალისწინებს მოქმედი საპენსიო კანონმდებლობა. მართალია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სოციალური დაცვის შესახებ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომლებსაც მომვლელი ან დამხმარე სჭირდებათ, სოციალური მომსახურების ორგანოები უნიშნავენ სამედიცინო, საყოფაცხოვრებო მომსახურებას ბინაზე ან სტაციონალურ დაწესებულებაში, მაგრამ ამავე კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი არის ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები, ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფაცხოვრების არსებით გამწვანებას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა.

რაც შეეხება უ. ჟ-იანის მოთხოვნას 1996 წლიდან საპენსიო განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლომ მიუთითა, რომ უ. ჟ-იანი შეუფერხებლად იღებს დანიშნულ პენსიას, მას აქვს ორი სახის პენსიის უფლება. ასეთ შემთხვევაში უნდა აერჩია ერთ-ერთი, მან აირჩია სამხედრო პენსია. რადგან მოსარჩელე იღებდა კანონით გათვალისწინებულ ერთი სახის პენსიას, ამიტომ არ არსებობს განაცდურის ანაზღაურების საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ქუთაისის განყოფილებამ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» 1996 წლის 16 ოქტომბრის კანონში 2005 წლის 23 დეკემბრის #2489 კანონით შეტანილ იქნა ცვლილებები, რის შემდეგაც ამ კანონიდან ამოღებულ იქნა მთელი რიგი მუხლები, მათ შორის, მე-4 მუხლიდან მე-7 მუხლის ჩათვლით, 27-ე მუხლიდან 58-ე მუხლის ჩათვლით, მე-7 და მე-8 თავები მთლიანად. ცვლილებების შეტანის შემდეგ ამ კანონის 1-ლი მუხლის «ა» პუნქტი არეგულირებს იმ პირთა საპენსიო უზრუნველყოფას, რომლებიც განეკუთვნებიან ოფიცერთა, ზევადიანი, ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურისა და სამხედრო რეზერვის პირველ თანრიგში ხელშეკრულებით (კონტრაქტით) მიღებული სამხედრო მოსამსახურეების შემადგენლობას. ამავე კანონის 1-ლი მუხლის «დ» პუნქტით სახელმწიფო კომპენსაციის (და არა სახელმწიფო პენსიის) დანიშვნას ექვემდებარებიან რიგითი შემადგენლობის ის პირები, რომლებიც მსახურობენ შინაგან საქმეთა ორგანოებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» 1996 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს კანონი. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად მიუთითა «სახელმწიფო პენსიების შესახებ» საქართველოს კანონის 2005 წლის 23 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის «დ»-«ა» ქვეპუნქტებზე, რომლებიც ომის I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის 84 ლარის, ხოლო III ჯგუფის ინვალიდებისა და 70 წელს გადაცილებული II მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის პენსიის -70 ლარის გაცემას ითვალისწინებს. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო არ უთითებს, უ. ჟ-იანს უნდა დაენიშნოს 84 ლარი თუ 70 ლარი. ამასთან, უ. ჟ-იანი არც ომის ინვალიდია და არც 70 წელს გადაცილებული II მსოფლიო ომის მონაწილე. მას ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ მიკუთვნებული აქვს მხოლოდ და მხოლოდ «სამხედრო ძალების ვეტერანის» სტატუსი, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული არც ერთი კანონის შესაბამისად არ ითვალისწინებს გაზრდილი პენსიის დანიშვნას.

ამასთან, კასატორის განმარტებით, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ადგილობრივი ორგანოები პენსიის დანიშვნას აწარმოებენ მხოლოდ «სახელმწიფო პენსიის შესახებ» 2005 წლის 23 დეკემბრის კანონის შესაბამისად, სამხედრო პენსიების დანიშვნას კი, როგორც წესი, აწარმოებს უშუალოდ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ძალაგანი სტრუქტურების საპენსიო უზრუნველყოფის დეპარტამენტი. «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ» საქართველოს კანონით.

«სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» 1996 წლის 16 ოქტომბრის კანონის მე-17 მუხლი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სამხედრო

მოსამსახურეებისათვის არა პენსიის, არამედ სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნას ითვალისწინეს, რომელსაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ახორციელებს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ცენტრალური ოფისი და სააგენტოს ადგილობრივი ორგანოები. ზემოაღნიშნულ კანონში მითითებულია, რომ სამხედრო მოსამსახურეებს (იგულისხმება სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირთა წრე) შეზღუდული შესაძლებლობის გამო სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ, თუ მათ შესაძლებლობა შეეზღუდათ სამხედრო ან ოპერატიული სამსახურის პერიოდში ან არა უგვიანეს სამი თვისა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ან ამ ვადაზე უფრო გვიან, მაგრამ სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების, ან დაავადების გამო.

კასატორის განმარტებით, აღსანიშნავია ის, რომ ასეთ შემთხვევაში პირს ენიშნება კომპენსაცია და არა პენსია, ამასთან, ინვალიდობა გამოწვეული უნდა იყოს სამხედრო ან ოპერატიული სამსახურის პერიოდში მიღებული ტრავმით ან დაავადებით. #1145 სამხედრო გარნიზონის სამხედრო საექიმო კომისიის 1959 წლის 29 მარტის დასკვნაში მითითებულია, რომ უ. ჟ-იანს დაავადება მიღებული აქვს სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში (და არა სამხედრო მოვალეობის შესრულების პერიოდში) და იგი ომის მონაწილის ან ომის ინვალიდის სტატუსს ვერ უთანაბრდება და ამდენად, «სამხედრო ძალების ვეტერანად ითვლება, ასეთი პირები მინიმალურ პენსიასთან ერთად (ამ შემთხვევაში 55 ლარი) მოიპოვებენ დახმარების სახით 22-ლარიანი სოციალური სუბსიდიის დანიშვნის უფლებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ქუთაისის განყოფილების საკასაციო საჩივარი ექვემდებარება ნაწილობრივ დაკმაყოფილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ამავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე» პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, კერძოდ, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი და არასრულყოფილად გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები, რის შედეგადაც საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ უ. ჟ-იანის გაწვევა სამხედრო სამსახურში მოხდა 1958 წელს. სამსახურის პერიოდში უ. ჟ-იანმა მიიღო ტრავმაზე. ავადმყოფობის შესახებ მოწმობის თანახმად, მოსარჩელე დაავადდა სამხედრო სამსახურის გავლისას. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 2002 წლის 23 აგვისტოს დასკვნით, უ. ჟ-იანი მიჩნეულ იქნა I ჯგუფის ინვალიდად და ინვალიდობის მიზეზად მიეთითა სამხედრო ტრავმა. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის საქალაქო განყოფილების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ უ. ჟ-იანი არის I ჯგუფის ინვალიდი სამხედრო სამსახურის გავლის გამო და მისი ინვალიდობა დადგენილია უვადოდ.

სააპელაციო სასამართლომ საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა «სახელმწიფო პენსიების შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის «დ.ა» ქვეპუნქტზე.

საკასაციო სასამართლო საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეჯერებისა და ზემოაღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენება არ არის დასაბუთებული და არ გამომდინარეობს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან, კერძოდ, „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე პენსიის ოდენობა ომის I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის განისაზღვრა 84 ლარის ოდენობით, ხოლო III ჯგუფის ინვალიდთა და 70 წელს გადაცილებულ II მსოფლიო ომის მონაწილეთათვის -70 ლარით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა ნორმის შინაარსს, ხაზგასმას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ მითითებულ პუნქტში საუბარია ომის ინვალიდებზე.

ომის ინვალიდის განმარტებას იძლევა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“ საქართველოს კანონი. მითითებული კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, მე-2 მსოფლიო ომისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ინვალიდებს მიეკუთვნებიან:

ა) მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოქმედი არმიის სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის, სახმედრო სამსახურიდან დათხოვნილები, პარტიზანები, აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებული შესაბამისი კატეგორიის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დაინვალიდნენ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფრონტზე, სამხედრო მოქმედების პერიოდში, რეინიგვისა და საავტომობილო გზების ფრონტისპირა უბნებში, თავდაცვითი ზღუდეების, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების მშენებლობის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრებისა და დაინვალიდების შედეგად;

ბ) სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც

დაინვალიდნენ მე-2 მსოფლიო ომისა და შემდგომ პერიოდში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

გ) შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც დაინვალიდნენ საბრძოლო მოქმედების რაიონში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

დ) სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, გამანადგურებელი ბატალიონების, ოცეულებისა და სახალხო დაცვის რაზმეულის მებრძოლები და მეთაურები, რომლებიც დაინვალიდნენ მთავრობის საბრძოლო დავალების შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

ე) პირები, რომლებსაც ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ომის წლებში დაავალეს საბრძოლო მასალებისა და სამხედრო ტექნიკის შეგროვება, ტერიტორიებისა და ობიექტების განადმევა და დაინვალიდნენ ამ პერიოდში მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად;

ვ) მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ემსახურებოდნენ სხვა სახელმწიფოში მოქმედ სამხედრო კონტინგენტს და დაინვალიდნენ საბრძოლო მოქმედების პერიოდში ჭრილობის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად.

ამავე კანონის მე-12 მუხლი იძლევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად დაინვალიდებულ პირთა განსაზღვრებას, რომლის გამოყენებაც განსახილველ შემთხვევასთან მიმართებაში გამოირიცხებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული კანონის მე-10 მუხლზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ უ. ჟ-იანი მიეკუთვნება სამხედრო ძალების ვეტერანს, თუმცა არ შეუმოწმებია და არ გამოუკვლევია, უ. ჟ-იანი აკმაყოფილებდა თუ არა ამავე კანონის მე-11 მუხლის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, ის გარემოება, რომ უ. ჟ-იანი წარმოადგენს სამხედრო ძალების ვეტერანს, არ ქმნის საკმარის საფუძველს, რათა ის ამავედროულად მიჩნეულ იქნეს ომის ინვალიდად, ხოლო ნორმა, რომელზეც აპელირებს სააპელაციო სასამართლო, შეიცავს ცალსახა მითითებას ომის ინვალიდობის თაობაზე.

მოსარჩელის სოციალური ინტერესების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით და გამომდინარე იქიდან, რომ გამოკვლეული არ არის რა სახის პენსიას იღებს მოსარჩელე, ხომ არ არსებობს სხვა საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე ან იმავე კანონის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის «დ» პუნქტის საფუძველზე მისი მოთხოვნის გაზიარების შესაძლებლობა, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, საქმე ხელახალი შესწავლა-გამოკვლევის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ქუთაისის განყოფილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პენსიის დანიშვნა და პენსიის თანხის გამოანგარიშება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-209-204(კ-08)

12 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: პენსიის დანიშვნა, მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 24 იანვარს დ. მ-მემ სარჩელი აღძრა სოხუმის რაიონულ და სოხუმის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ა/რ ფილიალის მიმართ, ხოლო მესამე პირად მიუთითა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე.

მოსარჩელის განმარტებით, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 9 ივლისის სესიის დადგენილებით, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა დ. მ-ძის აწ გარდაცვლილი მამა - აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე დ. მ-ძე. «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მოსამართლეს პენსიაში გასვლის შემთხვევაში, ენიშნებოდა პენსია მოქმედი მოსამართლისათვის განსაზღვრული ხელფასის სრული ოდენობით. აღნიშნული მუხლი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ მოსამართლეთა მიმართ ამოქმედდა 2003 წლის 1 იანვარს. დ. მ-მემ, პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ სამუშაოდან გათავისუფლებამდე მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რასაც ადასტურებდა სარჩელზე დართული შეთანხმების ფურცელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონკრეტული მოსამართლეებისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. ხსენებული დოკუმენტი მოსარჩელის მიერ მოძიებულ იქნა დ. მ-ძის გარდაცვალების შემდეგ და იგი შედგენილი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რადგან მასზე დასმული იყო იმავე საბჭოს წევრთა ხელმოწერები. დასახელებული დოკუმენტი შედგენილ იქნა არა უგვიანეს 2004 წლის იანვრისა, რადგან მასში მოხსენიებული ერთ-ერთი მოსამართლე - ა. ზ-აია გარდაიცვალა 2004 წლის 2 თებერვალს.

მოსარჩელის მტკიცებით, 2004 წლის სექტემბერში დ. მ-მემ შესაბამისი განცხადებით ხელმეორედ მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პენსია მაინც არ დაენიშნა და არც რაიმე პასუხი მიუღია აღნიშნულ განცხადებაზე. კუთვნილი პენსიის მიუღებლობის გამო, დ. მ-ძე იყო მძიმე ეკონომიურ პირობებში და მწვავედ განიცდიდა მისი უფლებების დარღვევას. ყოველივე ხსენებულმა უარყოფითად იმოქმედა დ. მ-ძის ჯანმრთელობაზე და 2004 წლის 6 დეკემბერს იგი გარდაიცვალა. 2004 წლის 28 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს განცხადებით მიმართა დ. მ-მემ, რომლითაც მოითხოვა პენსიის არდანიშვნის მიზეზების გარკვევა და სათანადო ზომების მიღება, რათა მას, როგორც მემკვიდრეს, მიეღო დ. მ-ძის პენსია 2004 წლის 9 ივლისიდან 2004 წლის 6 დეკემბრამდე. დ. მ-ძეს ხსენებულ განცხადებაზე პასუხი არ მიუღია. 2004 წლის 23 თებერვალს დ. მ-მემ ხელმეორედ მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს და მოითხოვა იმის გარკვევა, თუ რა რეაგირება მოხდა მის ადრინდელ მიმართვაზე. დ. მ-ძეს პასუხი არც აღნიშნულ განცხადებაზე მიუღია და შემდგომმა არაერთგზისმა ზეპირმა მიმართვებმაც ვერ გამოიღო რაიმე შედეგი.

მოსარჩელის განმარტებით, «სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ» საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მის შესაბამის მოთხოვნაზე ვალდებული პირი იყო მზღვეველის ტერიტორიული ორგანო, რადგან ხსენებული პუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად, სავალდებულო სადაზღვევო პენსიის დანიშვნა, გაანგარიშება და ადგილზე მითანა ხორციელდებოდა მზღვეველის მიერ, სავალდებულო სადაზღვევო პენსიის მიღებაზე განაცხადის შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იმავე კანონის მე-2 მუხლისა და «სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მზღვეველი იყო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რომელსაც ამ კანონით ეკისრებოდა საქართველოში სავალდებულო სოციალური დაზღვევის ორგანიზება და მართვა, ხოლო 30-ე მუხლის მიხედვით, სავალდებულო სოციალურ დაზღვევას ახორციელებდა მზღვეველი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რომლის საქმიანობა რეგულირდებოდა ამავე კანონით, «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» საქართველოს კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის #558 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის

დებულებით». დასახელებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის «ე» ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის «გ» და «კ» ქვეპუნქტების მიხედვით, მოცემულ სარჩელზე მოპასუხე ტერიტორიული ორგანო იყო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ა/რ ფილიალი, რადგან აწ გარდაცვლილი, ყოფილი მოსამართლე დ. მ-ძე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი იყო.

ამასთან, მოსარჩელის მტკიცებით, დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, პენსიაზე გამსვლელი ან გასული მოსამართლე პენსიის დანიშვნის მიზნით, შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებების შესასრულებლად მიმართავდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც სათანადო საბუთებს გადაუგზავნიდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. აღნიშნულს ადასტურებდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 მაისის #204 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს იუსტიციის საბჭოს აპარატის დებულების» მე-2 თავი, რომლითაც განმარტებული იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის -სასამართლო პერსონალის სექტორის -უფლება-მოვალეობები. იმავე თავის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით კი, სასამართლო პერსონალის სექტორი აფორმებდა სამუშაოზე მიღებასა და გათავისუფლებას, შვებულებებს, საპენსიო საბუთებს, შრომისუუნარობის ფურცლებსა და მივიღებებს. მოსარჩელე დ. მ-ძეც იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი -დევნილი, რის გამოც მოცემული საქმე სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა დ. მ-ძისთვის 2004 წლის 10 ივლისიდან პენსიის დანიშვნის საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ა/რ ფილიალისთვის დავალება, ასევე -დ. მ-ძის სასარგებლოდ მამამისის -დ. მ-ძის კუთვნილი, 2004 წლის 10 ივლისიდან 2004 წლის 6 დეკემბრამდე, სულ -4 თვისა და 25 დღის საპენსიო თანხის - 4654,5 ლარის გადახდის საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ა/რ ფილიალისთვის დაკისრება.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით დ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს დაევალა დ. მ-ძისათვის პენსიის დანიშვნა 2004 წლის 10 ივლისიდან 2004 წლის 6 დეკემბრამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ა/რ ფილიალისათვის აწ გარდაცვლილ დ. მ-ძეზე «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, სამისდღეშიო პენსიის დასანიშნად მიმართვისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ; მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ა/რ ფილიალს დაევალა მოსარჩელე დ. მ-ძისათვის ოთხი თვისა და ოცდახუთი დღის გაუცემელი პენსიის გადახდა 4654,5 ლარის ოდენობით.

სოხუმის რაიონულმა და სოხუმის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მოსამართლეს პენსიაში გასვლის შემთხვევაში, ენიშნებოდა პენსია მოქმედი მოსამართლისათვის განსაზღვრული ხელფასის ოდენობით. მითითებული მუხლი აფხაზეთის ა/რ საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის ამოქმედდა 2003 წლის 1 იანვრიდან. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 9 ივლისის სესიის დადგენილებაში, რომლითაც დ. მ-ძე, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, გათავისუფლდა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან, მიღებული გადაწყვეტილების საფუძველად მითითებული იყო აფხაზეთის ა/რ იუსტიციის საბჭოს 2002 წლის დეკემბრის გადაწყვეტილება და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 16 თებერვლის #516 განკარგულება «დ. მ-ძის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ». ამდენად, მოსარჩელის მითითება იმ გარემოებაზე, რომ დ. მ-ძემ ჯერ კიდევ დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებამდე მიმართა მესამე პირს -საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს პენსიის დანიშვნის თაობაზე, იყო საფუძვლიანი. აღნიშნული იმითაც დასტურდებოდა, რომ ზემოთ მითითებულ შეთანხმების ფურცელში დ. მ-ძესთან ერთად, მოხსენიებული იყო აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, 2004 წლის 2 თებერვალს გარდაცვლილი ა. ზ-აია, ანუ ხსენებული შეთანხმების ფურცელი მომზადებული იყო 2004 წლის 2 თებერვლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმავე ფურცელში აწ გარდაცვლილ ა. ზ-აიაზე არ მიეთითებოდა.

სოხუმის რაიონულმა და სოხუმის საქალაქო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ზემოთქმულის მიხედვით, მოსარჩელე ვერ ღებულობდა პასუხს მესამე პირისაგან მამამისის პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით, მანამდე კი თვითონ დ. მ-ძემ ვერ გაარკვია, თუ რა მიზეზით არ დაენიშნა პენსია. არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ აღნიშნული დაკავშირებული იყო აფხაზეთის ა/რ იუსტიციის საბჭოს მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებასთან. «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით აფხაზეთის ა/რ და აჭარის ა/რ იუსტიციის საბჭოებმა 2004 წლის 30 ივნისიდან შეწყვიტეს ფუნქციონირება, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს სესიამ კი აღნიშნულიდან ცხრა დღის შემდეგ -2004 წლის 9 ივლისს გაათავისუფლა დ. მ-ძე დაკავებული თანამდებობიდან. აფხაზეთის ა/რ იუსტიციის საბჭოს გაუქმება და სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულება, ასევე დ. მ-ძის თანამდებობიდან გათავისუფლება დროში



ერთმანეთს დაემთხვა, რაც დამდგარი შედეგის მიხედვით, გახდა დ. მ-ძისათვის პენსიის დანიშვნის საკითხის ჯეროვნად გადაწყვეტილობის მიზეზი.

სოხუმის რაიონულმა და სოხუმის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოსაზრება მოპასუხესთან მიმართებით იმის შესახებ, რომ «სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ» საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მის შესაბამის მოთხოვნაზე ვალდებული პირი იყო მზღვეველის ტერიტორიული ორგანო, კერძოდ, ამ კანონის შესაბამისად, სავალდებულო სადაზღვევო პენსიის დანიშვნა, გაანგარიშება და ადგილზე მიტანა ხორციელდებოდა მზღვეველის მიერ, სავალდებულო სადაზღვევო პენსიის მიღებაზე განაცხადის შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იყო საფუძვლიანი. იმავე კანონის და «სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის #558 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დებულების მე-3 და მე-4 მუხლების პირველი პუნქტების «ე» ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის «გ» და «კ» ქვეპუნქტების თანახმად, დ. მ-ძის სასარჩელო მოთხოვნაზე ვალდებული პირი იყო მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ა/რ ფილიალი.

სოხუმის რაიონულმა და სოხუმის საქალაქო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დანაწესებით, აწ გარდაცვლილ დ. მ-ძეს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, 2004 წლის 10 ივლისიდან გარდაცვალებამდე -2004 წლის 6 დეკემბრამდე უნდა დანიშნოდა და მიეღო 4 თვის და 25 დღის კუთვნილი სამისდღეშო პენსია, რაც დროულად არ მიუღია უსაფუძვლოდ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოსარჩელის მამის კუთვნილი და გაუცემელი პენსიის მიღებაზე მესამე პირსა და მოპასუხეს უნდა უზრუნველყოთ სათანადო, კანონისმიერი მოქმედებით ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტა. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკანონმდებლო აქტს ჰქონდა პირდაპირი მოქმედების ძალა, მიუხედავად იმისა, მიღებული (გამოცემული) იყო თუ არა მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად კანონქვემდებარე აქტი, თუ თვით საკანონმდებლო აქტით ეს არ იყო დადგენილი. «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონი არ შეიცავდა არანაირ ისეთ დათქმას, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელი იქნებოდა, აწ გარდაცვლილ დ. მ-ძეს დროულად არ დანიშნოდა სამისდღეშო პენსია. არავითარი სამართლებრივი წანამდღვარი არ არსებობდა ასევე არ მიმართებით, რომ მოსარჩელის კანონიერი და საფუძვლიანი მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულიყო. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მიერ გაცემული შესაბამისი ცნობის თანახმად, დ. მ-ძის შრომის ანაზღაურება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებამდე შეადგენდა 963 ლარს, რაც შედგებოდა თანამდებობრივი სარგოსაგან -535 ლარისაგან, საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ დადგენილი 40%-იანი დანამატისაგან -214 ლარისაგან და მოსამართლედ ნამსახურობის 40%-იანი დანამატისაგან -214 ლარისაგან. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა ოთხი თვისა და ოცდახუთი დღის პენსიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ, რაც 4654,5 ლარს შეადგენდა, «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის მე-7, მე-16 და მე-20 მუხლების შესაბამისად, სრულიად კანონიერი და საფუძვლიანი იყო.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი კანონდარღვევებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა გაუქმებული და აუქმდებელი კანონი და არასწორად განმარტა იგი. როგორც ხსენებული გადაწყვეტილებიდან ირკვეოდა, მოსარჩელის მამა -დ. მ-ძე, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს სესიის 2004 წლის 9 ივლისის დადგენილებით. დ. მ-ძემ პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებით მიმართა საქმეში მესამე პირად ჩართულ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რაც დასტურდებოდა იმავე საბჭოს წევრთა მიერ შედგენილი შეთანხმების ფურცლით. 2004 წლის სექტემბერში მანვე განმეორებით მიმართა განცხადებით საქართველოს იუსტიციის საბჭოს, რაზედაც ამ უკანასკნელს რეაგირება არ მოუხდენია და არც შესაბამისი დოკუმენტაცია გადაუგზავნია იმავე ფონდისათვის, რაც საშუალებას მისცემდა დასახელებულ ფონდს, მოეხდინა დ. მ-ძისათვის სიცოცხლეშივე შესაბამისი პენსიის დანიშვნა.

აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის საკითხზე, რითაც ცალსახად დაარღვია აღნიშნული კოდექსის 22-ე-24-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ ხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მოთხოვნაზე, რაც გულისხმობდა აღიარებით სარჩელს. როგორც ირკვეოდა, დ. მ-ძემ რამდენჯერმე მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მისთვის პენსიის დასანიშნად შესაბამისი დოკუმენტაციის გაცემის თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი მიუთითებდა, რომ აღიარებითი სარჩელი არ შეიძლებოდა აღძრულიყო, თუ

მოსარჩელეს შეეძლო აღედრა სარჩელი ამ კოდექსის 22-ე-24-ე მუხლების საფუძველზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან ასევე არ ჩანდა, თუ რის საფუძველზე, რომელ ნორმატიულ აქტზე დაყრდნობით მოახდინა სასამართლომ თანხის გადაანგარიშება, მაშინ, როდესაც დ. მ-მეს პენსია საერთოდ არ დანიშნა, ვინაიდან საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის არც მას, არც მის კანონიერ წარმომადგენელს და არც საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესაბამისი განცხადებითა და თანდართული დოკუმენტაციით არ მიუმატავს. გარდა ამისა, ვინაიდან დ. მ-მემ ვერ მოასწრო სიცოცხლეშივე მისთვის მინიჭებული უფლების რეალიზება და მასზე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები ვერ გავრცელდა მისი გარდაცვალების გამო, სასამართლომ კიდევ ერთხელ უხეზად დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1330-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამისდღეშიო პენსიის დასანიშნად მიმართვისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, აწ გარდაცვლილ დ. მ-მეს დანიშნოდა პენსია 2004 წლის 10 ივლისიდან 2004 წლის 6 დეკემბრამდე, რაც ასევე კანონის უხეში დარღვევა იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ივნისის საოქმო განჩინებით აპელანტი -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი საქმეში ჩაბმულ იქნა მოპასუხედ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. მ-მისათვის პენსიის დანიშნა და მასზე გაუცემელი პენსიის დ. მ-მისათვის გადახდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ა/რ ფილიალის ნაცვლად, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს დაეკისრა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგინდად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ დ. მ-მე მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ; დ. მ-მის შრომის ანაზღაურება შეადგენდა: თანამდებობრივი სარგო -535 ლარი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი 40 პროცენტის დანამატი -214 ლარი, მოსამართლედ ნამსახურობის 40 პროცენტის დანამატი -214 ლარი, სულ -963 ლარი. «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის მე-14-16 მუხლების შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილი იყო პენსიის დანიშნის თაობაზე შეთანხმების ფურცელი საქართველოს იუსტიციის საბჭოს 7 წევრის ხელმოწერით. იმავე შეთანხმების ფურცელში მითითებულ პირთა შორის აღნიშნული იყო დ. მ-მე, ასევე -ა. ზ-აია, რომელიც 2004 წლის 2 თებერვალს გარდაიცვალა. ხსენებული გარემოება კი ადასტურებდა იმას, რომ დ. მ-მემ პენსიის დანიშნის შესახებ მოთხოვნა ჯერ კიდევ 2004 წლის 2 თებერვლამდე წარადგინა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის 2004 წლის 9 ივლისის დადგენილების თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს 2002 წლის დეკემბრის გადაწყვეტილების და «დ. მ-მის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 16 თებერვლის #516 განკარგულების საფუძველზე, დ. მ-მე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ისე, რომ პენსია არ დანიშნა. დ. მ-მე 2004 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა. დასტურდებოდა, რომ დ. მ-მე იყო დევნილი, მოსარჩელე დ. მ-მე კი -დ. მ-მის შვილი და შესაბამისი მემკვიდრეობის მოწმობის თანახმად -მისი მემკვიდრე, ასევე -დევნილი.

სააპელაციო სასამართლომ დ. მ-მის სარჩელი აღიარებით სარჩელად არ მიიჩნია. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის მე-16 მუხლის (2005 წლის 23 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, მოსამართლეს პენსიაში გასვლის შემთხვევაში ენიშნებოდა სამისდღეშიო პენსია ხელფასის სრული ოდენობით. აღნიშნული კანონის მე-20 მუხლის მიხედვით, ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ, პენსიაში გასულ იმ მოსამართლეს, რომელსაც 1999 წლის 15 მაისიდან «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup>-ე მუხლის საფუძველზე გაუგრძელდა უფლებამოსილება, ენიშნებოდა სამისდღეშიო პენსია თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით. ხსენებული ნორმის (მე-20 მუხლი) ამოქმედება, იმავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, განისაზღვრა 2003 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 25 მაისის #204 ბრძანებულებით დამტკიცებული, 2004 წლის 20 აგვისტომდე მოქმედი «საქართველოს იუსტიციის საბჭოს აპარატის დებულების» მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო პერსონალის სექტორი აფორმებდა საპენსიო საბუთებს. საქმის მასალების თანახმად, სადავო არ იყო ის გარემოება, რომ დ. მ-მეს 2004 წლის 9 ივლისიდან (პენსიაზე გასვლის გამო, სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან) ეკუთვნოდა პენსია, მაგრამ სიცოცხლეში მისი მიღება, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოახერხა. 2004 წლის 28

დეკემბერს დ. მ-მემ საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიმართა განცხადებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ მამამისმა -2004 წლის სექტემბერში მიმართა საქართველოს იუსტიციის საბჭოს, მაგრამ პენსია დანიშნული არ ჰქონდა, 2004 წლის 6 დეკემბერს კი დ. მ-მე ისე გარდაიცვალა, რომ პენსია არ მიუღია და მოსარჩელემ მოითხოვა მამამისის გარდაცვალებამდე პერიოდის კუთვნილი საპენსიო თანხა. აღნიშნული საკითხი ვერ იქნა გადაწყვეტილი, რის გამოც მოსარჩელემ სასამართლოში აღძრა სარჩელი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1330-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული მუხლის თანახმად, სამკვიდროში არ შედიოდა ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც იყო პირადი ხასიათის და მხოლოდ მამკვიდრებლის კუთვნილი შეიძლება ყოფილიყო, ასევე -კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებდა მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდებოდა მათი სიკვდილით. დასტურდებოდა, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა არ იყო იმ ქონებრივი უფლების მიღება, რომელიც იყო პირადი ხასიათის, რაც მხოლოდ მამკვიდრებელს ეკუთვნოდა, ვინაიდან მოსარჩელე მოითხოვდა მამამისის მიერ 4 თვისა და 25 დღის იმ მიუღებელი პენსიის თანხას, რაც მამამისს უნდა მიეღო და რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლით გათვალისწინებულ სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან და სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ მითითებული სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, დ. მ-მის სარჩელი სწორად დააკმაყოფილა და ამ მიმართებით გადაწყვეტილება არსებითად სწორი იყო.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოპასუხეების წარმომადგენელთა განმარტებების თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციების დანიშვნა-გაცემის საკითხი შედიოდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის და არა იმავე ფონდის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის კომპეტენციაში. «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, პენსიის (კომპენსაცია) დანიშვნა-გაცემის საკითხი შედიოდა კომპეტენტური ორგანოს უფლება-მოვალეობებში, ხოლო იმავე კანონის მე-4 მუხლის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, კომპეტენტური ორგანო იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის #46/5 ბრძანების #1 დანართის მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო პენსიის, ხოლო #2 დანართის მე-2 მუხლის თანახმად, კომპენსაციის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა შეცვლილიყო იმ მიმართებით, რომ დ. მ-მისათვის პენსიის დანიშვნა და გაუცემელი პენსიის დ. მ-მისათვის გადახდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის ნაცვლად, დაკისრებოდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტომ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და რომლითაც ამჟამად რეგულირდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის (მათ შორის, «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პენსიის მიმღები მოსამართლეების) სოციალური უზრუნველყოფის სამართალურთიერთობა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა -«სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ» საქართველოს კანონი (ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2005 წელს ისე, რომ არ ამოქმედებულა), ასევე არასწორად განმარტა «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონი ხელფასისა და თანამდებობრივი სარგოს ცნებების ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოს ხაზით სახელმწიფო პენსიის დანიშვნა ხდება «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონით. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა, მოსარჩელის მამა -დ. მ-მე, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ა/რ უმაღლესი საბჭოს სესიის 2004 წლის 9 ივლისის დადგენილების საფუძველზე. დ. მ-მემ პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მანვე იმავე საბჭოს მიმართა განმეორებით, რასაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია და შესაბამისად, ხსენებულ საბჭოს დ. მ-მისათვის პენსიის

დასანიშნად სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში დოკუმენტაცია არ გადაუგზავნია, რაც იქნებოდა აწ გარდაცვლილი დ. მ-ძისათვის პენსიის დანიშვნის საკითხზე მსჯელობის საფუძველი.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აპელანტის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნა. მოცემული სარჩელი აღძრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს აღიარებით სარჩელს, ხოლო, ვინაიდან დ. მ-მემ ბოლოს 2004 წლის სექტემბერში მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს პენსიის დანიშვნის თაობაზე და იმავე საბჭოს მხრიდან არ მოჰყოლია მის განცხადებას რეაგირება, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ნიშნავს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, რომელიც მხარეს უნდა გაესაჩივრებინა კანონით დადგენილ ვადებში.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ იმსჯელა პენსიის გადაანგარიშებისას თანამდებობრივ სარგოსა და ხელფასს შორის არსებულ კანონით გათვალისწინებულ განსხვავებაზე, მაშინ, როდესაც პენსიის გაანგარიშება ხდება თანამდებობრივი სარგოდან და არა ხელფასის სრული მოცულობიდან, რასთან დაკავშირებითაც, არასწორია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დაანგარიშებული თანხების ოდენობა. ამდენად, ხსენებული გადაწყვეტილება უკანონოა, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 6 მარტის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 24 აპრილამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინებით სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 12 ივნისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შემოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: დ. მ-მე მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლედ. დ. მ-ძის შრომის ანაზღაურება შეადგენდა: თანამდებობრივი სარგო -535 ლარი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი 40 პროცენტაანი დანამატი -214 ლარი, მოსამართლედ ნამსახურობის 40 პროცენტაანი დანამატი -214 ლარი, სულ -963 ლარი. პენსიის დანიშვნის თაობაზე საქართველოს იუსტიციის საბჭოს 7 წევრის ხელმოწერით შედგენილ შეთანხმების ფურცელში მითითებულ პირთა შორის აღნიშნულია დ. მ-მე, ასევე -ა. ზ-აია, რომელიც 2004 წლის 2 თებერვალს გარდაიცვალა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის 2004 წლის 9 ივლისის დადგენილების თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს 2002 წლის დეკემბრის გადაწყვეტილების და «დ. მ-ძის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 16 თებერვლის #516 განკარგულების საფუძველზე, დ. მ-მე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით. დ. მ-მე 2004 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა. დ. მ-მე იყო დევნილი. მოსარჩელე დ. მ-მე არის აწ გარდაცვლილი დ. მ-ძის შვილი და მისი მემკვიდრე. დ. მ-მემ 2004 წლის 28 დეკემბერსა და 2005 წლის 23 თებერვალს განცხადებებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს და მოითხოვა აწ გარდაცვლილი დ. მ-ძის 2004 წლის განცხადებისთვის მსვლელობის მიცემის საკითხისა და დ. მ-ძისათვის პენსიის არდანიშვნის მიზეზების გარკვევა და მისთვის, როგორც მემკვიდრისათვის, დ. მ-ძის 2004 წლის 9 ივლისიდან 2004 წლის 6 დეკემბრამდე პენსიის თანხის ანაზღაურება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს უდავოდ დადგენილად მიაჩნია, რომ დ. მ-მე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ისე, რომ პენსია არ დანიშნია. დ. მ-მე 2004 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა, ხოლო პენსიის დანიშვნის თაობაზე საქართველოს იუსტიციის საბჭოს 7 წევრის ხელმოწერით შედგენილ შეთანხმების ფურცელში მითითებულ პირთა შორის დ. მ-ძესთან ერთად ა. ზ-აიაზე მითითება, რომელიც 2004 წლის 2 თებერვალს გარდაიცვალა, ამტკიცებს იმას, რომ დ. მ-მემ

პენსიის დანიშვნის შესახებ მოთხოვნა ჯერ კიდევ 2004 წლის 2 თებერვლამდე წარადგინა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ანუ მოახდინა თავისი საპენსიო უფლების რეალიზება, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სათანადო საბუთები არ გადაუგზავნა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს (უფლებამონაცვლე -სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტო»).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელმა მიუთითა, თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მას გადაუგზავნიდა დ. მ-ძის საპენსიო მასალას, მოცემული საკითხი მის მიერ გადაწყდებოდა კანონით დადგენილ ვადაში და წესით, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი არ იყო წინააღმდეგი, რომ ამ შემთხვევაში პენსიის დანიშვნა და გაუცემელი საპენსიო თანხის გადახდა მომხდარიყო კანონით დადგენილი წესით, რის გამოც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სათანადო წერილით გადააგზავნიდა მასალას დ. მ-ძისათვის პენსიის დასანიშნად და საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მხარი დაუჭირა მოსარჩელის მოთხოვნას დ. მ-ძისათვის პენსიის დანიშვნისა და მის მემკვიდრე დ. მ-ძეზე გაუცემელი საპენსიო თანხის გაცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აპელანტის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ უხეზად დაარღვია სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნა, რადგან მოცემული სარჩელი აღძრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს აღიარებით სარჩელს, ხოლო, ვინაიდან დ. მ-ძემ ბოლოს 2004 წლის სექტემბერში მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს პენსიის დანიშვნის თაობაზე და იმავე საბჭოს მხრიდან არ მოჰყოლია მის განცხადებას რეაგირება, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ნიშნავს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, რომელიც მხარეს უნდა გაესაჩივრებინა კანონით დადგენილ ვადებში.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ დ. მ-ძის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს პენსიის დანიშვნა და მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურება, რის გამოც დ. მ-ძის სარჩელი არ წარმოადგენს აღიარებით სარჩელს, ხოლო ამ საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ დ. მ-ძისა და დ. მ-ძის ზემოთ მითითებულ განცხადებებს რაიმე რეაგირება მოჰყვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან, ანუ მათ არავითარი პასუხი არ მიუღიათ, რაზეც თვითონ კასატორიც მიუთითებს და რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ჩათვლებოდა განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმად, მით უმეტეს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტში შესაბამისი დამატება შეტანილ იქნა 2005 წლის 24 ივნისს, რის შედეგადაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვალა, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ხოლო ხსენებული დამატებით ჩამოყალიბებული ამავე ქვეპუნქტის ახალი რედაქცია ამოქმედდა 2005 წლის 15 ივლისიდან. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უსაფუძვლოა კასატორის მითითება სასამართლოს მხრიდან სარჩელის დასაშვებობის პირობების დარღვევაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი, რომლითაც ამჟამად რეგულირდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის (მათ შორის, «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, პენსიის მიმღები მოსამართლეების) სოციალური უზრუნველყოფის სამართალურთიერთობა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2005 წლის 27 დეკემბერს მიღებულ იქნა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს ახალი კანონი, რომლითაც, მართალია, ამჟამად რეგულირდება «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, პენსიის მიმღები მოსამართლეებისათვის პენსიის დანიშვნის საკითხი, მაგრამ აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან, ანუ იმ პერიოდში, როდესაც დ. მ-ძემ მოითხოვა პენსიის დანიშვნა და მას უნდა დანიშნოდა პენსია, ხსენებული კანონი ჯერ კიდევ არ იყო მიღებული, რის გამოც «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მოქმედება ვერ გავრცელდება მოცემულ სამართალურთიერთობაზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ დ. მ-ძის პენსიის გადაანგარიშებისას არ იმსჯელა თანამდებობრივ სარგოსა და ხელფასს შორის არსებულ კანონით გათვალისწინებულ განსხვავებაზე. საკასაციო სასამართლო, ამასთან, მიუთითებს, რომ არასწორია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში თანამდებობრივი სარგოს გარდა მოსარჩელისათვის დანამატების ანაზღაურება და ამდენად, ხსენებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში უკანონოა და უნდა გაუქმდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, ეს კანონი ადგენს მოსამართლის, გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის წესს, თანამდებობრივ განაკვეთზე დანამატის სახეებს, მათი ოდენობის და გაცემის წესს, აგრეთვე, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების სხვა გარანტიებს. ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (2005 წლის 23 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, მოსამართლის შრომის ანაზღაურება შედგებოდა თანამდებობრივი სარგოს, დანამატისა და დახმარებისაგან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონი, ვინაიდან დ. მ-ძის მიუღებელი პენსიის თანხა გამოიანგარიშა ხელფასის სრული ოდენობის -963 ლარის მიხედვით, რასაც იღებდა დ. მ-მე აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, გათავისუფლებამდე და არა იმ თანამდებობრივი სარგოს -535 ლარის შესაბამისად, რაც დანიშნული ჰქონდა დ. მ-ძეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 22 ივნისის სხდომაზე დ. მ-ძის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარდაცვლილისათვის შესაძლებელი იყო პენსიის დანიშვნა, რადგან ასეთ აკრძალვას არც ერთი კანონი არ ითვალისწინებდა, მით უმეტეს, რომ დ. მ-მემ სიცოცხლეშივე მიმართა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ამ თხოვნით, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ მოხდა ამ უფლების განხორციელება. იმავე სხდომაზე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსამართლეებს პენსია ენიშნებოდათ მათი თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედება განისაზღვრა 2006 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ამავე კანონის მე-20 მუხლისა - 2003 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული კანონის მე-16 მუხლის (2005 წლის 23 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლის, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ გამოცხადების, პენსიაში გასვლის ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, მოსამართლეს ენიშნებოდა სამისდღეშიო პენსია მოქმედი მოსამართლისათვის განსაზღვრული ხელფასის სრული ოდენობით, რომელიც იცვლებოდა მოქმედი მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს შეცვლასთან ერთად. ხსენებული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ, პენსიაში გასულ იმ მოსამართლეს, რომელსაც 1999 წლის 15 მაისიდან «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup>-ე მუხლის საფუძველზე გაუგრძელდა უფლებამოსილება, უნდა დანიშნოდა სამისდღეშიო პენსია თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონის მე-20 მუხლი შეეხებოდა მხოლოდ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ, პენსიაში გასულ იმ მოსამართლეებს, რომელთაც 1999 წლის 15 მაისიდან «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 85<sup>2</sup>-ე მუხლის საფუძველზე გაუგრძელდათ უფლებამოსილება, ანუ აღნიშნული მუხლის ნორმა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, პენსიაში გასული მოსამართლეებისათვის, პენსიის დანიშვნის თვალსაზრისით, წარმოადგენდა სპეციალურ ნორმას, სპეციალური პირობით -სამისდღეშიო პენსიის დანიშვნით თანამდებობრივი სარგოს (და არა ხელფასის) სრული ოდენობით. ამ მუხლის ბლანკეტური ხასიათის ნორმა მიუთითებდა მხოლოდ ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე და არა ამავე მუხლის პირობაზე -ხელფასის სრული ოდენობით სამისდღეშიო პენსიის დანიშვნაზე. გარდა ამისა, მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-20 მუხლი ამოქმედდა 2003 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ამავე კანონის მე-16 მუხლი -2006 წლის 1 იანვრიდან. ამდენად, ხსენებული კანონის მე-16 მუხლი დ. მ-ძის მიერ მისი საპენსიო უფლების რეალიზებისას ჯერ კიდევ არ იყო ამოქმედებული, რის გამოც ვერ ამოქმედებოდა ამ კანონის მე-16 მუხლის ნორმის ელემენტი -«ხელფასის სრული ოდენობით» -და რაც მთავარია, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოსამართლეებზე უშუალოდ ვრცელდებოდა სწორედ აღნიშნული კანონის მე-20 მუხლის ნორმა და შესაბამისად, სამისდღეშიო პენსიის ოდენობის განმსაზღვრელი მისი ელემენტიც -«თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით».

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. მ-ძის სასარჩელო მოთხოვნა პენსიის დანიშვნისა და მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანია მხოლოდ თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობის შესაბამისად პენსიის დანიშვნისა და მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურების ნაწილში, რის გამოც მას ეკუთვნის მამამისის -აწ გარდაცვლილი დ. მ-ძის მიერ მიუღებელი საპენსიო თანხა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, დ. მ-ძის გათავისუფლებამდე, მისი თანამდებობრივი სარგოს -535 ლარის მიხედვით, 2004 წლის 10 ივლისიდან 2004 წლის 6 დეკემბრამდე პერიოდისათვის -2585 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტსა და მე-3 ნაწილზე, რომელთა მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვევულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ხოლო საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. იმავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველია. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხე სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) დაევალება დ. მ-ძისათვის პენსიის დანიშვნა 2004 წლის 10 ივლისიდან 2004 წლის 6 დეკემბრამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მისთვის აწ გარდაცვლილ დ. მ-ძეზე «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, სამისდღეშიო პენსიის დასანიშნად მიმართვისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, ასევე მოპასუხე სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) დაევალება მოსარჩელე დ. მ-ძის სასარგებლოდ 2004 წლის 10 ივლისიდან 2004 წლის 6 დეკემბრამდე დ. მ-ძეზე გაუცემელი პენსიის თანხის გადახდა 2585 ლარის ოდენობით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოპასუხე სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) დაევალოს დ. მ-ძისათვის პენსიის დანიშვნა 2004 წლის 10 ივლისიდან 2004 წლის 6 დეკემბრამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მისთვის აწ გარდაცვლილ დ. მ-ძეზე «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, სამისდღეშიო პენსიის დასანიშნად მიმართვისა და თანდართული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ; მოპასუხე სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) დაევალოს მოსარჩელე დ. მ-ძის სასარგებლოდ 2004 წლის 10 ივლისიდან 2004 წლის 6 დეკემბრამდე დ. მ-ძეზე გაუცემელი პენსიის თანხის გადახდა 2585 ლარის ოდენობით;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სპეციალური კანონით პენსიის დანიშვნაზე უარის თქმა**

#### **განჩინება**

#ბს-284-277(კ-08)

26 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** წელთა ნამსახურების მიხედვით პენსიის დანიშვნა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ნ-ძემ 2006 წლის 21 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: იგი 1976 წლიდან 2004 წლამდე მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე, საიდანაც მაიორის წოდებით განთავისუფლდა. 2004 წლის 7 ივლისიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამომიებო დეპარტამენტში გამომძიებლად. 2005 წლის ნოემბერში სამმართველოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ყველა გამომძიებელმა დაწერა პატაკი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რადგან უნდა ყოფილიყო ხელახალი დანიშვნები. მას შემდეგ, რაც ნ. ნ-ძე არ დანიშნეს, მან განცხადებით მიმართა სამინისტროს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 20-ე მუხლის «ა» პუნქტის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნას განსაზღვრული ასაკის მიღწევის ან წელთა ნამსახურების გამო. სამართალდამცავ ორგანოებში, საერთო ჯამში, ნამსახურები აქვს 33 წელი და 3 თვე. აღნიშნულ განცხადებაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 30 ნოემბრის #02-15-17-68/17761 წერილით ნ. ნ-ძეს ეცნობა, რომ მისი სამუშაოდან განთავისუფლება მოხდა «ფინანსური პოლიციის შესახებ» კანონის 20-ე მუხლის «ი» ქვეპუნქტით, პირადი განცხადების საფუძველზე, 2005 წლის 22 ნოემბრის #3-2287 ბრძანებით, ვინაიდან «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი და მის საფუძველზე გამოცემული ფინანსთა მინისტრის ბრძანება «ფინანსურ პოლიციაში სამსახურის წესის გავლის შესახებ» არ ითვალისწინებს წელთა ნამსახურობის ოდენობას და ზღვრულ ასაკს. შესაბამისად, მსვლელობა მიეცა მოსარჩელის პირველ განცხადებას. ამავე წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ მომზადებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ფინანსურ პოლიციაში სამსახურის გავლის წესში დამატების შეტანას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ნ-ძის სარჩელი საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ წელთა ნამსახურებით პენსიის დანიშვნის შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინოდა მინია, რომ მოსარჩელე მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე 1976 წლიდან 2004 წლამდე. 2004 წლიდან 2005 წლის ნოემბრამდე მსახურობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციაში. განთავისუფლებულ იქნა ფინანსური პოლიციიდან 2005 წლის 22 ნოემბერს, «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 20-ე მუხლის «ი» ქვეპუნქტის შესაბამისად, პირადი განცხადების საფუძველზე. ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა ფინანსური პოლიციის #26-1/3121 წერილით გაგზავნილი მოსარჩელის განცხადება სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. ბრძანების გამოცემამდე, 16 ნოემბერს, ფინანსური პოლიციის უფროსის #26-1/3151 წერილით მიემართა ფინანსთა სამინისტროს და ეცნობა, რომ მოსარჩელემ გამოთქვა სურვილი წელთა ნამსახურობით სამსახურიდან დათხოვნის შესახებ და ეთხოვა ფინანსთა მინისტრს, რათა მოსარჩელის დათხოვნა მომხდარიყო არა პირადი განცხადების, არამედ წელთა ნამსახურობით, «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 20-ე მუხლის «ა» პუნქტის თანახმად. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 30 ნოემბრის #02-15-17-68/17761 წერილით მოსარჩელეს უარი ეთქვა წელთა ნამსახურობის გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, მსვლელობა მიეცა მის პირველ განცხადებას და განთავისუფლებული იქნა ფინანსური პოლიციის შესახებ კანონის 20-ე მუხლის «ი» ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნულის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ აღნიშნული კანონის და მის საფუძველზე გამოცემული ფინანსთა მინისტრის ბრძანებით «ფინანსურ პოლიციაში სამსახურის გავლის წესის შესახებ» არ განსაზღვრავს ზღვრული ასაკის და წელთა ნამსახურობის ოდენობას. ამასთან, მოსარჩელეს ეცნობა, რომ მზადდება ბრძანების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ფინანსურ პოლიციაში სამსახურის გავლის წესში ცვლილების შეტანას, სადაც განსაზღვრული იქნება ზღვრული ასაკი და წელთა ნამსახურობის ოდენობა. მოსარჩელემ, მიუხედავად ამისა, მიმართა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს და მოითხოვა პენსიის დანიშვნა წელთა ნამსახურობის მიხედვით, საიდანაც მიიღო უარი იმ მოტივით, რომ გათავისუფლების საფუძველად მითითებული აქვს პირადი განცხადება, ხოლო პენსიის დანიშვნის მოთხოვნის უფლება აქვთ მხოლოდ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც დათხოვნილი არიან ზღვრული ასაკის მიღწევის ან წელთა ნამსახურობის გამო. შესაბამისად, ფონდი მოკლებული იყო შესაძლებლობას დაენიშნა მოსარჩელისათვის პენსია 2005 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით. რაც შეეხება მოთხოვნას შს სამინისტროში ნამსახურები წლების მიხედვით პენსიის დანიშვნის შესახებ, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დოკუმენტები შინაგან საქმეთა სამინისტროდან.



პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოსარჩელისთვის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ პენსიის დანიშვნაზე გაცემული უარის ბათილად ცნობა და მოპასუხის დავალდებულება გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წელთა ნამსახურობით პენსიის დანიშვნის თაობაზე. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონი, რომელიც ანალოგიით უნდა ყოფილიყო გამოყენებული. აღნიშნული კანონის 1-ლი მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონის მოქმედება. ფინანსურ პოლიციაში მომსახურე პირები ხსნებული კანონის 1-ლი მუხლის ჩამონათვალში არ შედიან. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდებოდა ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციიდან დათხოვნილ პირებზე 2006 წლის «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ» კანონის ამოქმედებამდე. 2004 წლიდან მოქმედებდა კანონი «ფინანსური პოლიციის შესახებ», რომლის მიხედვით ფინანსური პოლიცია არის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, სპეციალური სამართალდამცავი ორგანო, ხოლო «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს სამხედრო ძალებიდან, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებიდან, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოს სამსახურებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებზე. მოსარჩელის მითითება აღნიშნული კანონის 1-ლი მუხლის «გ» ქვეპუნქტზე უსაფუძვლოდ მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლომ, ვინაიდან ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულია კანონის გავრცელება «სხვა კანონიერ სამხედრო ფორმირებებზე», რასაც არ შეიძლება მიეკუთვნოს ფინანსური პოლიცია, რომლის სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია სპეციალური კანონით. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მსჯელობა იმის შესახებ, რომ 2006 წლამდე მას, როგორც ფინანსური პოლიციიდან დათხოვნილ პირს ჰქონდა პენსიის დანიშვნის უფლება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 27-ე მუხლით დასაშვებია კანონის ანალოგიის გამოყენება მხოლოდ კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება «სამხედრო შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის ნ. 5-მის მიმართ ანალოგიით გამოყენების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. 5-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ნ. 5-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონი «ფინანსური პოლიციის შესახებ» ამოქმედდა 2005 წლის 15 მარტიდან (იგი ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2006 წლის 24 ნოემბრის საქართველოს პარლამენტის #3727 კანონით). აღნიშნული კანონის 23-ე მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომელს, რომელიც გათავისუფლდა სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად გახდომის გამო, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უფლება ჰქონდა მიეღო შესაბამისი სახელმწიფო კომპენსაცია და სახელმწიფო პენსია. ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს წარმოადგენდა განსაზღვრული ასაკის მიღწევა ან წელთა ნამსახურობა პოლიციაში გავლის წესის მიხედვით. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული ფინანსურ პოლიციაში სამსახურისთვის ზღვრული ასაკი ან საპენსიო უზრუნველყოფისათვის საჭირო წელთა ნამსახურობა.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა პენსიის დანიშვნის შესახებ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ვინაიდან მასში პირდაპირ არის მითითებული იმ პირთა წრე, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული კანონი, მათ შორის კი არ მოიაზრებიან ფინანსური პოლიციის თანამშრომლები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტმა თავად განაცხადა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების დროს კანონიერ ძალაში იყო შესული «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი, რომელიც აწესრიგებდა ფინანსური პოლიციის მუშაკების საპენსიო უზრუნველყოფის საკითხს. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპენსაციის (პენსიის) დანიშვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამოწურვა. ამავე კანონის (2006 წლის 29 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი ფინანსური პოლიციის

მოსამსახურებზე ხსენებული უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ნამსახურობის 20 წელი ჰქონდათ, მათ შორის -4 წელი ფინანსურ პოლიციაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თუკი ნ. ნ-მე გააგრძელებდა სამსახურს ფინანსურ პოლიციაში, იგი მიიღებდა კიდევაც ხსენებული სახის პენსიას (ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო) აღნიშნული კანონის შესაბამისად, თუკი მისი ნამსახურობის ვადა ფინანსურ პოლიციაში იქნებოდა 4 წელი. კონკრეტულ შემთხვევაში კი, აპელანტმა თავად დაწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რის გამოც «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პრივილეგია მასზე ვერ გავრცელდება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოეყენებინა კანონის ანალოგია, კონკრეტულ შემთხვევაში «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» კანონი, რადგან თუკი კანონმდებლის ნება იქნებოდა, იგი მოაწესრიგებდა აღნიშნულ საკითხებს იმგვარად, როგორც ამას აპელანტი უთითებს. მოცემულ შემთხვევაში კი, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ნ. ნ-მე არ არის დარჩენილი სოციალური უზრუნველყოფის გარეშე, რადგან «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, მას მიეცემა შესაბამისი პენსია 65 წლის ასაკის მიღწევისთანავე.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ როდესაც არსებობს «სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» კანონი, არ არსებობს კანონის ანალოგიის გამოყენების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ნ-მემ.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინება მიიღო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტების მოთხოვნათა დარღვევით. კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი; ამავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

კასატორის მითითებით, 2005 წლის ნოემბერში მოპასუხე ორგანიზაციაში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, სხვა თანამშრომლებთან ერთად, დაწერა პატაკი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. როდესაც შეიტყო, რომ რეორგანიზაციის შედეგად შეიძლებოდა არ დანიშნულიყო სამსახურში. ახალი პატაკით მიმართა ფინანსური პოლიციის უფროსს, წელთა ნამსახურობით პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ფინანსური პოლიციის იმდროინდელმა უფროსმა, დავით კუხერაშვილმა მისი პატაკი 2005 წლის 16 ნოემბრის #26-1/3151 მიმართვით გადაუგზავნა საქართველოს ფინანსთა მინისტრს და მოითხოვა, რომ არ მიეცათ მსვლელობა 2005 წლის 14 ნოემბრის #26-1/3121 წერილით გადაგზავნილი მისი პირველი პატაკისათვის, რადგან კასატორს გააჩნდა სათანადო წელთა ნამსახურობა და სამსახურიდან დათხოვნილი უნდა ყოფილიყო არა პირადი განცხადების საფუძველზე, არამედ წელთა ნამსახურობით, «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად.

მიუხედავად აღნიშნულისა, კასატორმა ფინანსთა სამინისტროდან მიიღო ბრძანება პირადი განცხადების საფუძველზე მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და 2005 წლის 30 ნოემბრის #02-15-17068/17761 წერილი, რომლითაც განემარტა, რომ ვერ მოხერხდა ფინანსური პოლიციის უფროსის 16 ნოემბრის #26-1/3 #51 წერილის შესაბამისად პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით წელთა ნამსახურობით მისი სამსახურიდან გათავისუფლება, რადგან «ფინანსურ პოლიციაში სამსახურის გავლის წესი», რაც კანონქვემდებარე აქტია, არ განსაზღვრავდა ზღვრული ასაკისა და წელთა ნამსახურობის ოდენობას. ამასთანავე, მას აცნობეს, რომ მომზადებულია შესაბამისი ბრძანების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ფინანსურ პოლიციაში სამსახურის გავლის წესში ცვლილებების შეტანას, სადაც განსაზღვრული იქნებოდა ზღვრული ასაკი და წელთან ნამსახურობის ოდენობა. აღნიშნული ცვლილებით დარეგულირდებოდა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით არსებული წინააღმდეგობა -ხარვეზი.

კასატორის მითითებით, იმ დროს მოქმედი «ფინანსური პოლიციის შესახებ» კანონის მე-20 მუხლის «ა» პუნქტით პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი იყო «განსაზღვრული ასაკის მიღწევა და წელთა ნამსახურობა პოლიციაში სამსახურის გავლის წესის მიხედვით», ე.ი. აღნიშნულ კანონში თავიდანვე ჩადებული იყო როგორც ზღვრული ასაკი, ასევე წელთა ნამსახურობაც, რაც არ იქნა გათვალისწინებული ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ «ფინანსურ პოლიციაში სამსახურის გავლის წესში», რომელიც კანონქვემდებარე აქტია და მასში დაშვებული იყო ხარვეზი.

კასატორის განმარტებით, მან ვადაში მიმართა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს, რათა დამსახურების მიხედვით დაენიშნათ მისთვის კუთვნილი პენსია წელთა ნამსახურობის მიხედვით, საიდანაც 2006 წლის 12 იანვარს, როცა ამოქმედდა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი, #8-5/05-220

წერილით აცნობეს, რომ ვინაიდან იგი ფინანსური პოლიციიდან გათავისუფლდა «ფინანსური პოლიციის შესახებ» კანონის მე-20 მუხლის «ი» ქვეპუნქტით, ე.ი. პირადი განცხადების საფუძველზე, ამიტომ ვერ მოიპოვა პენსიის დანიშვნის უფლება. პენსია «ფინანსური პოლიციის შესახებ» კანონით ენიშნება პოლიციის თანამშრომელს, რომელიც განთავისუფლდა ზღვრული ასაკის მიღწევის ან შეზღუდული შესაძლებლობის პირად გახდომის გამო, თუმცა რა იგულისხმებოდა ზღვრულ ასაკში, წელთა ნამსახურობა -25 წელი, თუ საპენსიო ასაკი, დაკონკრეტებული არ ყოფილა.

კასატორის მითითებით, 2006 წლის იანვრიდან ამოქმედდა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» კანონი, რომლის მე-9 მუხლის შესაბამისად წელთა ნამსახურობით პენსია ენიშნება ფინანსური პოლიციის იმ თანამშრომელს, რომელსაც გააჩნია წელთა ნამსახურობის 20 წელი და აქედან არანაკლები 4 წელი ფინანსურ პოლიციაში. აღნიშნულით გაუარესდა კასატორის მდგომარეობა, რადგან ფინანსური პოლიცია შეიქმნა 2004 წლის თებერვალში და ეს სახელმწიფო ორგანო მისი სამსახურიდან გათავისუფლების დროისთვის მოქმედებდა სულ 2 წლის მანძილზე.

«სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» კანონის მე-3 თავში -კომპენსაცია ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო, მე-8 მუხლით უკვე მოცემულია სამხედრო შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციის გაანგარიშებისას წელთა ნამსახურობა არანაკლებ 20 წელი. ე.ი. ახალი კანონმდებლობით უკვე განისაზღვრა წელთა ნამსახურობა, რაც დაკონკრეტებული არ იყო «ფინანსური პოლიციის შესახებ» კანონის მხოლოდ სოციალური უზრუნველყოფის თავში. ე.ი. წელთა ნამსახურობა უნდა განისაზღვროს ისე, როგორც ეს განისაზღვრებოდა სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებში. კასატორის მითითებით, «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის კანონის ჩამონათვალში გათვალისწინებული არ არის სამხედრო პოლიცია, რის გამოც კასატორს მიუღებლად მიაჩნია, რომ სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა ვერ მიიღონ მომავალში პენსია. ეს მოხდა იმიტომ, რომ ამ კანონის შემუშავების დროს სამხედრო პოლიცია არ არსებობდა, ისე, როგორც ეს მოხდა 2002 წლის 25 დეკემბერს მიღებული საქართველოს კანონის «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებში და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» მიღების დროს, როცა ფინანსური პოლიცია საერთოდ არ იყო შექმნილი, იგი ჩამოყალიბდა მოგვიანებით და კასატორს მიაჩნია, რომ ვერ მოხდებოდა ამ კანონით განსაზღვრულ ჩამონათვალში.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამუშაოდან დათხოვნის სურვილი გამოთქვა წელთა ნამსახურობის გამო, რაც საშუალებას აძლევდა დანიშნოდა პენსია «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისაგან მიიღო პასუხი 2006 წლის 12 იანვარს #მ-05/05-220 წერილით, რომ არ დაენიშნებოდა პენსია ხსენებული კანონის შესაბამისად. კასატორი თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებით გარემოებას წარმოადგენს ის, რომ მან ნება წელთა ნამსახურობით სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გამოხატა «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის მოქმედების პერიოდში და ვიდრე ძალაში შევიდოდა ამჟამად მოქმედი კანონი «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ».

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ნ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოსათვის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო სასამართლოს ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ ნ. ნ-ძის საკასაციო საჩივრის მიზეზები არ ქმნის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველებს. ამასთან, მოცემულ საქმესთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს შემდეგს:

ნ. ნ-ძე არ წარმოადგენს 2006 წლის 1 იანვრამდე მოქმედი «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული პენსიის მიღების უფლების მქონე სუბიექტს, ვინაიდან აღნიშნული კანონის 1-ლი მუხლის თანახმად ამ კანონით დადგენილი პირობებით, ნორმებითა და წესებით საპენსიო უზრუნველყოფას ექვემდებარებიან სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი, საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე

პირები. ამდენად, იმ საჯარო დაწესებულებათა (ორგანოთა) ჩამონათვალი, რომელთა სისტემაში დასაქმებული მოსამსახურეებს ენიჭებოდათ ამავე კანონით განსაზღვრული პენსიის მიღების უფლება, ამომწურავია. ფინანსური პოლიცია კი, «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის #39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, რომელიც არ მოიაზრება მითითებული კანონით განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებათა (ორგანოთა) რიცხვში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის ნ. 5-ის მიმართ ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებულია სამართლის ნორმა-პრინციპი, რომლის თანახმადაც სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ «სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონი შეიცავს პირთა ამომწურავ წრესა და საქართველოს სახელმწიფოს შორის წარმოშობილი საპენსიო ურთიერთობების მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებს, რომელთა ანალოგიით გამოყენება სხვა, თუნდაც ამ კანონით განსაზღვრულ პირთა მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი პირების საპენსიო ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ნ. 5-მეს მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება სადავოდ არ გაუხდია. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი ასევე არ წარმოადგენს «ფინანსური პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული პენსიის მიღების უფლების მქონე სუბიექტს, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 22 ნოემბრის #პ-2287 ბრძანებით ნ. 5-მე თანამდებობიდან გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე; მითითებული ნორმის თანახმად კი სახელმწიფო პენსიის (სახელმწიფო კომპენსაციის) მიღების უფლება წარმოეშობოდათ ფინანსური პოლიციის იმ თანამშრომლებს, რომლებიც გათავისუფლდებოდნენ სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად გახდომის გამო.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული საქმის განხილვისას ადგილი არ აქვს კასატორის მიერ მითითებული კანონების დარღვევას, ასევე -სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ნ. 5-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნა

### განჩინება

#ბს-464-443(კ-08)

5 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: პენსიის გაცემის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-იამ 2007 წლის 13 თებერვალს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მარჩენლის დაკარგვის გამო, კანონის შესაბამისად პენსიის დანიშვნა.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

მ. გ-იამ 2002 წლის 30 ივნისს იქორწინა მ. კ-აიასთან. თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი. მ. კ-აია მუშაობდა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს ქ. ფოთის შს ... ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილედ, წოდებით პოლიციის კაპიტანი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 23 აგვისტოს ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მ. კ-აია დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. მოცემულ ბრძანებას საფუძვლად დაედო შს მინისტრის 2006 წლის 19 ივლისის #829 ბრძანებით დამტკიცებული გენერალური ინსპექციის 2006 წლის 29 ივნისის #302 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების მესამე პუნქტის თანახმად, იგი უნდა ამოქმედდეს ხელისმომწერისთანავე, ე.ი. 2006 წლის 23 აგვისტოდან, მომხდარი საბედისწერო შემთხვევის -მ. კ-აიას დაღუპვიდან 9 თვის გასვლის შემდგომ. შს სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსის 2006 წლის 22 სექტემბრის #824510 ბრძანების თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მ. კ-აიას წელთა ნამსახურობის სტაჟი შეადგენს 11 წელს, 1 თვესა და 19 დღეს. პირადი შემადგენლობის სიიდან ამორიცხვის მომენტისათვის მ. კ-აიას სარგო -ხელფასი შეადგენდა: თანამდებობრივი განაკვეთი -290 ლარი, წოდების დანამატი -9,27 ლარი, სასურსათო ულუფის ღირებულება -50 ლარი, სულ -358,27 ლარი. პოლიციის კაპიტან მ. კ-აიას ფულად ატესტატში გამორჩენილია და შეტანილი არ არის 11 წლის მუშაობის სტაჟის დანამატი 15 პროცენტის ოდენობით, რაც შეადგენს 53,73 ლარს. 2005 წლის 22 სექტემბერს სარგო -ხელფასი შეადგენდა 412 ლარს. შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 23 აგვისტოს ბრძანების მიღების შემდგომ, მოსარჩელემ მიმართა საქართველოს ერთიან სახელმწიფო ფონდს, არასრულწლოვანი შვილებისათვის მარჩენალი მამის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპვის გამო, პენსიის დანიშვნის შესახებ. 2006 წლის 27 ოქტომბრის #7-05/05 ცნობის თანახმად, მ. გ-ია 2006 წლის 27 სექტემბრიდან იღებს კომპენსაციას შს სამინისტროს ხაზით, აწ გარდაცვლილი დაღუპული მეუღლის -მ. კ-აიას სარგოდან ორი მცირეწლოვანი შვილის -ვ. და ლ. კ-აიების სახელზე, თვეში -67,33 ლარის კომპენსაციას, განცხადების შეტანის დღიდან. მარჩენლის დაკარგვის გამო კომპენსაციის დანიშვნის დროს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 23 დეკემბერს საპენსიო კანონში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით, კანონი ძალაშია 2006 წლის 1 იანვრიდან; უბედური შემთხვევა კი მოხდა 2005 წლის 22 ნოემბერს, საპენსიო კანონში ცვლილების შეტანამდე და მის ამოქმედებამდე, რის შედეგადაც მოსარჩელემ და მისმა შვილებმა მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანი განიცადეს. მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს სახელმწიფო უზენაეს კანონს და ყველა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპებსა და ფორმებს. კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და მათ შორის ცხადია, მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიის კანონის შესაბამისად მიღების უფლებას.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ შვილებისათვის პენსიის დანიშვნა უნდა მოხდეს მარჩენალი მამის -მ. კ-აიას (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს) დაღუპვის მომენტში -2005 წლის 22 ნოემბრის მოქმედი საპენსიო კანონის მე-10 მუხლით დადგენილი თანამდებობრივი განაკვეთის -სარგოს მიხედვითა და დაცვით. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ მოსარჩელემ 2005 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ერთიან სახელმწიფო ფონდში ვერ წარადგინა განცხადება მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნის შესახებ, რამდენადაც შინაგან საქმეთა მინისტრმა მხოლოდ 2006 წლის 23 აგვისტოს დაამტკიცა გენერალური ინსპექციის მიერ 2006 წლის 31 ივლისს შედგენილი დასკვნა მასზე, რომ პოლიციის კაპიტანი მ. კ-აია 2005 წლის 22 ნოემბერს

დაილუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. 2006 წლის 1 იანვრამდე მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნა რეგულირდებოდა 2005 წლისათვის მოქმედი საპენსიო კანონის 25-ე, 26-ე, 27-ე, 28-ე და 33-ე მუხლებით დადგენილი წესის, ნორმისა და ოდენობის შესაბამისად, მოსარჩელე თვლის, რომ სწორედ აღნიშნული კანონის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მ. კ-იას ოჯახის წევრების საპენსიო უზრუნველყოფა.

მოსარჩელემ მიმართა მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს განცხადებით, რათა პენსია დანიშნული ყოფილიყო 2005 წლის 22 ნოემბრის მდგომარეობით არსებული და ძალაში მყოფი საპენსიო კანონის შესაბამისად, თუმცა 2007 წლის 24 იანვარს მიიღო პასუხი, რომლითაც ეცნობა, რომ კომპენსაციის დანიშვნა განხორციელდა კანონის სრული დაცვით.

მოსარჩელემ მოითხოვა, მას, როგორც "სამხედრო და შს ორგანოების სამსახურებიდან დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" კანონის 25-ე, 26-ე, 27-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციის კაპიტან მ. კ-იას მეუღლეს დაენიშნოს 2 მცირეწლოვანი შვილის -ვ. და ლ. კ-აიების შესაბამისად, მარჩენლის დაკარგვის პენსია მათ სრულწლოვნებამდე, საპენსიო კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, საპენსიო კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული სარგოს -ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით თითოეულს, მარჩენლის დაკარგვის დროს 2005 წლის 22 ნოემბრის მდგომარეობის მიხედვით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტში დაღუპული მარჩენლის, პოლიციის კაპიტანის -მ. კ-იას ხელფასი შეადგენდა 412 ლარს. მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ საპენსიო კანონის 33-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის, ფულადი სარგოს მე-10 მუხლის თანახმად, მარჩენლის დაკარგვის გამო მას უნდა დაენიშნოს შვილების: ლ. და ვ. კ-აიების მამის ყოველთვიური სარგოს -ხელფასის 412 ლარის 50 პროცენტი, თვეში 206 ლარის ოდენობით თითოეულს, 2005 წლის 22 ნოემბრიდან; ასევე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს მ. გ-იას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მ. კ-იას გარდაცვალების პერიოდში მოქმედი საპენსიო კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ორი არასწულწლოვანი შვილის 14 წლის ასაკამდე მოვლისათვის, დაკარგული მარჩენლის ყოველთვიური ხელფასი 412 ლარიდან 50 პროცენტის -206 ლარის გადახდა 2005 წლის 22 ნოემბრიდან 2007 წლის 22 ნოემბრამდე, რაც თითოეულ შვილზე შეადგენს -3080 ლარს. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაეკისროს მარჩენლის დაკარგვის გამო მოსარჩელის შვილებს -ვ. და ლ. კ-აიებს ერთდროულად გადაუხადოს პენსია 2005 წლის 22 ნოემბრიდან 2007 წლის 22 თებერვლამდე კუთვნილი პენსია 6180 ლარი და მ. გ-იას იმავე პერიოდში შვილების მოვლის 6180 ლარი -სულ ერთად 12360 ლარი, შემდეგ თვეში კი 618 ლარი შვილების სრულასაკონებამდე და მოსავლელთა 14 წლის ასაკამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს სამმართველოს უფროსის 2006 წლის 14 მარტის #2383/შ ბრძანებით, მ. კ-აია -შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს სამმართველოს ფოთის შს სამმართველოს ... უბნის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე ამორიცხულ იქნა ამავე შემადგენლობის სიიდან გარდაცვალების გამო, 2005 წლის 22 ნოემბრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 23 აგვისტოს #5643/შ ბრძანებით, შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს სამმართველოს ფოთის შს სამმართველოს ... უბნის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილის, პოლიციის კაპიტან მ. კ-იას გარდაცვალება ჩაითვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ გარემოებად.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მ. გ-ია წარმოადგენდა გარდაცვლილი მ. კ-იას მეუღლეს, ხოლო ვ.ი და ლ. კ-აიები -მათ შვილებს.

2006 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს განცხადებით მიმართა მ. გ-იამ და ითხოვა მარჩენალდაკარგულის კომპენსაცია.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2006 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მ. გ-იას შვილებს -ვ. და ლ. კ-აიებს იმავე წლის 27 სექტემბრიდან დაენიშნათ კომპენსაცია, თითოეულს -67,33 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან მ. გ-იას მეუღლის -მ. კ-იას გარდაცვალების დროს მოქმედებდა «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონი, რომლითაც მარჩენალდაკარგულთა სოციალური უზრუნველყოფა უფრო სრულფასოვნად განხორციელდებოდა, მოპასუხე ვალდებული იყო, ეხელმძღვანელა 2006 წლამდე არსებული ზემოაღნიშნული კანონით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ გაიზიარებს მოცემულ პოზიციას შემდეგი მოტივით: მოსარჩელე მ. გ-იას მიერ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის მიმართვა მარჩენალდაკარგულის კომპენსაციის მიღების თაობაზე განხორციელებულ იქნა 2006 წლის 26 ოქტომბერს. მოცემულ პერიოდში მოქმედებდა (2006 წლის 1 იანვრიდან) «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისადაც მ. გ-

იას კომპენსაცია დაენიშნა. ამასთან, მოცემული კანონის ანალიზით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი, კომპენსაციის დანიშვნისას გამოეყენებინა სხვა ნორმატიული აქტი, კერძოდ, «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება და ასევე, უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არა აქვს იურიდიული ძალა და უნდა გამოცხადდეს ბათილად. ამდენად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული მარჩენალდაკარგულის კომპენსაციის დანიშვნის გარდა სხვა ნორმატიული აქტით ხელმძღვანელობა ჩაითვლებოდა უფლებამოსილების გადამეტებად.

სასამართლომ გაიზიარა მ. გ-იას წარმომადგენლის პოზიცია იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენა გამოწვეული იყო არა მოსარჩელის ბრალით არამედ იმ გარემოებით, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მ. კ-იას გარდაცვალების ფაქტის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ გარემოებად აღიარება განხორციელდა 2006 წლის 23 აგვისტოს, ანუ გარდაცვალებიდან 9 თვის შემდგომ, თუმცა აღნიშნული გარემოებაც არ ანიჭებდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს უფლებამოსილებას, კომპენსაცია განესაზღვრა «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი -საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ფონდის გადაწყვეტილება (მ. გ-იას შვილებისათვის კომპენსაციის დანიშვნის შესახებ), გამოცემულ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით, არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მისი ბათილად ცნობის საფუძვლები. ასევე, არ არსებობს არანაირი სამართლებრივი ნორმა, რომლის შესაბამისადაც მოპასუხეს დაევალება მოსარჩელისა და მისი არასრულწლოვანი შვილებისათვის საპენსიო უზრუნველყოფა განახორციელოს «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 მუხლის «გ» პუნქტის შესაბამისად, დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს საქმის ფაქტობრივ, სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით, მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა, რომ 2005 წლის 27 დეკემბერს მიღებულ იქნა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლები, შესაბამისად «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონში ზემოხსენებული კანონის საფუძველზე განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, კერძოდ, კანონის მე-3 პუნქტის თანახმად, გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთათვის სახელმწიფო კომპენსაციის ან სახელმწიფო პენსიის დანიშვნის პირობები რეგულირებულია «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» ან «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონებით. «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძველია მარჩენლის დაკარგვა. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლებით პირს კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დასანიშნად მიმართვა შეუძლია აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. ამავე კანონის 26-ე მუხლით განისაზღვრა კომპენსაციის დასანიშნად მიმართვის წესი, რომელიც კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე განცხადებასთან ერთად ითვალისწინებს ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენას კომპეტენტურ ორგანოში. ამავე კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტით, მარჩენლის გარდაცვალების გამო კომპენსაცია ინიშნება მარჩენლის გარდაცვალების დღიდან, თუ განცხადება კომპეტენტურ ორგანოს წარედგინა ამ საფუძვლის წარმოშობიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში, კომპენსაცია ინიშნება განცხადების წარდგენის დღიდან.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის საკითხი, რომ მ. კ-იას გარდაიცვალა 2005 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მ. კ-იას გარდაცვალების ფაქტის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ გარემოებად აღიარება განხორციელდა 2006 წლის 23 აგვისტოს, ანუ გარდაცვალებიდან 9 თვის შემდეგ, ხოლო მ. გ-იამ განცხადებით კომპეტენტურ ორგანოს მიმართა 2007 წლის 27 სექტემბერს, რის შედეგადაც

კომპენსაცია დაენიშნა განცხადების წარდგენის დღიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად, არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-იამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება. კასატორის განმარტებით, მეუღლის გარდაცვალების დღიდან წარმოეშვა უფლება მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნაზე, იმ დროს მოქმედი საპენსიო კანონის 27-ე და 33-ე მუხლებით დადგენილი ოდენობის მიხედვით, მაგრამ პენსიის დასანიშნავად განცხადებით მიმართვისას საჭირო იყო შს სამინისტროს ბრძანებისა და დასკვნის წარდგენა იმის შესახებ, რომ მისი მეუღლე მ. კ-აია ნამდვილად დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 2005 წლის 22 ნოემბერს. კასატორი განმარტავს, რომ ბრძანების ამონაწერი -უბედური შემთხვევის მოხდენის შესახებ შს სამინისტროდან მისცეს 9 თვის დაგვიანებით, 2006 წლის 23 აგვისტოს და პენსია-კომპენსაცია მარჩენლის დაკარგვის გამო დაუნიშნეს მხოლოდ ორ მცირეწლოვან შვილზე 2006 წლის სექტემბრიდან, თვეში 67,33 ლარის ოდენობით. კასატორი მიიჩნევს, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით მას, როგორც ჩვილი ბავშვების მოვლა-პატრონობითა და აღზრდით დაკავებულ დედასაც ეკუთვნოდა პენსია. კასატორი აღნიშნავს, რომ მან შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა შს სამინისტროს დაკისრებოდა პენსიის გადახდა 9 თვის პერიოდის -2005 წლის 22 ნოემბრიდან -2006 წლის სექტემბრამდე კომპენსაციის დანიშვნამდე, რადგან მათ მიერ ბრძანების დაგვიანებით გაფორმების გამო, არ დაენიშნა 9 თვის პენსია, რითაც მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა შს სამინისტროს ბრალით. კასატორის განმარტებით განჩინებაში მითითებულია, რომ მ. გ-იას შვილებს დაენიშნათ კომპენსაცია 2006 წლის სექტემბრიდან, თითოეულს 33,33 ლარის ოდენობით. სინამდვილეში კომპენსაცია დაენიშნა ორივეს ერთად 67,33 ლარი, რაც მინიმალური პენსიის ოდენობაზე ნაკლებია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-იას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 23 აგვისტოს #5643/შ ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ქ. ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ... პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილის, პოლიციის კაპიტან მ. კ-იას გარდაცვალება ჩაითვალია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ გარემოებად და მის ოჯახზე გავრცელდა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს 2006 წლის 27 სექტემბერს განცხადებით მიმართა მ. გ-იამ და ითხოვა მარჩენლის დაკარგვის გამო კომპენსაციის დანიშვნა. საჯარო სამართლის იურიდიული პირი -საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2006 წლის 27 ოქტომბრის ცნობით ირკვევა, რომ მ. გ-იას ორ მცირეწლოვან შვილს 2006 წლის 27 სექტემბრიდან დაენიშნათ კომპენსაცია თვეში - 67,33 ლარის ოდენობით კომპენსაციის დასანიშნად საბუთების შეტანის დღიდან.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2005 წლის 27 დეკემბერს მიღებულ იქნა «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონი, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლები, შესაბამისად «სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს კანონში ზემოხსენებული კანონის საფუძველზე განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთათვის სახელმწიფო კომპენსაციის ან სახელმწიფო პენსიის დანიშვნის პირობები რეგულირდება «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» ან «სახელმწიფო პენსიის შესახებ» საქართველოს კანონებით. «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძველია მარჩენლის დაკარგვა. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლებით პირს კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დასანიშნად მიმართვა შეუძლია აღნიშნული უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. ამავე კანონის 26-ე მუხლით განისაზღვრა კომპენსაციის დასანიშნად მიმართვის წესი, რომელიც კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე განცხადებასთან ერთად ითვალისწინებს ყველა საჭირო დოკუმენტის



წარდგენას კომპეტენტურ ორგანოში. ამავე კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტით, მარჩენალის გარდაცვალების გამო კომპენსაცია ინიშნება მარჩენალის გარდაცვალების დღიდან, თუ განცხადება კომპეტენტურ ორგანოს წარედგინა ამ საფუძვლის წარმოშობიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში, კომპენსაცია ინიშნება განცხადების წარდგენის დღიდან. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მ. კ-აია გარდაიცვალა 2005 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მ. კ-აიას გარდაცვალების ფაქტის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ გარემოებად აღიარება განხორციელდა 2006 წლის 23 აგვისტოს, ანუ გარდაცვალებიდან 9 თვის შემდეგ, ხოლო მ. გ-იამ განცხადებით კომპეტენტურ ორგანოს მიმართა 2007 წლის 27 სექტემბერს, რის შედეგადაც კომპენსაცია დაენიშნა განცხადების წარდგენის დღიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია და მ. გ-იას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. გ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **პენსიის დანიშვნა და ძველი დავალიანების ანაზღაურება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#ბს-1029-614-(კ-05) 23 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** პენსიის დანიშვნა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

#### **გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

ვ. ს-მემ სარჩელი ადრე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხის - საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ, რომლითაც მოითხოვა პენსიის დანიშვნა და მოპასუხისათვის საპენსიო დავალიანების ანაზღაურების დაკისრება.

#### **საქმის გარემოებები:**

მოსარჩელე იყო 68 წლის და გააჩნდა 35 წელზე მეტი მუშაობის სტაჟი. დასაქმების დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს უფროსის 1997 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ვ. ს-მისათვის უნდა დაენიშნათ შეღავათიანი ასაკობრივი პენსია, რის საფუძველზეც 1997 წლის 1 დეკემბერს გლდანის რაიონის სოცურუნველყოფის განყოფილებაში შეიტანა განცხადება პენსიის დანიშვნის მოთხოვნით, ყველა საჭირო დოკუმენტბთან ერთად.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველები:

1998 წლის 13 მაისს მოსარჩელეს უარი ეთქვა პენსიის დანიშვნაზე იმ მოტივით, რომ შრომის წიგნაკში პირველი გვერდი ამოხეული იყო და არ იკითხებოდა მისი სამუშაო ადგილის სახელწოდება, რაზეც მოითხოვეს არქივიდან ბრძანების ამონაწერი და იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა. ამასთან, ვ. ს-მე გაფრთხილებული იყო სამი თვის ვადაში წარმოედგინა აღნიშნული საბუთები, რაც არ შეუსრულებია. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული მიზეზები იყო აბსურდული, რამდენადაც არ არსებობდა რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მის გაფრთხილებას საბუთების წარდგენასთან დაკავშირებით. მოსარჩელემ გლდანის რაიონის სოცურუნველყოფის განყოფილების პასუხი გაასაჩივრა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდში. მითითებული განცხადება, თანდართულ დედანთან და დოკუმენტბთან ერთად წარდგენილი იყო, დაიკარგა და შესაბამისად,

პასუხიც არ მიუღია, რის გამოც მოსარჩელე ვ. ს-მე დაზარალდა, რადგან ვერ მიიღო 1997 წლიდან დღემდე კანონით მისთვის განკუთვნილი პენსია.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველი მითითებული არ არის.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ს-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოწინააღმდეგე მხარემ -საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა, დაენიშნა პენსია მოსარჩელის მიერ სათანადო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, ხოლო მოსარჩელეს უარი ეთქვა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის 1997 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის გაცემის დავალდებულების ნაწილში, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინა მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე ვ. ს-მეს გლდანის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ 1998 წლის 13 მაისს უარი ეთქვა პენსიის დანიშვნაზე, იმ მოტივით, რომ მან სამი თვის ვადაში ვერ წარადგინა სრულყოფილი საბუთები. ამავე განყოფილების 21.03.01წ. #2/244 წერილით აღნიშნული საფუძველით ხელმეორედ ეთქვა უარი პენსიის დანიშვნაზე. ამავე წერილით გაირკვა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით განყოფილებაში გატარებული იყო ვ. ს-მის განცხადება (საჩივარი) პენსიის დანიშვნის თაობაზე, რასაც არ ერთოდა აუცილებელი საბუთები -შრომის წიგნაკი, პასპორტი, მისი ქსეროასლებით.

რაიონული სასამართლოს დასკვნით, 2000 წლის 7 მაისის საქართველოს პრეზიდენტის #181 ბრძანებულებით, საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების შემდეგ პენსიის დანიშვნა ფონდის კომპეტენციაში შედიოდა. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ ვ. ს-მეს პენსია უნდა დანიშვნოდა სოცუზრუნველყოფის ადგილობრივი განყოფილებიდან, რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას -1997 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის გაცემის დავალდებულების ნაწილში, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს 2002 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ვ. ს-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ს-მის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს -საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს დაევალა მოსარჩელის სასარგებლოდ მოხუცებულობის პენსიის დანიშვნა 1997 წლის 1 დეკემბრიდან და ამავე წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის ანაზღაურება, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგინა მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

დასაქმების დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს 1997 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, გლდანის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებას განცხადებით მიმართა ვ. ს-მემ ასაკის გამო შეღავათიანი პენსიის დანიშვნის შესახებ, რაზეც უარი მიიღო. საპენსიო საქმეში არ არსებობდა წერილობითი მტკიცებულება, რომ მოსარჩელე გაფრთხილებული იყო, სამი თვის ვადაში გამოესწორებინა მოპასუხის შენიშვნები.

რაიონული სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან საქმეში არსებულ შრომის წიგნაკის ქართულენოვან ნაწილს გააჩნდა დაუზიანებელი ფურცელი, ხოლო რუსულენოვანს არ ჰქონდა ასეთივე თავფურცელი, არ წარმოადგენდა პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველს. მოსარჩელემ ჯერ კიდევ 1997 წლის 1 დეკემბერს წარადგინა მოპასუხე ორგანიზაციის გლდანის განყოფილებაში ყველა დოკუმენტი ასაკის გამო შეღავათიანი პენსიის დანიშვნის მოთხოვნით და არ არსებობდა პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო. მოსარჩელის მიერ წარდგენილი საპენსიო საბუთების გადასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შრომის წიგნაკში სახელი -ვ. ამოშლილი იყო, ასევე დაფიქსირებული იყო ორი სახელი -ზ. და ვ. მოსარჩელეს მოეთხოვა სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული ფაქტის დადგენა იმის თაობაზე, რომ ზ. და ვ. იყო ერთი და იგივე პიროვნება. გარდა ამისა, მოსარჩელეს 1997 წლის 8 დეკემბერს სოცუზრუნველყოფის ფონდის გლდანის რაიონული ფილიალიდან ეცნობა, რომ წარმოედგინა დამატებითი ფაქტი, რომ ზ. და ვ. ერთი და იგივე პიროვნებაა და მოცემული შრომის წიგნაკი მას ეკუთვნოდა, რაც არ წარმოადგინა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. ს-მის სასარჩელო მოთხოვნა არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და

სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ს-მის სარჩელი 1997 წლის 1 დეკემბრიდან მოხუცებულობის პენსიის დანიშვნისა და 1997 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე ვ. ს-მემ პენსიის დასანიშნად საპენსიო განყოფილებას მიმართა 1997 წლის 1 დეკემბერს. 1998 წლის 8 დეკემბრის წერილით ვ. ს-მეს უარი ეთქვა პენსიის დანიშვნაზე, იმ მოტივით, რომ მის მიერ წარდგენილი საბუთები არ იყო სრულყოფილი. საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს წერილობით ეცნობა და ჩაჰპარდა საპენსიო განყოფილების 1998 წლის 8 დეკემბრის უარი პენსიის დანიშვნის თაობაზე. მოსარჩელემ ოფიციალურად წერილობითი უარი მიიღო 1998 წლის 8 მაისს, მის მიერ წარდგენილი განცხადების პასუხად.

სააპელაციო სასამართლომ დასკვნით, შრომის წიგნაკის კუთვნილების დასადგენად საჭირო იყო სასამართლოს მიერ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა იმის შესახებ, რომ შრომის წიგნაკი, როგორც უფლების დამდგენი დოკუმენტი, ეკუთვნოდა ვ. ს-მეს, როგორც პასპორტსა და დაბადების მოწმობაში იყო დაფიქსირებული და არა ზ. ს-მეს, რაც გადამოწმებული იყო შრომის წიგნაკში. სასამართლომ განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე უარს აცხადებდა საპენსიო ფონდში პენსიის დასანიშნად საჭირო საბუთების წარდგენაზე, ვინაიდან მიაჩნდა, რომ 1997 წლის 1 დეკემბერს მის მიერ წარდგენილი საბუთები აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს და მოითხოვდა პენსიის დანიშვნას მხოლოდ 1997 წლის 1 დეკემბრიდან.

სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, ვიდრე მოსარჩელის მიერ საპენსიო ფონდში არ იქნებოდა წარდგენილი პენსიის დასანიშნად საჭირო ყველა საბუთი, რაც მოქმედი დებულებით იყო გათვალისწინებული, საპენსიო ფონდს არ წარმოემოზოდა ვალდებულება, მოსარჩელისთვის დაენიშნა პენსია, კერძოდ: «სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ» დებულების თანახმად, პენსიის დასანიშნად მიმართვის დღედ ითვლებოდა ფონდის განყოფილების მიერ პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადების მიღების დღე. თუ განცხადებას თან ერთოდა ყველა საჭირო საბუთი, ფონდის განყოფილება ვალდებული იყო, მიეღო განცხადება წარდგენილ საბუთებთან ერთად და მოქალაქისთვის მოეთხოვა დამატებითი საბუთების წარდგენა სამი თვის ვადაში. თუ მოქალაქე აღნიშნულ ვადაში არ წარადგენდა საჭირო საბუთებს, მაშინ ვადად ითვლებოდა უკანასკნელი საბუთის წარდგენის დღე.

სააპელაციო სასამართლომ დასკვნით, ვინაიდან მოსარჩელის მიერ საპენსიო ფონდში 1997 წლის 1 დეკემბერს წარდგენილი საბუთები იყო ხარვეზიანი, ხოლო ამ ხარვეზის გამოსწორების შემდეგ მოსარჩელეს საპენსიო ფონდში არ წარუდგენია სრულყოფილი საბუთები, დებულების ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინებით, არ არსებობდა სარჩელის არც სრულად და არც ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონო, უსაფუძვლო და იურიდიულად დაუსაბუთებელია. სასამართლომ მითითებული გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. კასატორის განმარტებით, პენსიონერთა უფლებებს იცავს «სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ» საქართველოს კანონი, რომლის მე-4 მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, ასაკის გამო სადაზღვევო შემთხვევა -ფიზიკური პირის მიერ 65 წლამდე მიღწევა და არანაკლებ 15 წლის შრომითი ან სადაზღვევო სტაჟის არსებობა წამოადგენს. ამავე კანონის მე-16 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, სავალდებულო სოციალური დაზღვევის გასაცემლობა: ასაკით სავალდებულო სადაზღვევო პენსია და მარჩენალის დაკარგვის გამო სავალდებულო სადაზღვევო პენსია, რომელთა აღნიშვნა და გაცემა ხორციელდება ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოეყენებინა ასევე «საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ» საქართველოს კანონი, ვინაიდან მითითებული კანონის 4.3 «ე» მუხლის თანახმად, სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის საქართველოს სავალდებულო სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ხოლო ამავე კანონის 1-ლი მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებით, სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება პენსიონერების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და სოციალურად დაუცველი სხვა ფენებისათვის სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ზედამხედველობა. სასამართლომ ასევე არ გამოიყენა «საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დებულება». აღნიშნულიდან გამომდინარე, პენსიონერების უფლებები არაერთი კანონით არის რეგულირებული, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სსსკ-ის 395-ე მუხლი მთლიანად არის მითითებული, რაც კანონის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მოსაზრება, რომ შრომის წიგნაკის კუთვნილების დადგენისათვის საპენსიო ფონდი არ არის ვალდებული და არა აქვს ამის უფლებამოსილება, ეწინააღმდეგება მოქმედ კანონს, ვინაიდან «საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო

დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო გენერალური დირექტორის 1999 წლის 3 მაისის #09/86 ბრძანებით, დაუშვებელია დამატებითი საბუთის მოთხოვნა მაშინ, როცა ეჭვს ბადებს წარმოდგენილი საბუთის სინამდვილე. ასეთ შემთხვევაში განყოფილება თვითონ ადგენს საბუთის საფუძვლიანობის ოპერატიულ შემოწმებას. ამდენად, მოპასუხე ორგანიზაცია ვალდებული იყო, შეემოწმებინა ყველა საჭირო დოკუმენტი, თუ რომელიმე მათგანი ეჭვს იწვევდა. მიუხედავად ამისა, მას არავითარი უფლება არ ჰქონდა, უარი ეთქვა პენსიის დანიშვნაზე. უსაფუძვლოა ასევე მოპასუხის განცხადება, რომ ვ. ს-მემ პირველად 1998 წლის 4 მაისს გაიტანა საბუთები, ხოლო მეორედ – 2000 წლის 18 ოქტომბერს. კასატორის მითითებით, აღნიშნულის დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტი არ არსებობს.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შედგენისას დარღვეულია სსკ-ის 249-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შინაარსი, კერძოდ, გადაწყვეტილებაში აღწერილობითი ნაწილის ნაცვლად მითითებულია სამოტივაციო ნაწილი.

2005 წლის 13 სექტემბერს საკასაციო სასამართლოში თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული პროკურატურიდან შემოვიდა მომართვა, რომლის თანახმად, ვ. ს-მის განცხადების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე #019058097, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანის რაიონული ფილიალის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, დოკუმენტის გადამალვისა და დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332.1 და 363.1 მუხლებით.

საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 17 ნოემბრის განჩინებით ვ. ს-მის საკასაციო საჩივარზე შეჩერდა საქმის წარმოება ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონულ პროკურატურაში წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე.

საკასაციო სასამართლოს თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორის მიმართებით ეცნობა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გლდანის რაიონული ფილიალის თანამშრომელთა მიერ სსკ-ის 332.1 და 363.2 მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ფაქტის დაუდასტურებლობის გამო, სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ და წარმოდგენილ იქნა გლდანი-ნამალადევის რაიონული პროკურორის მოადგილის 2008 წლის 23 აპრილის დადგენილება წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის განჩინებით ვ. ს-მის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ვ. ს-მის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დაენიშნა ადვოკატი სახელმწიფო ხარჯზე.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორ ვ. ს-მის ადვოკატმა მ. ნ-მემ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს, მოითხოვა მისი დაკმაყოფილება, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენელმა ე. ს-შილმა არ ცნო ვ. ს-მის საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება, შემდეგი მოტივით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო დასაბუთებული, რამდენადაც ვ. ს-მის საპენსიო საბუთების გადასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ შრომის წიგნაკში სახელი -ვ. ამოშლილი იყო, ასევე დაფიქსირებული იყო ორი სახელი -ზ. და ვ., რის გამოც მოსარჩელეს მოეთხოვა სასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული ფაქტის დადგენა იმის თაობაზე, რომ ზ. და ვ. იყო ერთი და იგივე პიროვნება. გარდა ამისა, მოსარჩელეს 1997 წლის 8 დეკემბერს სოცუზრუნველყოფის ფონდის გლდანის რაიონული ფილიალიდან ეცნობა, რომ წარედგინა სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი იურიდიული ფაქტი, რომ ზ. და ვ. ერთი და იგივე პიროვნებაა და მოცემული შრომის წიგნაკი მას ეკუთვნოდა, რაც არ წარადგინა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. ს-მის სასარჩელო მოთხოვნა არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვ. ს-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ვ. ს-მის სარჩელი დაკმაყოფილდეს; ვ. ს-მეს დაენიშნოს მოხუცებულობის პენსია დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დაევალოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს (სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი) აუნაზღაუროს ვ. ს-მეს 1997 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსია, 1997 წლის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394. «ე» მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი,

რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ არ გაუქარწყლებია სააპელაციო საჩივრის მოტივაცია, არ გადმოუცია გადაწყვეტილებაში სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი არგუმენტაციის იურიდიული დასაბუთება, რითაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ ობიექტურად დადგენისა და კანონიერი შეფასებების თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო დარღვევების გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მათი დამატებითი გამოკვლევა, კერძოდ, სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ: მოსარჩელე ვ. ს-მემ პენსიის დასანიშნად საპენსიო განყოფილებას მიმართა 1997 წლის 1 დეკემბერს. 1998 წლის 13 მაისის წერილით ვ. ს-მეს უარი ეთქვა პენსიის დანიშვნაზე იმ მოტივით, რომ მის მიერ წარდგენილი საბუთები არ იყო სრულყოფილი, კერძოდ, შრომის წიგნაკში პირველი გვერდი იყო ამოხეული, არ იკითხებოდა სად მუშაობდა ვ. ს-მე, რაზეც დაევალა არქივიდან ბრძანების ამონაწერის წარდგენა. ასევე, ვ. ს-მეს შრომის წიგნაკში ეწერა ორი სახელი, ზ., რომელიც იყო გადაშლილი და ვ., რაზეც მოეთხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა. ამავე განყოფილების 21.03.01წ. #2/244 წერილით, აღნიშნული საფუძველით მოსარჩელეს ხელმეორედ ეთქვა უარი პენსიის დანიშვნაზე. ამავე წერილის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით განყოფილებაში გატარებული იყო ვ. ს-მის განცხადება (საჩივარი) პენსიის დანიშვნის თაობაზე, რასაც არ ერთვოდა აუცილებელი საბუთები - შრომის წიგნაკი, პასპორტი, მისი ქსეროასლებით. საპენსიო საქმეში არ არსებობდა წერილობითი მტკიცებულება, რომ მოსარჩელე გაფრთხილებული იყო, სამი თვის ვადაში გამოესწორებინა მოპასუხის შენიშვნები.

საკასაციო სასამართლო «სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ» დებულების მე-5 და მე-6 მუხლების საფუძველზე განმარტავს, რომ პენსიის დასანიშნად მიმართვის დღედ ითვლება ფონდის განყოფილების მიერ პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადების მიღების დღე. თუ განცხადებას თან ერთვის ყველა საჭირო საბუთი, ფონდის განყოფილება ვალდებულია, მიიღოს განცხადება წარდგენილ საბუთებთან ერთად და მოქალაქეს მოსთხოვოს დამატებითი საბუთების წარდგენა სამი თვის ვადაში. თუ მოქალაქე აღნიშნულ ვადაში არ წარადგენს საბუთებს, მაშინ ვადად ითვლება უკანასკნელი საბუთის წარდგენის დღე. მოქალაქეს განცხადებით მიმართვისას მოეთხოვება პირადობის დამადასტურებელი საბუთი და რეგისტრაციის მოწმობა საცხოვრებელი ადგილი მიხედვით. ასაკით შრომის პენსიის დანიშვნისას, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს: შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთი, ცნობა ხელფასის შესახებ, დაბადების დამადასტურებელი საბუთი. ასაკით შრომის პენსიის დანიშვნისას, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს: ა) შრომის (სადაზღვევო) სტაჟის დამადასტურებელი საბუთი (შრომის წიგნაკი ასლით, ან სტაჟის დამადასტურებელი სხვა საბუთი); ბ) ცნობა ხელფასის (გამომუშავების) შესახებ; გ) დაბადების დამადასტურებელი საბუთი.

საკასაციო სასამართლოს სრულიად არამართლზომიერად მიაჩნია მოპასუხე ორგანიზაციის, როგორც ადმინისტრაციული ფუნქციის განმხორციელებელი ორგანოს დამოკიდებულება ვ. ს-მის განცხადებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სასამართლო საქმეს თან ერთვის ვ. ს-მის საპენსიო საქმე სავსებით არასათანადო მდგომარეობაში, საქმე შეუკერავია, საქმის ფურცლები გადაუნომრავი, საქმეს არ ერთვის საცნობარო გვერდი, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა თუ რა დოკუმენტები წარადგინა განმცხადებელმა მათთან; ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს საპენსიო ფონდის წარმომადგენლის ე. ს-შვილის საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გაკეთებული განცხადება, რომ საპენსიო საქმე მოიპარა ვ. ს-მემ, რომ ფონდის თანამშრომლებს საქმე წაართვა და ა.შ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქმის წარმოება ნორმატიული აქტით განსაზღვრულ წესებს ექვემდებარება, ადმინისტრაციულ ორგანოში შეტანილი განცხადება, დოკუმენტები დაცულ უნდა იყოს და მისი თვითნებურად, თუნდაც იძულებითი გატანის დაშვება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო დაწესებულებებში საქმის წარმოების დამკვიდრებულ პრაქტიკას მითუმეტეს, რომ თუნდაც ამგვარის პირობებში, საპენსიო ფონდის თანამშრომლებს არ მიუმატავთ შესაბამისი ორგანოებისათვის კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღმოსაფხვრელად. ამ ვითარებაში, სრულიად არაადამაჯერებელი, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოპასუხის განმარტება, რომ მოსარჩელემ გაიტანა საპენსიო ფონდიდან დოკუმენტები, აღარ წარუდგენია, რის გამოც სოციალური ფონდი მოკლებული იყო შესაძლებლობას დაენიშნა პენსია.

სააპელაციო სასამართლომ მითითებული ფაქტები არასრულყოფილად გამოიკვლია და უკრიტიკოდ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, შესაბამისად, საქმეზე არასწორი სამართლებრივი შეფასება მოახდინა, რის გამოც დაირღვა სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნა მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების სრულყოფილად დადგენის შესახებ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს, სააპელაციო სასამართლოს დასკვნების დაუსაბუთებლობის თაობაზე, რომ ვინაიდან მოსარჩელის მიერ საპენსიო ფონდში 1997 წლის 1 დეკემბერს წარდგენილი საბუთები იყო ხარვეზიანი, ხოლო ამ ხარვეზის გამოსწორების შემდეგ მოსარჩელეს საპენსიო ფონდში არ წარუდგენია სრულყოფილი საბუთები, დებულების ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა

გათვალისწინებით, არ არსებობდა სარჩელის არც სრულად და არც ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი. საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია ზემომითითებული რამდენადაც, სოციალური ფონდის მიერ ვ. ს-ძისათვის პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის ძირითად საფუძველად მითითებულია, რომ შრომის წიგნაკში პირველი გვერდი იყო ამოხეული, არ იკითხებოდა სად მუშაობდა ვ. ს-ძე, ასევე, ვ. ს-ძეს შრომის წიგნაკში ეწერა ორი სახელი, ზ., რომელიც იყო გადაშლილი და ვ., რაზეც მოეთხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა.

საქმეზე დადგენილია და საკასაციო სასამართლო იზიარებს, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს წერილობით ეცნობა და ჩაჰბარდა საპენსიო განყოფილების წერილობითი დოკუმენტი, რომ მის მიერ წარდგენილი მასალები პენსიის დანიშვნის თაობაზე იყო ხარვეზიანი, ასევე ფონდის 1998 წლის 8 დეკემბრის უარი პენსიის დანიშვნის თაობაზე. მოსარჩელემ ოფიციალურად წერილობითი უარი მიიღო 1998 წლის 8 მაისს, მის მიერ წარდგენილი განცხადების პასუხად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს, უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი - უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი, კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რამდენადაც საქმეში არსებული მოსარჩელის შრომის წიგნაკის ქართულენოვან ნაწილს გააჩნია დაუზიანებელი თავფურცელი, ხოლო ის გარემოება, რომ შრომის წიგნაკის რუსულენოვან ნაწილს არ გააჩნდა ასეთივე თავფურცელი, არ წარმოადგენდა პენსიაზე დანიშვნის უარის თქმის საფუძველს. საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, იმ ფაქტის დადგენა, რომ ფონდს ნამდვილად ვ. ს-ძემ მიმართა შესაძლებელი იყო დაბადების მოწმობისა და პირადობის მოწმობის შემოწმებით, რომლის შემოწმება შეეძლო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების მიმღებ ფონდის თანამშრომელს. მეტიც, სრულიად დაუსაბუთებელია ფონდის მითითება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ, რამდენადაც საქმეში არსებული შრომის წიგნაკის მიხედვით, მართალია შრომის წიგნაკში მითითებული იყო ორი სახელი ზ. და ვ., თუმცა სახელი ზ. ორივე ქართულენოვან და რუსულენოვან ნაწილში იყო გადაშლილი და იკითხებოდა სახელი მხოლოდ ვ. ს-ძე. ამდენად, არავითარი იურიდიული ფაქტის დადგენის საჭიროება, რომ ვ. ს-ძე და ზ. ს-ძე იყო ერთიდაიგივე პიროვნება, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა ამავე განყოფილების 21.03.01წ. #2/244 წერილით, მოსარჩელეს კვლავ ეთქვა უარი პენსიის დანიშვნაზე.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ საპენსიო ფონდს შესაძლებლობა ჰქონდა მისი კომპეტენციისა და იურისდიქციის ფარგლებში მოქალაქის მიერ წარდგენილი პირადობისა და დაბადების მოწმობების და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე დაედგინა, რომ მას მიმართა მოქალაქე ვ. ს-ძემ, ხოლო შრომის წიგნაკში მითითებული სახელი ზ. იყო შეცდომით ჩაწერილი, რაც გადაშლილი იყო კიდეც.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო უარი არ შეიძლება გახდეს მოსარჩელისათვის კანონით დადგენილი პრივილეგიის მიღების დამაბრკოლებელი გარემოება, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს უარი პენსიის დანიშვნაზე, ეწინააღმდეგება იმ დროისათვის, კერძოდ, ვ. ს-ძის მიმართვის მომენტისთვის მოქმედ კანონმდებლობას.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განხორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში .... ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება. საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს გადაწყვეტილება, ვ. ს-ძის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის პერიოდში კანონიერი სახით გამოცემის შემთხვევაში შეიძენდა მოსარჩელისათვის აღმჭურველი აქტის სტატუსს, მინიჭებდა მას უფლებას, ესარგებლა კანონით მინიჭებული პენსიის დანიშვნის შესაძლებლობით, ანუ მატერიალური თვალსაზრისით, სოციალური ფონდისათვის მიმართვის პერიოდში კანონიერი გადაწყვეტილება სამართლებრივად და უფლებრივად მნიშვნელოვან ძალას შეიძენდა, მას მოჰყვებოდა განსაზღვრული

იურიდიული შედეგი –სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ ვ. ს-ძისათვის პენსიის დანიშვნა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელდა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქმედი კანონმდებლობის და ბიუროკრატიული ფუნქციის არაჯეროვანი გაგების გამო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უარი ვ. ს-ძის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, უკანონოა, რამდენადაც იგი არსებითად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, რასაც შედეგად მოჰყვა პირისათვის კანონით მინიჭებული სოციალური გარანტიის მიღების –სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ვ. ს-ძე პენსიის მიღებისას დამოკიდებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მართლზომიერ, კანონიერ მოქმედებაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში მოქმედი კანონიერი ნდობის ინსტიტუტი ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი მოქმედების მიმართ, რომ ორგანოს მიერ ყოველი კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგებისას, მოქმედებისას ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილებას განახორციელებს კანონის საფუძველზე, მისთვის პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რაც მოცემულ შემთხვევაში უგულვებელყოფილია სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს (სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი) უნდა დაევალოს აუნაზღაუროს ვ. ს-ძეს 1997 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსია, 1997 წლის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც 1997 წელს (ვ. ს-ძის მიერ ფონდისათვის მიმართვის დროს) ფონდის მიერ კანონიერი მოქმედებისა და იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის სწორი განმარტების პირობებში ვ. ს-ძე მოიპოვებდა უფლებას, ესარგებლა კანონით მინიჭებული უფლებით დაენიშნათ მისთვის პენსია, რაც არ განხორციელდა მხოლოდ საპენსიო ფონდის უკანონოდ მოქმედებების გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები და ვ. ს-ძის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლო საქმეზე თანდართული ვ. ს-ძის საპენსიო საქმე უნდა გადაეგზავნოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს, სსსკ-ის 53.2 საფუძველზე, სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ვ. ს-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ვ. ს-ძეს დაენიშნოს მოხუცებულობის პენსია დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
5. დაევალოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს (სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი) აუნაზღაუროს ვ. ს-ძეს 1997 წლის 1 დეკემბრიდან მიუღებელი პენსია, 1997 წლის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6. სასამართლო საქმეზე თანდართული ვ. ს-ძის საპენსიო საქმე გადაეგზავნოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს;
7. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.